ბათუმის ბულვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ცეცხლაშვილი

ბათუმის ბულვარი

ბათუმი
2019

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდი ქალბატონებს: ჩიტო ომერაძეს, ეთერ მაჭუტაძეს, ნატო ჭყონიას, მზია ლაბაძეს, ლია ბოლქვაძეს, თამთა ჭყონიას, თამარ ჯაფარიძეს, ქეთევან ბოლქვაძეს, მზია თოთიბაძეს, ია შარაშენიძეს, მაგდა ჯაიანს, სალომე შავაძეს, თამარ კიკნაძეს.

ბატონებს: რამაზ სურმანიძეს, გენადი მახარაძეს, გია ბაღოშვილს, გიორგი ზირაქაშვილს, გიორგი ვარშანიძეს, გენო ნოღაიდელს, ცისკარ გოგიტიძეს, ავთანდილ ტარიელაძეს და გოჩა მამულაძეს.

ასევე ჩემს შვილიშვილებს ლეილას და ანა ცეცხლაშვილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორისგან

ყოველი ახალი წიგნის დაწერა იწყება რაღაც ამომავალი წერტილიდან: რაიმესთან შეხებიდან, განცდილიდან, პირადი თავგადასავლიდან, გაგონილი ან გადმოცემული ისტორიიდან, შემთხვევიდან შემთხვევამდე და ასე შემდეგ... საამისოდ, მრავალი საბაბი არსებობს.

დღევანდელი ზღვისპირა პარკის, ,,ბულვარის" ხელმძღვანელობასთან მეგობრულმა ურთიერთობამ ავტორს გადააწყვეტინა ამ წიგნის დაწერა.

ბაღის მესვეურებთან საუბრებში გაირკვა, რომ ,,ბულვარზე" უკვე ჰქონია დაწერილი საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს, პროფესორ დავით კომახიძეს და კიდევ რამდენიმე ავტორს, მაგრამ ყოველივე ეს კარგა ხნის ამბავია და დღევანდელ, ახალ გარდაქმნილ ბულვარზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ ყოფილა. არადა ამ პერიოდში ხედავდა, თუ როგორი რუდუნებითა და გულისხმიერებით ამშვენიერებდნენ და ალამაზებდნენ ,,ბულვარს", დაწყებული ხელმძღვანელობიდან, დამთავრებული რიგით მუშაკამდე, ამ ულამაზეს ოაზისს, მათ კიდევ მრავალი გეგმა აქვთ დასახული ,,ბულვარის" სრულყოფისათვის. მართალია, ბაღს სილამაზე არასდროს ჰკლებია. მისი სანახაობით ყოველთვის მოხიბლული და აღფრთოვანებული ყოფილა მნახველი და დღესაც რჩება მრავალმილიონიანი არმია ტურისტებისა და ბათუმის სტუმრებისა, რაც ძალიან გვეამაყება ბათუმელებს. სტუმრებს არაერთხელ აღუნიშნავთ: ,,ბათუმელები ნამდვილ სამოთხეში ცხოვრობთო"...

აქედან გამომდინარე ავტორს დაებადა აზრი, რაც კი წერია ზღვისპირა პარკის შესახებ ზემოხსენებულ წიგნებში, იმ მწერლების ნამუშევრებზე დაყრდნობით და ახალი მასალების მოძიებით, განეახლებია ,,ბულვარზე" საუბარი და რაც მთავარია გამოემზიურებია და წარმოეჩინა ის ადამიანები, რომელთა მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად ბაღი საოცარ სილამაზეს ინარჩუნებს, იგი დღესაც განუმეორებელი ზღვისპირა ბაღნარია, თავისი ღვთაებრივი სილამაზით აღაფრთოვანებს და აჯადოებს მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ურიცხვ მნახველს.

ჰოდა, წიგნის ავტორიც დაესესხა დიდ ფრანგ განმანათლებელს ვოლტერს **,,წიგნიდან წიგნი იბადება"** ეს წიგნიც ასე დაიბადა და დღის სინათლეც იხილა.

ანზორ კუდბა,

მწერალი, საზოგადო მოღვაწე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნს ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს გიორგი ცეცხლაშვილს,
რომელიც ამ წიგნის დაწყებისხანს დაიბადა და წიგნის
დასასრულიც მისი სამი წლის დაბადების დღეს დაემთხვა.

წიგნიდან წიგნი იბადება...

ვოლტერი

ავტორისაგან

დღევანდელი ზღვისპირა პარკის, ,,ბულვარის“ ხელმძღვანელობასთან მეგობრულმა ურთიერთობამ გადამაწყვეტინა ამ წიგნის დაწერა.

ჯერ იყო და გია ბაღოშვილმა, რომელსაც მოსმენილი ჰქონდა ჩემს ლექსებზე დაწერილი მოსწავლეთა საფესტივალო სიმღერა ,,ცისკრის ვარსკლავი“ და წარსულში საქართველოს ჩემპიონის საკალათბურთო გუნდის, ,,ბასკო“-ზე დაწერილი სიმღერის ტექსტი, მთხოვა ,,ბულვარზეც“ დამეწერა ლექსი, რომელზედაც შეიქმნებოდა მუსიკა, რაც შევუსრულე კიდეც, რომელსაც მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

აქვე მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი: ოთხი წლის წინ ჩემს უმცროს ვაჟიშვილს არჩილს ბულვარის ტერიტორიაზე დაეკარგა საფულე საბუთებით და საკმაო თანხით. დაკარგული საფულე სახლში მოუტანეს. ეს პატიოსანი ადამიანი - არქიტექტორი გიორგი ბაღოშვილი აღმოჩნდა...

მართალია, ბულვარს სილამაზე არასდროს ჰკლებია. მისი სანახაობით ყოველთვის მოხიბლული და აღფრთოვანებული ყოფილა მნახველი და დღესაც რჩება მრავალმილიონიანი ტურისტების არმია ბათუმის სტუმრებისა, რაც ძალიან გვეამაყება ბათუმელებს. სტუმრებს არაერთხელ აღუნიშნავთ: ,,ბათუმელები ნამდვილ სამოთხეში ცხოვრობთო“...

ბულვარის სამუშაო რითმი

ბულვარის ერთ–ერთი ხედი

აქედან გამომდინარე, მომივიდა აზრი, რაც კი წერია ზღვისპირა პარკის შესახებ ზემოხსენებულ წიგნებში, იმ მწერლების ნამუშევრებზე დაყრდნობით და ახალი მასალების მოძიებით, განვაახლო ,,ბულვარზე" საუბარი და რაც მთავარია გამოვამზეურო და წარმოვაჩინო ის ადამიანები, რომელთა რუდუნებითა და მუშაობის შედეგად ბაღი საოცარ სილამაზეს ინარჩუნებს, იგი დღესაც განუმეორებელი ზღვისპირა ბაღნარია, აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ ურიცხვ მნახველს და აჯადოვებს თავისი ღვთაებრივი სილამაზით...

ეს ფიქრები გავუზიარე მეგობრებს, მათ მომიწონეს აზრი და ყოველმხრივი დახმარებაც აღმითქვეს ამ საქმეში, თუმცა მალე ბულვარის ხელმძღვანელობა შეიცვალა და გიორგი ზირაქაშვილი სხვა სამსახურში გადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე ცისკარ გოგიტიძე დანიშნეს. თუმცა მანამდე მოკლე ხნით დაინიშნა დირექტორი არჩილ კახიძე.

არ გასულა წელიც და ცისკარ გოგოტიძე ეთერ მაჭუტაძემ ჩაანაცვლა. ერთხელ შეხვედრისას ცისკარმა მითხრა: ,,ბაღს, როგორც იქნა, ეღირსა ამ დარგის ნამდვილი სპეციალისტი ქალბატონი ეთერ მაჭუტაძეო“, და იქვე დასძინა: ,,ხომ იცი, დღეს რა ვითარებაა ლარის კურსსთან დაკავშირებით, და ამის კვალობაზე პირველივე ბრძანებით თანამშრომლებს ხელფასი მოუმატა...“ რაც შეეხება ქალბატონ ეთერ მაჭუტაძეს, იგი ოცდახუთამდე მეცნიერული ნაშრომის ავტორი გახლავთ.

ამ დროისთვის გამოსაცემად მზად მქონდა წიგნი ,,ბათუმის ბულვარი“, მაგრამ მისი გამოცემა გადავდევი, ჩემი აზრით, კოლონადების ისტორია დაზუსტებას საჭიროებდა. სხვა წყაროებზე მუშაობის პარალელურად მასალებს ვიძიებდი აჭარის საარქივო სამმართველოში, რათა საარქივო მასალებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ დამედასტურებინა მწერლისა და მემატიანის რამაზ სურმანიძის ვერსია კოლონადებთან დაკავშირებით. ამაზე ცოტა ქვემოთ გიამბობთ.

ახლა ნება მიბოძეთ ჩემს ბათუმელობაზეც გიამბოთ, რათა თვითონ განსაჯოთ მქონდა თუ არა უფლება ამ წიგნის თემას შევჭიდებოდი.

დავიბადე და გავიზარდე ბათუმში. ბავშვობა გავატარე ხულოს N12-სა და გორგასალის (ყოფილი ცხაკაიას ქუჩა), N13 ქუჩების კვეთაში. ჩემი ყოფილი სახლის ფანჯრები დღესაც პიაცას მოედანს შეჰყურებს ამაყად... აქვე მინდა აღვნიშნო ჩემთვის სასიამოვნო და სასიხარულო ფაქტი: როდესაც პოემაზე ,,**ჩემი ღელე-ღურდანი**“, ვმუშაობდი, მაშინ გავიგე, რომ დიდი მემედ-ბეგ აბაშიძის მეზობლად ვყოფილვარ დაბადებული. ბატონი მემედი კი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ხულოს ქუჩის N17-ში. (ისე კაცმა რომ თქვას, ვერც ხულოს ავცდი, იქ ოთხი წელი ვიმსახურე თურქეთის საზღვარზე...) ზღვა და პორტი იქვე იყო, დაახლოებით ასი მეტრის მანძილზე, ბულვარიც თავისი საოცარი, არნახული სილამაზით. მე რომ მკითხოს კაცმა, ის

ბულვარის სანაპირო ზღვის ღელვის დროს

ბულვარი უფრო მომწონდა. დღევანდელიც კარგია! დიდი ჯაფა და ოფლი აქვთ დაღვრილი დღევანდელი ბაღის მუშაკებს მის გალამაზებაში. მათ შესახებ მოგვიანებით გიამბობთ...

მე და ჩემი ძმა – თამაზი უფროს უბნელებთან ერთად დავდიოდით ზღვაზე საბანაოდ. როცა წამოვიზარდეთ, უკვე ბულვარის სანაპიროზე ვბედავდით აღელვებულ ზღვაში შესვლას, ამით ერთმანეთს ,,ვაჟკაცობას“ ვუმტკიცებდით. შევდიოდით ნაცადი ხერხით, დავუცდიდით დიდ ტალღას და პირდაპირ თავით ვჭრიდით მას და ტალღებზე ვნებივრობდით მერე, ამას მარტო ის გაიგებს და შეიგრძნობს, ვისაც ეს გაუკეთებია... ნაპირზე გამოსვლა შეუძლებელი იყო. იქ, საიდანაც შევდიოდით, დინებას ყოფილი ბათუმის დინამოს სტადიონისკენ გავყავდით, პორტისკენ ე.წ., ,ვალნარეზისკენ“ და ნაპირზეც იქ გამოვდიოდით.

ზღვის ღელვები რომ ჩაწყნარდებოდა, მაშინვე ნაპირს მოეფინებოდნენ ოქროსა და ვერცხლის მაძიებელნი. ტალღებს ნაპირზე გამოჰქონდა ზღვაში დაკარგული ნივთები და სხვადასხვა საგნები, იყო შემთხვევები, როდესაც ზღვას გვამებიც გამოურიყავს.

ერთხელ, ასეთი ზღვის ღელვის შემდეგ, როგორც ყოველთვის, ნაპირზე გამოეფინნენ განძეულის მაძიებელნი. აწ განსვენებულ მეგობართან – მერაბ ხომერიკთან ერთად გავედი ზღვის ნაპირზე და ,,მაძიებლებს“ შევუერთდით. ნაპირზე ჯოხებით ვჩიჩქნიდით სილას. მივუახლოვდით ერთ წყვილს ჩვენი ,,ხელსაწყოებით“ ´– (იქვე ნაპირზე გამორიყული ჯოხებით). ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ, ამ დროს მერაბმა ხელიდან რგოლის ნიშნობის ბეჭედი მოიხსნა და წყვილის შორიახლო შეუმჩნევლად ძირს დააგდო, ფეხით ღრმად ჩაძირა სილაში და დაიწყო იმ ადგილის ენერგიულად ჩიჩქნა, შემდეგ მათ სთხოვა ცოტა წინ წაწეულიყვნენ. მათაც არ დააყოვნეს და ოდნავ ირონიული ღიმილით წაიწიეს წინ, ხოლო როდესაც ჩემმა მეგობარმა მის მიერვე ჩაძირული ბეჭედი ამოჩიჩქნა, სიხარულით შესძახა ,,იეს“: ხელში ბეჭედს ატრიალებდა საზეიმოდ, გადაადგილებულმა წყვილმა პირი დააღო და ოდნავი დაყოვნების შემდეგ, მათ შორის კამათი დაიწყო – ერთმანეთს აბრალებდნენ დოყლაპიობას. ამის შემყურენი ვიცინოდით – ოინი გამოგვივიდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, მათი დაპირისპირება სერიოზულად რომ არ გამწვავებულიყო, მერაბმა მათ ყოველივე გაუმხილა.

კიდევ ერთი არგუმენტი; ვარ ბათუმის ,,აკადემიის“ წევრი. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ,,**აკადემიის**“ დამაარსებელს კარგად იცნობს საზოგადოება. ის საოცარი პიროვნება, ნაღდი ქართველი, მწერალი და დრამატურგი, ადამიანთა გამორჩეულად მომფერებელი, ჟურნალ „ჭოროხისა“ და შემდგომ გაზეთ „აჭარის“ რედაქტორი ალექსანდრე (ალი) სამსონია გახლდათ. „აკადემიის“ შექმნის მიზეზი ფინჯანი ყავა გამხდარა, რომელზეც ყოველდღიურად იკრიბებოდნენ სასტუმრო „ინტურისტის“ ცნობილ კაფეში. ხშირად ყავას, რა თქმა უნდა, ღვინო და „შესაბამისი“ სადღეგრძელოებიც მოჰყვებოდა ხოლმე. აქ დადიოდნენ ბათუმში მცხოვრები

სხვადასხვა პროფესიისა და თანამდებობის ადამიანები: მსახიობები, მწერლები, მინისტრები, ინჟინრები... თამამად შეიძლება ითქვას, ქალაქის რჩეული საზოგადოება. მერე ე.წ. აკადემიამ რესტორან „აჭარაში“ გადმოინაცვლა.

აკადემიელები, 2014 წელი

მაგრამ, როგორც ყველაფერი, რესტორან „აჭარის“ შენობაც გაიყიდა და „**აკადემიელები**“ ყავისა და თავშეყრის ადგილის გარეშე დარჩნენ, მათი ერთად ყოფნის სურვილი იმდენად დიდი ყოფილა, რომ შესაფერი ადგილი კაფე-ბარ „საამო“-ში გამოუნახავთ, ესეც ალბათ ბატონი ალის დამსახურება იყო, რადგან კაფე ზუსტად გაზეთ „აჭარის“ რედაქციის შენობის მოპირდაპირედ მდებარეობდა. მას შემდეგ აქ იკრიბებიან ,,აკადემიელები“.

სანამ ბულვარის კოლონადების შესახებ სიმართლეს არ დავადგენდი და არ დაველოდებოდი, რომ ეს ყოველივე საინფორმაციო დაფაზე ასახულიყო, მანამდე დრო უქმად

რესტორანი ,,სალხინო“

არ დამიკარგავს და გამოვეცი წიგნები: ,,ბათუმის აკადემია“, რომელშიც მოთხრობილია აკადემიის შექმნაზე, პირველ აკადემიელებზე და აკადემია დღეს... ,,ალი სამსონია“, ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“ და ახლახან კი ,,აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა“.

ბოლო წლების მანძილზე ბულვარის ტერიტორიაზე გაიხსნა რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, კაფე და რესტორანი, ხოლო ყოფილ რესტორან **,,სალხინოს“** ადგილზე, რომელიც თავისი არქიტექტურული სანახაობით ოდითგანვე ამშვენებდა ბულვარს და დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ბათუმელებსა და ჩამოსულ სტუმრებს, სანაცვლოდ სასტუმრო „შერატონი“-ს საცურაო აუზი აშენდა და, მე ვიტყოდი, ამით დაამახინჯეს ბულვარი...

ბაღთან დაკავშირებით ბევრის თხრობა შეიძლება, მაგრამ ეს ყოველივე შორს წაგვიყვანს, ყურადღება კი ნამდვილად არის გასამახვილებელი ზოგიერთ საკითხზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის თემაზე მუშაობის პროცესში გადავწვიტე ყოველი წყარო გამომეყენებინა და ისინი ერთად დღის სინათლეზე ისევ გამომეტანა.

ბათუმის შესახებ

ბათუმისა და მის მიდამოებში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (გორა, სადაც VI ს-ში ციხე აიგო, მოსახლეობა დღეს **,,თამარის ციხეს"** უწოდებს) ადასტურებს, რომ ეს მიდამოები ადამიანის მიერ ათვისესებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე. ისტორიული ცნობა: ამონარიდი ქართული ენციკლოპედიიდან, 1997 წლის გამოცემა.

ადრინდელ ანტიკურ ხანაში აქაურ მოსახლეობას ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. ძვ. ბერძნები ამ პუნქტს „ბათუსის“ (Bath us) სახელით იცნობდნენ (პირველად მოხსენიებული აქვს **არისტოტელეს**).

„**ბათუმის ისტორიიდან**: – გასული საუკუნის ზოგიერთი მკლევარი ბათუმის საწყისებს ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ვარაუდობს, ამ მოსაზრებაში პირველად ეჭვი შეიტანა ი.კალფოღლუმ 1906 წელს და მას შემდეგ ამით არავინ დაინტერესებულა“.

საბჭოთა პერიოდში, როცა ბერძნულ-რომაული წყაროების შესწავლა მეცნიერულ დონეზე განხორციელდა, კვლავ მიექცა ყურადღება ბათუმის უძველეს წარსულს და არაერთი საგულისხმო მოსაზრებაც გამოითქვა. განსაკუთრებით საინტერესოა რომაელი მწერლის **პლინიუს უფროსის** (23-79) და რომაელი მოხელის **არიანეს** (ჩვენს მხარეში იმოგზაურა ახ. წ. აღ. 134 წელს) ნაშრომებში მოხსენიებული მდინარე „ბათუს“ და მის მიდამოებში ომონიმური დასახლების არსებობის ვარაუდი.

უცხოური წყაროების შესწავლისას ბათუმი არქეოლოგიურად შეუსწავლელი იყო, რის გამოც საკითხის არსში ამაზე უფრო ღრმად შეჭრა ვერ ხერხდებოდა. ასე გაგრძელდა 1961 წლის გაზაფხულამდე, ვიდრე ბათუმის თავდაპირველ ადგილსამყოფელზე ტრაქტორი არ აგუგუნდა და მიწის წიაღიდან ძველი საბერძნეთიდან შემოტანილი შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ნაშთები არ ამოყარა. ეს ძეგლები ძვ. წ. აღ. V-IV საუკუნეს მიეკუთვნებოდა და, მაშასადამე იმ დროს ბათუმის ისტორიაზე საკმაოდ მეტყველ მასალებს გვაწვდიდა. მართალია ეს აღმოჩენები არც თუ ისე საჭირო ღონისძიებას (მუშაობა მიმდინარეობდა „თამარის გორაზე“ რესტორნის ასაშენებლად) მოჰყვა, მაგრამ შემთხვევით აღმოჩენილი მასალების მნიშვნელობამ ერთგვარად დააჩქარა ამ ძეგლის მეცნიერული შესწავლა. ამ საქმეს 1962 წელს შეუდგა საქართველოს სსრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქ. სსრ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიცია აკადემიკოს **ნ. ბერძენიშვილის** ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური გათხრები **„თამარის გორაზე“** 1963 წელსაც გაგრძელდა და დიდმნიშვნელოვანი შედეგებიც გამოიღო. გამოვლინდა ბათუმის ისტორიის მეტად მრავალფეროვანი მასალები და კიდევ უფრო ჩაღრმავდა მისი საწყისების ქრონოლოგია. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აშკარა გახდა, რომ ,,თამარის გორაზე“ და მის მიდამოებში ადამიანის ცხოვრება-შემოქმედება დაწყებულა არა ძვ. წ. აღ. V-IV საუკუნეში, როგორც ამას 1961 წლის აღმოჩენათა შედეგების საფუძველზე ვარაუდობდნენ, არამედ ბევრად უფრო ადრე.

ანტიკურ ხანაში ბათუმის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ბერძნულ სამყაროსთან ადასტურებს ,,თამარის გორაზე“ აღმოჩენილი მრავალნაირი ჭურჭლის ნაშთები.

ბათუმს და მის მხარეს კარგად იცნობდნენ ძველი ბერძნები. ამას მოწმობს **არისტოტელეს** (384–322) ერთ-ერთ ნაშრომში ,,ბათეა“-ს მოხსენიებაც. ასეთივე დადასტურებაა განთქმული ბერძენი ორატორის **დემოსთენეს** ბათუმელობის ვარაუდი და აგრეთვე ზოგი სხვა ცნობაც.

სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი **დ. ბაქრაძე** ერთ უცხოურ ნაშრომზე **(Historre des Bas-Empires xx, 501)** დაყრდნობით, ბათუმში II საუკუნეში რომაელთა გარნიზონის ყოფნას ვარაუდობს.

ეს შეხედულება შემდეგ ჟურნალისტმა **ფრენკელმაც** გაიზიარა, მაგრამ იგი მაინც და მაინც სარწმუნო არ უნდა იყოს.

იმ პერიოდში შავი ზღვისპირეთის ამ ნაწილში აფსარ-გონიო მეწინავეობდა და რომაელთა გარნიზონიც იქ იდგა. მოგვიანებით ბიზანტიელებმა **,,ქაჯეთის ციხე“ (,,პეტრა“)** გაამაგრეს და ეგრისში თავიანთი ბატონობის მთავარ საყრდენად აქციეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავდაპირველად ბათუმს არც ძველ რომაელთა პოლიტიკური გეგმებისათვის და არც ბიზანტიურისათვის ენიჭებოდა მნიშვნელობა. მას მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიელთა განდევნის შემდეგ მიექცა ჯეროვანი ყურადღება. ამას მოწმობს ,,თამარის ციხის" უძველესი ფენის ასაკი.

ამ შუქზე **ბაგრატ IV** მიერ ბათუმის გაქალაქების ღონისძიებაც არ უნდა იყოს უსაფუძვლო, როგორც ამაზე თავის დროზე მიუთითებდა **პლატონ იოსელიანი**.

ციხე ,,თამარის გორაზე" არც შემდეგ მოშლილა და ,,მცირე ქალაქი" მის გარშემო გვიან საუკუნეებშიც არსებობდა.

XV საუკუნის შუახანებიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალეთი მოეძალა. XVI საუკუნის 40-იან წლებში მტერმა მიიტაცა ჭანეთი (ლაზეთი) და ბათუმშიც შეიჭრა. ოსმალებმა სწორად შეაფასეს ბათუმის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს მიმართებით თავიანთ აგრესიულ პოლიტიკაში და მაშინვე შესდგომიან მის გამაგრებას.

ბათუმის დიდ სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე საქართველო-ოსმალეთის იმდროინდელ ურთიერთობებში ნათლად მეტყველებს ის გამუდმებული ბრძოლაც, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა მოწინააღმდგე მხარეთა შორის. XVII საუკუნის დამდეგს ამ ხანგრძლივ ბრძოლაში ოსმალებმა იძალეს და მტკიცედაც დამკვიდრდნენ ბათუმში. ასე გაგრძელდა 1878 წლამდე, ვიდრე ოსმალეთი რუსეთთან ომში არ დამარცხდა და იძულებული გახდა დაეთმო ბათუმი და მასთან ერთად მიტაცებული ქართული მიწა-წყალი.

ოსმალთა 1704 წლის შემოსევის დროს, რომელიც სულთან ახმედ მესამის ბრძანებით განახორციელა ვაზირმა ჰასან-ფაშამ, ბათუმის ძველ ციხეს მიაშენეს ახალი, დასავლეთის ფრთა ე. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ბურუნ თაბიეს“ სიმაგრე, რასაც ამ ციხის მახლობლად ქალაქის განაშენიანება მოჰყვა და შემდეგ ქალაქის ცენტრმაც აქეთ გადმოინაცვლა.

იმის გამო, რომ ნავსადგურიც ახალი სიმაგრის მიდამოებში იმყოფებოდა, აქვე გადმოიტანეს ქალაქის მმართველობა და მეჩეთიც აქვე ააგეს. ყოველივე ამან იძულებული გახადა მოსახლეობა, თანდათან დაეთმო ძველი ბათუმის მიდამოები და ქალაქის ოსმალთა ნაწილში დასახლებულიყო.

მოგვიანებით ოსმალებმა ბათუმში კიდევ ერთი ახალი სიმაგრე ააგეს. იგი მდებარეობდა ნავსადგურის აღმოსავლეთით, მდინარე სარ-სუ-ს მარჯვენა ნაპირზე, იგი ამავე სახელითაც იწოდებოდა.

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმი უფრო სოფელს წააგავდა, ვიდრე ქალაქს, ამას მოწმობს ფრანგი კონსული **ადრიანე დიუპრეს** ჩანაწერები. ადრე დიუპრესემ ქალაქი 1807 წელს ინახულა და აღწერა. მისი ცნობით, ,,რეიდი არ იყო გამაგრებული. ერთადერთი ხის კოშკი ქვის საძირკველზე იყო აგებული, ირგვლივ თხრილშემოვლებული, მაგრამ უზარბაზნოდ, ზედ ბაზრის შესასვლელთან. კომენდანტის სახლი ქვის კოშკით იდგა მეოთხედი ლიეს მანძილზე ქალაქის ჩრდილოეთით. ქალაქის ბაზარი შედგებოდა დაახლოებით 50 სავაჭროსაგან, რომლებშიც იყიდებოდა უმნიშვნელო ღირებულების საგნები. იმ დროს ბათუმის მოსახლეობა არ აღემატებოდა 2000 კაცს.

მომდევნო პერიოდში თითქოს და მოსალოდნელი ყოფილა ქალაქის მოსახლეობის ზრდა, მაგრამ პირიქით კი მომხდარა: XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს ბათუმის მცხოვრებთა რიცხვმა იკლო და 1 400-ს შეადგენდა. ეს რეგრესი გამოიწვია ქალაქის მძიმე სანიტარიულმა პირობებმა. განსაკუთრებით მძლავრობდა მალარია. დაჭაობებული გარეუბნები და ბრინჯის ნათესები კოღო ანოფელექსის გამრავლებას იწვევდა.

ასე გამოიყურებოდა ბათუმი გასული საუკუნის 20-იან წლებში. თუ როგორ ვითარებაში დაუხვდა ქალაქი განმათავისუფლებელ არმიას, ამას გვამცნობს რუსი სამხედრო კორესპონდენტის ა. ფრენკელის ჩანაწერები. იგი აღნიშნავს, რომ ქალაქსა და მის შემოგარენში მეფობდა ,,სიმყრალე და უწმინდურობა“, სასტუმროები უხეირო და ჭუჭყიანი, სავაჭროთა უმეტესობა – ძველი და ნახევრად დანგრეული, მოსახლეობის ერთადერთი თავშესაფარი საყავე იყო, არც ერთი ბაღი და საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულება არ არსებობდა.

ამ დროისათვის ბათუმი ვერც თავისი მრეწველობით იქცევდა ყურადღებას და ვერც შინაგანი თავისებურებით. მის უმთავრეს ღირსება უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა გახლდათ. ბათუმის მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს მიუთითებდნენ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. მარქსიზმის ფუძემდებლებმა ბრწყინვალედ შეიცნეს ,,ბათუმის, როგორც აზიაში სამხედრო მოქმედებათა გასაღების“ – მნიშვნელობა და ის სავარაოდო წარმატებები, რაც მისი ხელში ჩაგდებით ელოდა რუსეთს. ამიტომ იყო, რომ რუსეთი ასე დაჟინებით მიიწევდა ბათუმისაკენ, მიზანსაც მიაღწია. ამ პროგრესულ აქტში დიდი როლი, რასაკვირველია, შეასრულეს ქართველებმაც.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში ზეიმით შემოვიდა განმათავისუფლებელი ლაშქარი და ამ ძველისძველი ქართული ქალაქის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო.

ქალაქმა თანდათან იცვალა სახე, გაფართოვდა, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები, განსაკუთრებით ენერგიულად მიმდინარეობდა ბრძოლა ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1882 წლიდან დაიწყო ჭაობებისა და წვრილ-წვრილი წყალსაცავების ამოშრობა. პირველი მნიშვნელოვანი მონაპოვარი ამ მხრივ იყო ე.წ. ჟილინსკის მაგისტრალური არხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ამოაშრო ჭაობი ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. შემდეგ ასეთივე ღონისძიებანი განხორციელდა ქალაქის შემოგარენშიც და ა. შ.

ქალაქის კეთილმოწყობისა და კლიმატის გაჯანსაღებისთვის ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა 1888 წლიდან, როცა ბათუმში საქალაქო თვითმმართველობა დაარსდა.

ამ დაწესებულებამ კიდევ უფრო გააცოცხლა ჭაობების დაშრობის ღონისძიებები, გააუქმა სასაფლაო ქალაქის ცენტრში და იგი ქალაქგარეთ (სოუქ-სუზე) გადაიტანა.

საქალაქო თვითმმართველობისავე მეცადინეობით ამოივსო ქალაქში ,,პატარა ტბა“, რომლის ადგილზეც შემდეგ აშენდა საავადმყოფო, კათოლიკური ეკლესია და სხვა დაწესებულებანი.

ამავე ორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია საზღვაო ნავსადგურს და მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა მისი რეკონსტრუქციისათვის, აიღო სარი-სუს ოსმალური სიმაგრე, გაიყვანა ახალი წყალსადენი ლეჩადან (მდ. ყოროლისწყლის შენაკადი), ააგო ელექტროსადგური (540 ცხენისძალისა), შეუდგა ქუჩებზე ქვაფენილების დაგებას და გამწვანებას. ქალაქის კეთილმოწყობის ეს პროგრესული ღონისძიებანი, ცხადია, თავისუფალი ვერ იქნებოდა იმდროინდელი სოციალური შეზღუდულობისაგან. ამ სახის სამუშაოები ძირითადად ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა, სადაც პრივილეგირებული ნაწილი ცხოვრობდა, მუშათა უბნები კი თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

რკინიგზის გაყვანამ და ნავსადგურის გახსნამ, წარმოებისა და ტვირთბრუნვის ზრდამ ბათუმი თანდათან გადააქცია ამიერკავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ბათუმი უკვე მტკიცედ დადგა ისეთი სამრეწველო და განვითარებული ქალაქების გვერდით, როგორიც იყო ბაქო და თბილისი.

ამ პერიოდში ბათუმში დიდად გაიზარდა მუშათა რაოდენობა, რასაც მოჰყვა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება. თვითმპყრობელური რეაქციის გაძლიერების შედეგად ეს აღმავლობა მალე შეწყდა და ბათუმის სამრეწველო მაჯისცემაც მკვეთრად შენელდა.

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, ხოლო 1918 წლიდან ბათუმი და მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო სხვადასხვა ჯურის ოკუპანტების (ოსმალები, ინგლისელები და სხვ.) სათარეშო ასპარეზად იქცა. ძალზედ მძიმე და ხშირად ცვალებად პოლიტიკურ სიტუაციათა მიუხედავად ბათუმის სახელოვანი პროლეტარიატი მაინც არ ცხრებოდა და ბრძოლას განაგრძობდა... და 1921 წლის 18 მარტს ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა, თუმცა ისტორია შორს წაგვიყვანს. ახლა კი მივყვეთ **დავით კომახიძის** მონათხრობს, თუ როგორ ვითარდებოდა ბათუმი და როგორი გახლდათ ის მეოცე საუკუნის მიწურულს:

დავით კომახიძე

,,საქართველოს საზღვაო ჭიშკარი – ბათუმი დღეს ჩვენი ქვეყნის არა მარტო სილამაზით განთქმული ქალაქი-პარკია, არამედ – მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. (ამ სიტყვების ავტორი გულისხმობდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეს). ბათუმი და მისი შემოგარენი მთელი წლის განმავლობაში მწვანე სამოსელშია გახვეული, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ამ ზონის სივრცობრივი კომპოზიციისათვის. თუ ადრე ბათუმში ქვა დომინირებდა,

ხოლო ქუჩებს ორსავე მხარეს გასდევდა მიჯრით ჩამწკრივებული სახლების მთლიანი ყრუ კედლები, დღეს ქალაქის მთელ ტერიტორიას, მის ფართო და ნათელ ქუჩებს, ბაღებსა და ზღვისპირა ბულვარს პალმები და ბანანები, დრაცენები და კედრები, აგრეთვე მრავალი უჩვეულო ფორმისა და იერის ეგზოტიკური ყვავილი ამშვენებს. თბილმა ზამთარმა და ნალექების სიუხვემ ბათუმის მთელი სანაპირო სუბტროპიკების ნამდვილ სამეფოდ აქცია.

სოციალისტური ბათუმი წლითიწლობით იცვლიდა სახეს. ფართოვდებოდა ქუჩები, გაჰყავდათ სუბტროპიკული მცენარეებით დამშვენებული ახალი მაგისტრალები. იქმნებოდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი რაიონები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აშენდა უახლესი სამამულო ტექნიკით აღჭურვილი, ათობით მძლავრი საწარმო. მათ შორის: ნავთობგადასამუშავებელი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ელექტროტექნიკური, საყოფაცხოვრებო მანქანების, ელექტროხელსაწყოების, ქიმიურ-ფარმაცევტული, რძის, პურის, ავეჯის, ფეხსაცმლის ფაბრიკა–ქარხანის, ხის დასამუშავებელი, ციტრუსების, ხორცისა და სხვა კომბინატები.

მეცნიერებისა და ტექნიკის უწყვეტი პროგრესი განსაზღვრავს ქალაქის განაშენიანების ახალი დაგეგმარებითი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობას, როგორც წესი განაშენიანება უნდა იყოს მოხერხებული არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ შემდგომი თაობებისათვისაც. ამ ამოცანების შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა ქალაქის უფრო მიზანშეწონილი დაგეგმარებითი სტრუქტურის გამოყენება, რაზედაც ახლა ენერგიულად მუშაობენ სპეციალისტები. ასეთი მუშაობა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს ბათუმში, რათა შემდგომში ჩვენი ქალაქი უფრო კეთილმოწყობილი გახდეს“.

მაგრამ ყოველივე ეს იყო წარსულში; ზემოხსენებული ფაბრიკები, ქარხნები და კომბინატები ბოლო ოცდახუთი წლის

მანძილზე პოლიტიკური ცვლილებების ფონზე მოიშალა და განადგურდა. ხალხს ხელიდან გამოეცალა სამუშაო ადგილები, ადამიანები გაუსაძლისი მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.. ათასობით ჩვენი თანამოქალაქე იძულებული გახდა ლუკმაპურის საშოვრად გადახვეწილიყო საზღარგარეთ და იქიდან ერჩინათ უმწეოდ მიტოვებული ოჯახის წევრები...

ბათუმში, ერთ თურქეთიდან ჩამოსულ ჩვენებურს, ქალაქის დათვალიერებისას თავის ნათესავისთვის გულისტკივილით უთქვამს, – ,,კარგახანს ძალზედ გაგიჭირდებათ ცხოვრება, რადგანაც თუნდაც ერთი ქარხნიდან ამომავალი კვამლიც კი ვერსად შევამჩნიეო“... ამას დალოცვილი ჩვენებურის დასტური რად უნდა, გაჭირვებაში ხალხი ისედაც სულს ღაფავს, გავიფიქრე ჩემთვის, ისე, რომ მეგობარს არც კი გამოვპასუხებივარ, საჭიროდ არ მივიმჩნიე, ისიც ხომ ჩემსავით, ამ ქალაქის მკვიდრი გახლდათ...

ბათუმმა ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად იცვალა იერსახე, აშენდა და კეთილმოეწყო ჩვენი ქალაქი, ცოტა ხნითაც კი თავის სამანს მოწყვეტილი ბათუმელი ნამდვილად ვერ იცნობს თავის ქალაქს, მაგრამ ამასთან საგრძნობლადაც ,,დამახინჯდა“. ქალაქისათვის შეუფერებელი, უსახური მრავალსართულიანი შენობებითა და ძეგლებით, ზოგან ისეთი ინტენსიურობით აღმართულა ბათუმისთვის უჩვეულო ,,ცათაბჯენები“, რომ მზის სხივებსაც ,,უმალავენ“ ერთმანეთს და ამის გამოცაა, რომ სუნთქვაც კი ჭირს შუა ქალაქში.

ბათუმი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ულამაზეს და თვალსაჩინო ქალაქად იქცა“.

,,საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი ოთხმოცდაათი წლის **დავით კომახიძე** კონსტანტინედ მოინათლა სვეტიცხოველში. 90 წლის დიდ ქართველს პირობა მიუცია კათალიკოსისათვის – ქრისტიანულ ტაძარს ავაშენებო. ბათუმში დაბრუნებულს შვილისთვის თეიმურაზისთვის უთქვამს – **,,... კათალიკოსს** ქრისტიანული ტაძრის აშენების პირობა მივეცი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა სერაფიმე და დავით კომახიძე თამარის სახელობის ეკლესიის მშენებლობაზე

იდეა ჩემია, მისი შესრულება კი უშუალოდ შენი საქმეაო...“ აკი შეასრულა თავისი აღთქმა საუკუნის მიახლოებულმა დიდმა ქართველმა, აწ **კონსტანტინედ** წოდებულმა დავით კომახიძემ. თამარის სახელობის ტაძარი, დღეს რომ ასე ამშვენებს ბათუმის შემოსასვლელს, მამა-შვილის დიდი ღვთიური მადლის გამონაშუქია. **დიდი თამარის** სახელობის ეკლესიის ხატებით შემკობაში დიდი წვლილი ბატონ თეიმურაზ კომახიძის მეუღლეს, ქალბატონ **ნარგიზ აბაშიძესაც მიუძღვის**.

ბათუმის ბულვარის შესახებ

ბათუმს შავიზღვისპირეთში მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან და მე–20 საუკუნის ასწლეულში ხშირად ადარებდნენ ბაბილონს და სწორედაც ასეა, აქ ჩამოდიოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული პიროვნებები პლანეტის სხვადასხვა ქვეყნებიდან. ისინი ალექსანდროვის ბაღს სტუმრობდნენ და სეირნობდნენ ბათუმის ბულვარის ხეივანში.

ბათუმელთა საყვარელ ბულვარში შეიგრძნობა ქალაქის ცხოვრების პულსი, იქ ვხდებით ერთმანეთს, ვბაასობთ, ვუზიარებთ გულის ნადებს, ვასეირნებთ ბავშვებს, მოდიან მექორწილე წყვილები სურათების გადასაღებად და, რა თქმა უნდა, მოსიყვარულე წყვილების შეხვედრების ადგილია იგი.

ჰოდა, ამ ედემ ბაღში დიდი შრომა და ჯაფაა ჩადებული ბულვარის თამშრომლების მხრიდან და სწორედ მათზე მინდა მოგითხროთ, მაგრამ მანამდე მოკლედ გადავხედოთ ბულვარის დაარსების ისტორიას, ის ხელმისაწვდომია ინტერნეტში და სხვადასხვა საგამომცემლო წყაროებითაც. თუმცა ბულვარის ხელმძღვანელობის არქივში არსებული საბუთებითა და მასალებით ვიხელმძღვანელე, რომლებიც მათი იდენტურიცაა, მაგრამ იქ უფრო სიღრმისეული მასალები მოვიპოვე ბულვართან მიმართებაში.

ბულვარი ყოველთვის იყო ბათუმელებისა და ტურისტების საყვარელი სასეირნო ადგილი. ბულვარიდან შესანიშნავი ხედია ზღვაზე, საიდანაც დარში კარგად მოჩანს კავკასიონის თოვლიანი მთები. უშუალოდ პლაჟზე და ფართო ხეივნებში, სადაც მუდამ გრილი ნიავი უბერავს, ჩადგმულია მოხერხებული სკამები, სადაც დამსვენებლებს შეუძლიათ დატკბნენ ბაღის დეკორატიული ნარგავების ცქერით, მუდმივად ცვალებადი ზღვის, ახლომდებარე გორაკებისა თუ მზის ჩასვლის ულამაზესი ხედებით.

უძველესი ქართული ქალაქის ბათუმის ბულვარი თავისი დაგეგმარებით, ფლორის მრავალფეროვნებით, კლიმატითა და ადგილმდებარეობით, მსოფლიოში ერთ-ერთ მიმზიდველ დასვენების ადგილს წარმოადგენს, იგი ქალაქის ჭეშმარიტი თვალმარგალიტია და ტურისტ-ნატურალისტთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ინტერესს იწვევს. ბათუმის ბულვარმა ბოლო წლების განმავლობაში თავისი შინაარსი კიდევ უფრო გაამდიდრა. მისი საზღვრები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ფართობი შეივსო სრულიად ახალი დეკორატიული მცენარეულით. ზღვისპირა ბულვარი ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს, ფართო ზოლად მიუყვება ზღვის სანაპიროს და მოქცეულია პლაჟსა და განაშენიანების სანაპიროს შორის.

ბულვარის დაარსების იდეა ეკუთვნის ქალაქ ბათუმის პოლიცმეისტერს თევდორე ვაზნესენსკის. იდეას მხარი დაუჭირა ბათუმის ოლქის მაშინდელმა სამხედრო გუბერნატორმა გენერალ–მაიორმა ა.მ. სმეკალოვმა, რომელმაც 1881 წელს ფოთიდან მოიწვია ცნობილი მებაღე-ინჟინერი, პრუსიის ქვეშევრდომი **რესლერი** და დაავალა ზღვის სანაპიროზე ბულვარის გაშენება. რესლერმა თავის მოსწავლესთან **რეიერთან** ერთად ხელი მიჰყო ქალაქის ბაღის გაშენებას (დღევანდელი ცენტრალური ბაღი, ყოფილი პიონერთა პარკი), რომლის დამთავრების შემდეგ აპირებდა ბულვარის გაშენებასაც, მაგრამ 1884 წლის 6 ივნისს მებაღე **რესლერი** გარდაიცვალა და დაწყებული საქმე დაუმთავრებელი დარჩა.

ა. მ. სმეკალოვი

ერთი წლის შემდეგ, 1885 წლის 4 ივნისს, დაწყებული ბულვარის მშენებლობის ხელმძღვანელად 5 წლის ვადით მოიწვიეს ფრანგი მებაღე **მ. დ'ალფონსი**. მანამდე მ. დ'ალფონსი ქალაქის მახლობლად, თავის საკუთარ მამულში, ზღვისპირა კონცხზე, „მცირე რივიერას" ჰქმნიდა.

პირველადი სამუშაობების ჩატარებისათვის გამოიყო 2 ათასი მანეთი და 1884 წლიდან დაიწყო ბულვარის გაშენება.

ბულვარს დასაწყისშივე ეწოდა ,,მეფისწულ ნიკოლოზი“-ს (,,ცარევიჩ ნიკოლაის“) სახელი. 1884 წლის ბოლოსათვის ბულვარში უკვე იყო გაშენებული ორი ხეივანი. ამათგან: ერთი (ბულვარნაიას ქუჩას) ახლ. ნინოშვილის ქუჩას მიჰყვებოდა გასწრივ. ამ ქუჩას უწინ ბულვარის ქუჩა ეწოდებოდა, ზღვასთან უფრო ახლოს იყო, მეორე კი ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა. ხეივნებს შორის მდებარეობდა სასეირნო-სავალი ბილიკი. ბულვარი იწყებოდა ბურუნ-თაბიესთან და გრძელდებოდა სობორის (დღევანდელი ,,ინტურისტი“-ს სასტუმრო) შესახვევამდე (ახლ. ნ. დუმბაძის ქუჩა).

მ. დ’ალფონსმა ბულვარი გაამდიდრა სამხრეთ საფრანგეთიდან გამოწერილი იშვიათი დეკორატიული მცენარეებით. თავდაპირველად დაიწყეს ბულვარის ორი ხეივნის გაშენება: ერთი ბულვართან არსებული ქუჩის (ამჟამად ნინოშვილის) გასწრივ, ხოლო მეორე პირდაპირ ზღვის სანაპიროზე. საყურადღებოა, რომ იმ დროს ქუჩიდან ბულვარის სანაპირო ზოლი დაშორებული იყო მხოლოდ 30 საჟენით, რაც 64 მეტრს უდრიდა (ამჟამად ზღვის სანაპირო ზოლი ამ ადგილიდან 350 მეტრითაა დაშორებული, რაც თავისთავად საინტერესო გეოლოგიურ პროცესს წარმოადგენს). მწვანე ზოლი იწყებოდა ციხესიმაგრე ბურუნ-ტაბიედან. პირველ წელს ხეივანმა მოაღწია სობორის (ახლანდელი ნოდარ დუმბაძის) ქუჩამდე. მდინარე ჭოროხის მიერ ნატანის ჩამოტანის შედეგად ზღვამ უკან დაიხია და შესაძლებელი გახდა მესამე და მეოთხე ხეივნების გაშენებაც.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბათუმის ბულვარი უკვე წარმოადგენდა შესანიშნავ დასასვენებელ ადგილს. მას **,,პატარა ნიცასაც“** უწოდებდნენ. 1895 წელს თავის მოგონებაში დოქტორი ერიქსონი წერს: ,,კავკასიაში არ არის ქალაქი, რომელიც უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდეს მნახველზე, ვიდრე ბათუმი... ძალაუნებურად მომხიბლა ამ ახალგაზრდა ევროპული ქალაქის სისუფთავემ“.

უცხოელებს განსაკუთრებით აოცებდათ მდიდარი მცენარეული საფარი, რომელიც ძვირფასი და იშვიათი ჯიშებისაგან შედგებოდა. ბათუმში ჩამოსულ რუსეთის იმპერიის არისტოკრატებსა თუ თანამდებობის პირებს პირად მოვალეობად მიაჩნდათ ალექსანდრეს პარკისა და ნიკოლოზის ბულვარის მონახულება და იქ ხის დარგვა. 1888 წელს ბათუმს ესტუმრა რუსეთის იმპერატორი **ალექსანდრე III** ოჯახით და პარკსა და ბულვარში ნარგავები დარგეს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბულვარი უკვე დასვენების ადგილს წარმოადგენდა. აი, რას წერს ექიმი ე. ერიქსონი 1900-იან წლებში ბათუმში მოგზაურობისას: ,,ევროპულ საზოგადოებრივ ბაღებთან შედარებით ბათუმის ბულვარი საოცრად უცხოდ გამოიყურება. მის მთავარი გაზონის გასწვრივ სათანადო მრავალფეროვნებითა და ჰარმონიულობითაა დარგული ცრუ ქაფურის ხეები, ფართოფოთლოვანი ნეკერჩხლები, პავლონიები, ბიგონიები და სხვა ხეები თუ ბუჩქები. ბილიკების გვერდით მწვანეში თავს იწონებენ მიმოზები და დიდი თეთრყვავილა მარადმწვანე მაგნოლიები, პირამიდული კიპარისები, სოჭი..“

1902 წელს ბულვარში შეიყვანეს ელექტროენერგია. გააკეთეს საცეკვაო მოედანი, სადაც ბათუმის მაშინდელი ელიტისთვის ბალ-მასკარადები იმართებოდა. საყურადღებოა, რომ 1902 წელს ყოფილი ჰოსპიტლის პირდაპირ (ამჟამინდელი სასტუმრო ,,შერატონი“) ბულვარის სიგანე მხოლოდ 53 მეტრს უდრიდა. ქალაქის ხელისუფლებამ ნ. ტყებუჩავას ინიციატივით ბულვარი საგრძნობლად გააფართოვა. ფართობმა 4.5 ჰექტარი შეადგინა, სიგრძე 1000 მეტრს, ხოლო სიგანე სხვადასხვა ადგილას 19–53 მეტრს შორის მერყეობდა. მცენარეთა სამყარო შეივსო ახალი ეგზოტიკური სახეობებით.

1889 წლის მაისიდან ბათუმის მებაღედ დაინიშნა რესლერის ყოფილი მოსწავლე, პრაქტიკოსი მებაღე – **ნესტორ ტყებუჩავა**.

1898 წლის თებერვლიდან 1902 წლამდე მებაღედ მოწვეული იქნა ნიკიტინის სასწავლებლის კურსდამთავრებული **აკაკი ხოშტარია**, ხოლო 1902 წლიდან 1906 წლამდე მებაღედ მუშაობდა თბილისის მებაღეობის სკოლოს კურსდამთავრებული **ი. ლეონიძე**. 1906 წლიდან კი მებაღედ დააწინაურეს იასონ გორდეზიანი.

1898 წელს ბათუმის ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა მებაღედ მოიწვია ნიკიტინის სასწავლებლის კურსდამთავრებული აკაკი ხოშტარია, რომელიც 1902 წელს თბილისის მებაღეობის სკოლის კურსდამთავრებულმა თავადმა იოსებ ლეონიძემ შეცვალა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქალაქგარეთ სანერგე მეურნეობის მოწყობა.

1903 წელს ქალაქის თავმა ივანე ანდრონიკაშვილმა ლეონიძის მოადგილედ დანიშნა თბილისის საბაღოსნო სკოლის კურსდამთავრებული იასონ გორდეზიანი, რომელმაც მთლიანად გადაახალისა ბულვარის მცენარეული, გააფართოვა სანერგე მეურნეობა, შექმნა ახალი სათბურები და საყვავილეები.

1975 წელს შემუშავდა ბათუმის ბულვარის დაგეგმარების პროექტი, რომელშიც განზრახული იყო მწვანე საფარის გაფართოება, პლაჟის გამიჯვნა და აქ კვების, სანიტარული პუნქტების, ფარდულების და ინვენტარის გასაქირავებელი პუნქტების მოწყობა. ამ გეგმის დიდი ნაწილი განხორციელდა, ამას დაემატა ფერადი შადრევნები, მოზაიკური ბილიკები, დეკორატიული ფარდულები, რამაც ბულვარი მოსახლეობის დასვენებისა და კულტურული მომსახურეობის სანიმუშო კერად ააქცია.

ბათუმის ბულვარის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საფრანგეთში განსწავლულსა და საქართველოს პატრიოტს **იასონ გორდეზიანს.** იგი იმჟამად ლონდონის სამეფო ბოტანიკურ ბაღში მუშაობდა და პროფესორ კრასნოვის თხოვნით სამშობლოში დაბრუნდა, რათა

ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საგანძურის ბათუმის ბოტანიკური ბაღის შექმნაში მიეღო მონაწილეობა. ბატონი იასონი ბათუმში 1913 წელს ჩამოვიდა, ხოლო ა. კრასნოვი 2014 წელს გარდაიცვალა და ბოტანიკური ბაღის გაშენება მთლიანად იასონ გორდეზიანის მხრებს დააწვა.1917 წელს ი.გორდეზიანი დაინიშნა ქალაქის პარკის, ბულვარის და სანერგეს მმართველად. 1933 წლამდე მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა ქალაქის პარკისა და ბულვარის ნარგავთა თითქმის მთლიანი განახლება. ბულვარის მთელ ტერიტორიაზე არავითარი ნიადაგი არ არსებობდა. იგი დაფარული იყო თიხისა და ქვიშის სქელი ფენით, რაც მდინარე ჭოროხს ჩამოჰქონდა ზღვაში. ამიტომაც ნარგავები ირგვებოდა 2,2, 1,2 არშ. სიღრმის ორმოებში, რომლებშიც თიხა ხელოვნურად იცვლებოდა ნიადაგით. დაირგა წიწვოვანი და დეკორატიული ხეები, კიპაროსები, 1,2,5 და 10-წლიანი ბუჩქოვანი მცენარეები. ბულვარის გრუნტი რიყის ქვისა და ქვიშის ფენას წარმოადგენდა. ამიტომ, ნარგავებისათვის საჭირო ხელოვნური ნიადაგის შექმნის მიზნით მიწას და ორგანულ სასუქს ახლომდებარე ადგილებიდან ეზიდებოდნენ. ამდენად, ბულვარის გაშენებამ ძალიან დიდი ძალისხმევა და ხარჯები მოითხოვა, მაგრამ ადამიანთა ყაირათიანი შრომისა და ნებისყოფის შედეგად ბულვარი ყველაზე კაზმულ ნაწილად იქცა მთელს ბათუმში და თავისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელ რუსეთის იმპერიაში. თავიდანვე ბულვარის ნარგავების ასორტიმენტი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და შედგებოდა წიწვოვანი, მარად მწვანე, ფოთლოვანი ხეებისა და ბუჩქების სხვადასხვა სახეობებისაგან, რომლებიც ისე ლამაზად იყო დაჯგუფებული, კარგად ფორმირებული და მშვენივრად დაგეგმარებული, რომ აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი. ცენტრალური ხეივნები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სწორი, მრუდე და წრიული

ბილიკებით, რომელთა შორის მოწყობილი იყო კლუმბები და გაზონები ხალიჩისებური ყვავილნარებით. 1935 წელს იასონ გორდეზიანს მიენიჭა სუბტროპიკული მეურნეობის დამსახურებული მოღვაწის წოდება. ი.გორდეზიანი 1960 წელს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ბათუმში. 2012 წელს ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბაღში ერთ-ერთ სკვერს მისი სახელი ეწოდა.

2013 წელს ენციკლოპედისტმა **ოთარ გაგუამ** იასონ გორდეზიანს წიგნი მიუძღვნა სათაურით **„დადგმული და დაუდგმელი ძეგლის ამბავი – იასონ გორდეზიანი“**, რომელშიც საუბარია იასონ გორდეზიანის დამსახურებაზე ბოტანიკური ბაღის განაშენიანების საქმეში. ასევე მის შესახებ მასალები გამოქვეყნდა ჟურნალებში – **„ჭოროხი“** (ბათუმი, 2012), **„საინტერესო ვერტიკალები“** (თბილისი, 2012), იყო არაერთი საგაზათო პუბლიკაცია... მკითხველს ვურჩევ მოიპოვოს ეს ნაშრომები და მას საგულდაგულოდ გაეცნოს. მერწმუნეთ, მასში ბევრ საინტერესო ფაქტს გაეცნობით და ბევრ რამეზე აზრი შეგეცვლებათ ბოტანიკურ ბაღთან მიმართებაში...

მოგვიანებით ბულვარში მოეწყო საჩოგბურთო კორტები, სადაც დღეს საერთაშორისო ასპარეზობებიც იმართება.

1977 წელს ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟდა ფერადი მუსიკალური შადრევნები. 2006-2007 წლებში იგი მოცეკვავე შადრევნებად გადაკეთდა და მრავალ მნახველს იზიდავს დღესაც.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბათუმი იძენდა სამკურნალო პულმანოლოგიური (სასუნთქი გზების და გულის სისხლზარღვთა მკურნალობის) კურორტის მნიშვნელობას.

სულ უფრო იზრდებოდა სამკურნალო მიზნით ჩამოსულ დამსვენებელთა რიცხვი. ბულვარის დასაწყისში, უშუალოდ ზღვისპირას მოთავსებულ ჰიდროპათიურ დაწესებულებაში შესაძლებელი იყო სასურველი ტემპერატურის ზღვის წყლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორტები

აბაზანების მიღება. უკანასკნელ ხანებამდე ამ შენობაში იყო ფასიანი პოლიკლინიკა. შენობა ახლაც დგას, მაგრამ იგი არ ფუნქციონირებს.

ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში, ბულვარის მიმდებარე ქუჩის პირას მდებარე კერძო შენობაში, 1889 წლიდან ფუნქციონირებდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია – საზოგადო საკრებულო. შენობა 1900 წელს დაიწვა, მაგრამ იგი ორი წლის შემდეგ ისევ აღადგინეს, რაც ბათუმის იმ დროინდელი საზოგადოებისათვის ამ დაწესებულების მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეს დაწესებულება, გასაბჭოების შემდეგ, 1929 წელს, წითელი არმიის სახლად გადაკეთდა და მას შემდეგ იგი ოფიცერთა სახლის სახელით იყო ცნობილი. გასართობთან ერთად საზოგადო საკრებულო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოფიცერთა სახლი

არაფორმალური განათლების კერასაც წარმოადგენდა – აქ ტარდებოდა ლექციები საზოგადოებისათვის სასარგებლო ცოდნის გასავრცელებლად. იგი ყოველდღიური შეხვედრების ადგილი იყო, სადაც თავს იქცევდნენ ჭადრაკის, შაშის, დომინოს თამაშით, ფუნქციონირებდა ბუფეტი. აქ მრავლად ეწყობოდა საოჯახო და საზოგადოებრივი საღამოები, მეჯლისები, მასკარადები. ბათუმი დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნების ხალხით და თითოეულ კოლონიას თავისი საქველმოქმედო ორგანიზაციები და სკოლები ჰქონდა. ამ ორგანიზაციების საჭიროებისათვის თანხის შესაგროვებლად აქ იმართებოდა სხვადასხვა მეჯლისები. მცირე ზომის სცენის მიუხედავად, საკრებულოს შენობა დიდხანს ითავსებდა დრამატული თუ საოპერო თეატრის ფუნქციას. საბჭოთა პერიოდში, გარკვეული დროის მანძილზე, აქ თოჯინების თეატრი იყო განთავსებული. ოფიცერთა სახლს გააჩნდა ღია და დახურული კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა. საინტერესო ისტორიის მქონე შენობა, რომელიც საუკუნის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანძილზე საზოგადოებრივი თავშეყრისა და კულტურული დაწესებულების ფუნქციას ასრულებდა, სამწუხაროდ 1997 წელს ტერიტორიის კეთილმოწყობის მოტივით იგი დაანგრიეს.

1925 წელს ბულვარში აშენდა ფეხბურთის სტადიონი, რომელსაც შემდგომ წლებში (1936, 1996, 2002) რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ზამთრის თბილი კლიმატური პირობების გამო საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი ნაწილიდან ფეხბურთის გუნდები ჩამოდიოდნენ ბათუმში, რათა აქ ღია ცის ქვეშ ევარჯიშათ. 2006 წელს სტადიონი დაანგრიეს და მის ადგილას ფეშენებელური სასტუმრო აშენდა. ამ სტადიონზე სხვა ჩემს თანაქალაქელებთან: აწ განსვენებულ **ბონდო გიორგაძესთან, ზაურ კაკუბერიასთან** და სხვა ბათუმელ თანატოლებთან ერთად 1964–65 წლების სეზონში ვთამაშობდი **„ნორჩ დინამოელთა“** გუნდის რიგებში.

ყოფილი „დინამოს“ სტადიონი

საზაფხულო თეატრი

საზაფხულო თეატრი დღეს

1886-94 წლებში ბულვარის ხეივნები გაგრძელებული იქნა ვოზნენესენსკის (ახლ. მელიქიშვილის) ქუჩამდე. 1897 წელს კი გაგრძელდა ციხის შესახვევამდე. ახლ. სასტუმრო ჰილტონი). მისი სიგრძე იყო 470 საჟენი (საჟ. = 2, 13 მ).

1948 წლების დასაწყისში მხატვრულად შეერწყა ბულვარის ანსამბლს **საზაფხულო თეატრი**, რომელიც წარმოადგენდა ულურსმნოდ აგებულ ხის შენობას. (არქიტექტორები: **კ.ჯავახიშვილი და ბ.კირაკოსიანი**). ზაფხულობით აქ იმართებოდა კონცერტები და სპექტაკლები საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობების მონაწილეობით. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე თეატრის შენობა 1996 წელს დაიწვა. ახლა მის ადგილას აშენდა დიდი ზომის თეატრი, რომელიც 800 მაყურებელზეა გათვლილი (ძველი შენობა მხოლოდ 300 მაყურებელს იტევდა). თუმცა ახალი შენობა ძველს წააგავს, მაგრამ მისი საფასადო და სიგრძივ დახურული თაღები იმაზე მიუთითებს, რომ იგი წლის ყოველ დროს გამოსაყენებლადაა აგებული.

ისტორიული პერიპეტიები საინტერესოდ აისახა ბულვარის ისტორიაში. 1952-1962 წლებში შადრევნების წინ აღმართული იყო ი.სტალინის ძეგლი, რომელიც 1962 წელს აიღეს, რასაც მღელვარე დემონსტრაცია მოჰყვა.

ი.სტალინის ძეგლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მემედ–ბეგ აბაშიძის ძეგლი

ასლან აბაშიძის მმართველობის დროს აქ მემედ აბაშიძის ძეგლი დადგეს, რომელიც ასლან აბაშიძის შემდეგ ბათუმის სიმბოლოდ მიჩნეულმა ქოლგიანი დელფინის ქანდაკებამ შეცვალა. 2008 წელს ამ ადგილას მომცრო ზომის, პლასტიური არქიტექტურული ფორმის ნაგებობა აღიმართა, რომელშიც მმაჩის ბიუროა განთავსებული.

1978 წლის სექტემბერში ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში **სამი ფერადი მომღერალი შადრევანი ამუშავდა (ავტ. პროფესორი აბრამიანი).**

70-იან წლებში ცნობილმა დრამატურგმა და მწერალმა **ამირან შერვაშიძემ განიზრახა მწერლების და პოეტების სკვერის მოწყობა**. ამ მიზნით უკრაინიდან ჩამოიტანა **ლესია უკრაინკასა** და ტარას შევჩენკოს ბიუსტები, რომლებიც კოლონადების ახლო სკვერში დაიდგა ნიშნად უკრაინისა და ბათუმის დამეგობრებისა. ამავე პერიოდს განეკუთვნება ალექსანდრე პუშკინის ბიუსტის დადგმა.

პლასტიური არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც მომავალში შეიცვლება ქვემოთ მითითებული პროექტით

დიზაინერი სალომე შავაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ფერადი მომღერალი შადრევანი

ალ. პუშკინი

ლესია უკრაინკა

ტარას შევჩენკო

1987 წლიდან ბულვარი საქართველოს საბაღე-საპარკო ხელოვნების ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია და ამასთანავე სარეაკრეაციო ზონას წარმოადგენს. ბულვარმა თავისი არსებობის ისტორიაში ჩამოყალიბებისა და განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო, მაგრამ მისი თანამედროვე ეგრეთწოდებული ,,რენესანსი" განსაკუთრებულია. 2004 წლის 1 ივნისს საზეიმოდ გაიხსნა განახლებული **საჭადრაკო კლუბი ,,ნონა",** 2005 წელს ბულვარის ტერიტორია გაგრძელდა

საჭადრაკო კლუბი ,,ნონა"

ნინოშვილის ქუჩის ბოლომდე და მისი საერთო ფართობი გახდა 70 ჰა. კეთილმოეწყო საპლაჟო ზოლი, დაიგო ფილები, დაირგო სხვადასხვა ჯიშის ნერგები, ჩაიდგა ქანდაკებები, განახლდა მინი ფერადი შადრევანი (საჭადრაკო კლუბთან), 11 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა არტაანის ტბის მუსიკალური (ეგერთწოდებული ,,ფრანგული") შადრევანი.

ფრანგული მოცეკვავე შადრევნები

ბათუმის, როგორც ღირსშესანიშნავი ადგილის განვითარებას და მის კეთილმოწყობას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ხელისუფლება. გამონაკლისი არც ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება იყო. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ბულვარი გაიზარდა სიგრძეში და გაჩნდა ახალი ბულვარი (სიგრძე 7 კმ-ს აღწევს) არტაანის ტბაში მოწყობილი ულამაზესი ფრანგული მოცეკვავე შადრევნებით. პლაჟზე გაკეთდა ბილიკები როგორც ველოსიპედისტებისათვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. გაჩნდა ახალი ქანდაკებები, შადრევნები და დეკორატიული ობიექტები. არასასიამოვნო ტენდენციებიდან აღსანიშნავია საზოგადოებრივი კვების ობიექტების (რესტორნები, კაფეები) სიჭარბე, რომელთა რიცხვი ბულვარის ისტორიულ ნაწილში 25-ს აღწევს, მთლიანად კი 70-ს. თუკი წინარე პერიოდში ამ ტიპის ნაგებობებს საპარკო ტიპის მსუბუქი კონსტრუქციის სახე ჰქონდათ, უკანასკნელ წლებში ისინი პარკისათვის შეუფერებელი ბეტონის კონსტრუქციებითაა ნაგები და მათი მასშტაბიც ბაღისთვის შეუფერებელია.

ბულვარის ზოგიერთ მონაკვეთში გაჩნდა ჩაკეტილი სივრცეები, ელიტარული დასასვენებელი ადგილები, როგორიცაა სასტუმრო „**შერატონის**“ კუთვნილი საცურაო აუზი. ამჟამად ყველაფერს შედარებით მოვლილი და სუფთა იერი ადევს, გაჩნდა საზოგადოებრივი ტუალეტებიც, მაგრამ კომერციული ობიექტების განვითარებასთან შედარებით გამწვანებას ნაკლები ყურადღება ექცევა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბულვარის გამეჩხერებულ და მოშიშვლებულ მწვანე საფარს აშკარად განახლება სჭირდება. იმის გამო, რომ აღარ არსებობს სანერგე, ბულვარის გამწვანება ძირითადად ძვირადღირებული შემოტანილი ნარგავებით ხორციელდება: ბოლო 5 წლის განმავლობაში ბულვარის ტერიტორიაზე 10 ათასზე მეტი სხვადასხვა სახის და ჯიშის ხე-მცენარის მრავალწლიანი ნერგია დარგული. პრობლემატურია კანონები,რომლებიც

სასტუმრო „შერატონის“ კუთვნილი საცურაო აუზი

უნდა არეგულირებდნენ მიწათსარგებლობისა და მშენებლობის საკითხებს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე. ზოგ შემთხვევაში ისინი არაადექვატურია. მაგალითად, ქალაქის განაშენიანების მოქმედი რეგლამენტით ბათუმის სარეკრიაციო ზონაში, რომელსაც მიეკუთვნება ბათუმის ბულვარი, ნებადართულია ისეთი ობიექტების განთავსება, რომელთა ფუნქციური დანიშნულება ეწინააღმდეგება ზონის შინაარს (სასტუმროები, კაფეები, რესტორნები, ზოოპარკები, სათამაშო ავტომატების დარბაზები, ადმინისტრაციის შენობები, ავტოსადგომები და სხვ.). მსგავსი დოკუმენტები ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ქმნის წინაპირობებს იმგვარი დარღვევებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასული წლის აპრილში.

2011 წლის აპრილში, ბათუმის ბულვარის ცენტრალურ ნაწილში მრავალწლიანი ნარგავების გაჩეხვამ და მის ადგილას ბიზნესცენტრის მშენებლობის დაწყებამ ადგილობრივი საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოეწყო საპროტესტო გამოსვლები, შედგა პეტიცია, დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მშენებლობის დაუყონებლივი შეწყვეტის მოთხოვნით. საზოგადოებისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბულვარში მშენებლობის დაწყება უმაღლესი პირის პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ დაიწყო ბულვარის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება და განცხადებით მიმართა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, მაგრამ სააგენტომ ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ბულვარის ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობა და ნებისმიერი მასთან დაკავშირებული დოკუმენტი მიეკუთვნებოდა საიდუმლო ინფორმაციას და კანონმდებლობით მისი გაცემა დაუშვებელი იყო. არასამთავრობოებმა სააგენტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ჯერ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – აჭარის ა. რ. განათლების, სპორტის და კულტურის სამინისტროში გაასაჩივრეს, ხოლო შემდეგ – ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სამართლებრივი დასაბუთების მიუხედავად სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

ბულვარის უძველესი ნაწილის ტერიტორიაზე მშენებლობა უკვე დასასრულს მიუახლოვდა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შენობის ნაწილს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი დაიკავებს, დანარჩენს კი – სხვა დაწესებულებები. მოსალოდნელია, რომ ამ მაღლივი შენობის ფუნქციონირებამ დღის წესრიგში დააყენოს მისივე გაფართოების საკითხი ბულვარის ხარჯზე. სამწუხაროა, რომ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების დროს არ არის გათვალისწინებული არც სპეციალისტთა აზრი და არც საზოგადოებრივი ინტერესები. უგულვებელყოფილია კონკრეტული ურბანული გარემოსათვის დამახასიათებელი ფასეულობები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათთან დაკავშირებული ღირებულებების შენარჩუნება მხოლოდ საზოგადოების აქტიურობისა და ძალისხმევის შედეგადაა შესაძლებელი.

ასევე ყურად საღებია ისიც, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს ბათუმის ბულვარში, საზაფხულო თეატრის მიმდებარე პლაჟზე დაიდგა რკინის კონსტრუქცია, ორი მამაკაცი. ერთ–ერთი დაჩოქილი სიყვარულის ნიშნად, ცეცხლად ანთებულ გულს ჩუქნის მეორეს, ფეხზე მდგომს.

მტკიცება არც სჭირდება იმას, რომ მამათმავლობის ეს აშკარა გამოხატულება უზნეობის ქადაგება და მხარდაჭერაა, მიუღებელი და აღმაშფოთებელია ჩვენი საზოგადოებრიობის

აბსოლიტური უმრავლესობისათვის, ამგვარი იდილია მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი კაცისათვის, არამედ ნებისმიერი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანისათვის, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა. დღესაც ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მის დაუყონებლივ აღებას მოითხოვს.

ამ მოძრაობას სათავეში უდგას **„აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“** (ხელმძღვანელი ნიაზ ბოლქვაძე), რომელსაც 2013 წლის მაისში ამ სკულპტურის, როგორც უზნეობის განსახიერებისა, აღების მიზნით წერილით მიმართა ქალაქის მერს, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესა და სხვა ინსტანციებს. წერილს ხელს აწერდნენ საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მოქანდაკეები, მხატვრები, მოქალაქეები, მაგრამ წერილის ადრესატები დღემდე დუმან. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, საზოგადოებას მიეცა პასუხი ქალაქის მერისა და საკრებულოს ერთობლივი წერილით: **„რომეო და ჯულეტა“**–ს ძეგლს ხელს ვერ ახლებენ.

აშკარად მამათმავლობის პროპაგანდა აკისრია, რაც ვფიქრობთ, მიღებული ,,ანტიდისკრიმინაციული კანონის“ და ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინების ჯაჭვის შემადგენელი ნაწილია და მის მხარდაჭერას ემსახურება, რაც დაუშვებელია!

ბულვარის სანაპირო ზოლი

მკითხველს გავაცნობ ანგარიშის ამონარიდს **,,აჭარის სანაპიროს ზვირთცემით წარეცხვის პრობლემი“**-დან (ანგარიშიდან: ,,ეკომიგრაცია: დიალოგი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის“ პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით).

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში სანაპირო ზონის ხმელეთის – ზღვის ნაპირის წარეცხვის პროცესი მეტად საჭირბოროტო პრობლემაა. აჭარაში მეოცე საუკუნეში ზღვის ტალღების მოქმედებით წარეცხილი სანაპირო ხმელეთის ფართობმა რამდენიმე ასეული ჰა–ს გადააჭარბა. მდ. ჭოროხის შესართავის რაიონში (დაბა ადლიის გასწვრივ) სანაპირო ხაზმა (ზღვისა და ხმელეთის შეხების ხაზი) აღნიშნულ პერიოდში 200–400 მეტრით უფრო მეტით უკან ხმელეთის სიღრმეში დაიხია, ხოლო ბათუმის ნავსადგურიდან მდ. ნატანების შესართავამდე (აჭარის ჩრდილო ადმინისტრაციულ საზღვრამდე) სანაპირო ხაზმა უკან დაიხია 100–200 მეტრით. შესაბამისი ექსპერტების მიერ აჭარის სანაპირო ზონის განვითარების თანამედროვე მორფოდინამიკა შეფასებულია, როგორც სტიქიური უბედურების მაღალი რისკის შემცველი. რისკი ვლინდება საშუალო სიძლიერის (3–4 ბალი) ტალღური შტორმების დროსაც კი. ასეთი შტორმების დროს აღინიშნება ზღვის ნაპირის გასწვრივ დასახლებულთა საცხოვრებელი სახლების, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის დაზიანების ან ნგრევა–განადგურების ფაქტები, რაც იწვევს მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუარესებას. აჭარის სანაპიროს ცალკეულ მონაკვეთებზე რამდენიმე ათეული ოჯახის საცხოვრებელი სახლი ძლიერი ზღვისმიერი ეროზიის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება, რაც მათ პოტენციური ეკომიგრანტების კონტინგენტთან აახლოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის სანაპირო ზონაში აშკარად აქვს ადგილი ზღვის ნაპირის მაღალი ტემპით წარეცხვის პროცესის განვითარებას. აშკარაა ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი პრობლემის აქტუალობა და მისი დეტალური ანალიზის აუცილებლობა.

ტალღების მოქმედებით ზღვის სანაპირო ხმელეთის წარეცხვის პრობლემა აქტუალურია არა მარტო აჭარის, არამედ, საერთოდ, საქართველოს საზღვაო სანაპიროსა და მსოფლიო ოკეანისა და მასთან დაკავშირებული ზღვების ნაპირებისთვისაც. ეს პრობლემა აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როცა დაიწყო ზღვათა სანაპიროების ინტენსიური სამეურნეო ათვისება.

მეოცე საუკუნეში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ნეგატიური ზემოქმედებისა და, ნაწილობრივ, გლობალური დათბობით გამოწვეული ზღვის დონის საშუალოდ 15–20 სმ ამაღლების გამო აჭარაში წარეცხილი სანაპირო ხმელეთის ფართმა 140–150 ჰა–ს მიაღწია. ზღვის ნაპირმა გავრცელების დიდ ნაწილზე უკან დაიხია 100–120 მეტრით. სანაპირო ხაზის უკან დახევის მაქსიმუმი სოფ. ადლიის რაიონში დაფიქსირდა, სადაც წაირეცხა 200–დან 400 მ–მდე სიგანის ხმელეთის ზოლი.

ზღვის ნაპირის წარეცხვის პროცესის შესაჩერებლად აუცილებელი გახდა ნაპირსამაგრი ღონისძიებების ჩატარება. სანაპირო ხმელეთის ზღვისმიერი ეროზიისაგან დაცვის მიზნით ფართოდ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ტექნოგენური ფორმა, ძვირად ღირებული საინჟინრო ნაგებობები – ტალღამრეკლი კედლები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის რკინაბეტონის მასივები, ტეტრაპოდები, რიაჟები, ხიმინჯები, დეზები, წყალქვეშა ზვირთსამსხვრევები და სხვ. ასეთი ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამოყენებამ ზღვის ნაპირის წარეცხვის პროცესი დროებით შეაჩერა. ამასთან ერთად, გარკვეული დროის შემდეგ ტალღების ზემოქმედებით აღნიშნული ნაგებობები მწყობრიდან გამოდიოდა, პლაჟის ზოლი ნადგურდებოდა, რის შედეგადაც

ზღვის ნაპირის გასწვრივ გროვდებოდა რკინაბეტონის ნაგებობების ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები.

შექმნილმა არასასურველმა მორფოდინამიკურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ზღვის ნაპირის დაცვისა და გამაგრების საკითხების ახლებური გადაწყვეტა – სანაპირო ზონაში პლაჟწარმომქმნელი ნატანის დეფიციტის აღმოფხვრა იმავე ნატანით ზღვის ნაპირის ხელოვნური საზრდოობის (ანუ ხელოვნური პლაჟების შექმნის) გზით.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში და, კერძოდ, აჭარის სანაპიროს გასწვრივ აღნიშნული მეთოდი გამოყენებული იქნა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება **„საქზღვანაპირდაცვის“** მიერ. აღნიშნული გაერთიანების მიერ 1982–1991 წლებში ზღვის ნაპირის დაცვისა და აღდგენის გენერალური სქემის საფუძველზე აჭარის სანაპირო ხაზის გასწვრივ, წყალქვეშა ფერდზე 3–3,5 მ სიღრმემდე შეტანილ იქნა 6,2 მლნ მ3 პლაჟწარმომქნელი ნატანი (სანაპირო ზონაში ხელოვნური პლაჟების შექმნისა და ზღვის ნაპირის მორფოდინამიკური წონასწორობის აღდგენის მიზნით). ნატანი ტალღების მოქმედებით გადანაწილდა სანაპირო ხაზის გასწვრივ და აჭარის სანაპიროს უდიდეს ნაწილზე (ბათუმის ძველი ბულვარი, მახინჯაური, ჩაქვი, ბუკნარი, ბობოყვათი, ქობულეთი) პლაჟის სიგანე საშუალოდ 30–50 მ–ით გაიზარდა, სანაპირო ზონის ხმელეთის ფართობმა კი 54 ჰექტარით მოიმატა.

საქნაპირდაცვის მიერ ზღვის ნაპირის აღდგენა–დაცვის ღონისძიებების განხორციელება ძირითადად ხდებოდა მდ. ჭოროხის შესართავისპირა კალაპოტიდან. აქ მძლავრი მიწის მხაპავის მეშვეობით მიმდინარეობდა მყარი ნატანის ამოღება, სპეციალურ საზღვაო ,,შალანგებში“ ჩატვირთვა და სანაპირო ზონის ავარიულ უბნებზე მისი მიწოდება (პლაჟწარმომქმნელი მასალის ჩაყრა ზღვაში სანაპირო ხაზის გასწვრივ 3–4 მ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის პორტი დღეს

ბათუმის ძველი პორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღრმეზე ხდებოდა). ასეთი გზით სანაპირო ზონაში შეტანილი პლაჟწარმომქმნელი ნატანი დროთა განმავლობაში ტალღების მოქმედებით გადანაწილდა აჭარის სანაპიროს უდიდეს ნაწილზე. ჩატარებულმა ღონისძიებამ აშკარად გამოიღო დადებითი შედეგი. როგორც ზემოთ ითქვა, აჭარის სანაპიროს მთელ რიგ უბნებზე შესამჩნევად გაიზარდა პლაჟების სიგანე, რაც ზღვის ნაპირის ბუნებრივი დაცვის ყველაზე ოპტიმალური პირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური პლაჟების შექმნა რკინაბეტონის ნაპირდამცავ ნაგებობებთან შედარებით საშუალოდ 5–ჯერ იაფი ჯდება. თანაც ხელოვნური პლაჟების ექსპლუატაციის ვადა გაცილებით ხანგრძლივია, მათი ეკოლოლოგიურ–ექსპლუატაციის ვადაც გაცილებით ხანგრძლივი ხდება, ხოლო მათი ეკოლოგიურ–ბალნეოლოგიური ღირებულება – გაცილებით მაღალი.

1992 წლიდან საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ–ეკონომიკური კრიზისის შედეგად აჭარაში (ისევე, როგორც საქართველოს მთელ სანაპიროზე) ნაპირდაცვითი ღონისძიებების ჩატარება შეწყდა (1992 წლისათვის შესრულდა მხოლოდ ნაპირების დაცვის გენერალური სქემით გათვალისწინებული ღონისძიებების პირველ ეტაპზე განხორციელებული სამუშაოები). სანაპირო ზონის ხმელეთის დიდ ნაწილზე კვლავ დაიწყო ზღვისმიერი წარეცხვის პროცესი.

2007 წელს საქნაპირდაცვის სპეციალისტების რეკომენდაციითა და აჭარის მთავრობის ფინანსური დახმარებით განახლდა ნაპირდაცვითი სამუშაოები. თუმცა, მწირი ბიუჯეტის გამო, ნაპირდაცვითი სამუშაოები დღემდე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს მხოლოდ სანაპირო ხაზის გასწვრივ წარმოქმნილი ავარიული სიტუაციების აღმოფხვრას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბათუმის ნავსადგურის აკვატორიის სამხრეთ შესასვლელთან მეოცე საუკუნის

დასაწყისში აშენებული ე.წ. მოლის გავლენით მდ. ჭოროხის შესართავიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მოძრავი მყარი ნატანის ბლოკირების შედეგად ნავსადგურის სამხრეთით მდებარე საშუალოდ 2–3 კმ სიგრძის ნაპირის გასწვრივ შეიქმნა პლაჟის განიერი ზოლი, რომლის ზედაპირზეც გაშენდა ბულვარი. საყურადღებოა, რომ პლაჟის ამ ზოლის გასწვრივ მდებარე წყალქვეშა ფერდში ჩაჭრილია ბათუმის წყალქვეშა კანიონის ღრმა სათავეები. კანიონის სათავეების წინ მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს მყარი ნატანის ინტენსიური დაგროვება. სწორედ წყალქვეშა ფერდის ამ მონაკვეთის ზედაპირიდან საქნაპირდაცვის მიერ ხდებოდა მყარი ნატანის ამოღება და მისი ავარიულ უბნებზე გადატანა. 1992 წლიდან სანაპიროს ამ უბანზე მყარი ნატანის ამოღების სამუშაოების შეწყვეტამ უარყოფითი შედეგი მოიტანა. კერძოდ, ნავსადგურის მოლთან სამხრეთით მდებარე წყალქვეშა ფერდზე, რომლის კიდეზეც ჩაჭრილია წყალქვეშა კანიონის სათავეები, ყოველწლიურად საშუალოდ 20–25 მ3 მოცულობის ,,ზედმეტი“ მყარი ნატანის დაგროვება იწვევს გრავიტაციულ დატვირთვას ზღვის ფსკერზე. დროთა განმავლობაში ეს განაპირობებს წყალქვეშა მეწყერის პროვოცირებას კანიონის სათავეების ფერდობებზე, რაც სანაპირო ზონის ხმელეთზე (ქ.ბათუმის სანაპიროზე) საშიში ფორმით ვლინდება. მაგალითად, 1999 წლის 14 იანვარს, აბსოლუტურად წყნარი ზღვის პირობებში, ნავსადგურის ზემოთ აღნიშნულ მოლთან მიმდებარე წყალქვეშა ფერდის ზედაპირს მოსწყდა მყარი ნატანის უზარმაზარი მასა, რომელიც მძლავრი მეწყერის სახით კანიონში ჩაცურდა. აღნიშნულმა შემთხვევამ გამოიწვია 250 მ სიგრძისა და 150 მ სიგანის სანაპირო ხაზზე მდებარე ხმელეთის ზოლის რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ჩაქცევა. საბედნიეროდ, სანაპირო ხმელეთის აღნიშნული ზოლი იმ დროს თავისუფალი იყო ამა თუ იმ სახის საინჟინრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებობებისაგან და მისი ზედაპირის ჩაქცევას უბედურება არ მოუტანია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის ბულვარის ზღვისპირა ნაწილი, რომელიც ხელოვნურად შექმნილ პლაჟზეა განვითარებული, ყოველი საშუალო და ძლიერი შტორმის დროს იტბორება და ტალღების მიერ ზღვის ფსკერიდან ამოტანილი ქვიშა–ხრეშით იფარება. იგივე შეიძლება ითქვას აეროპორტის ასაფრენი ბილიკის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ასევე ხელოვნურად შექმნილ პლაჟს წარმოადგენს. აქ შტორმის დროს ზიანდება ასაფრენი ბილიკი და ავტომაგისტრალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ შტორმების შედეგად ქალაქის ბულვარის ხელოვნურად შექმნილი ზოლი ეპიზოდურად მოითხოვს აღდგენა–დასუფთავებისა და შტორმული მოდენებისაგან დაცვას, რაც გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

შავი ზღვა მსოფლიო ოკეანის ნაწილია და მისი საშუალო დონე ოკეანის საშუალო დონის სინქრონულად განიცდის დროში თანაზომად რყევას. მსოფლიო ოკეანე და მასთან დაკავშირებული ზღვები თანამედროვე პირობებში ტრანსგრესიას (ზღვის დონის აწევას) განიცდიან, რაც კლიმატის მიმდინარე გლობალური დათბობით არის განპირობებული (Парникоый эффект, изменение климата и зкосистемы, 1989) მსოფლიოს ცნობილი კლიმატოლოგებისა და ოკეანოლოგების მტკიცებით, დედამიწის ზედაპირზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 21–ე საუკუნის ბოლოსათვის 3,5 C-ით მოიმატებს. აღნიშნულის შედეგად გაძლიერდება თანამედროვე გამყინვარებისა და მარადი მზრალობის დეგრადაციის პროცესი, ოკეანე დამატებით მიიღებს დიდი მოცულობის წყალს, რაც ასეული ათასობით წლების მანძილზე მყინვარებსა და მარადი მზრალობის რეგიონებში იყო აკუმულირებული. ოკეანის წყალბრუნვის

ბალანსი დადებითი გახდება, რაც გამოიწვევს ზღვის დონის აწევის ტემპის გაზრდას.

როგორც უკვე ითქვა, შავი ზღვის დონე მსოფლიო ოკეანის დონის შესაბამისად იწევს მაღლა. საპროგნოზო ოკეანოგრაფიული მოდელების მონაცემების გასაშუალოებული ჯამის მიხედვით, 21-ე საუკუნის ბოლოს ზღვის დონის აწევა თანამედროვე მგომარეობასთან შედარებით 1 მეტრით არის მოსალოდნელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის სანაპირო ზონის განვითარების პროგნოზი შავი ზღვის დონის, სულ მცირე, 1 მეტრით მოსალოდნელი აწევის გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს.

აღნიშნული ფაქტი პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ 21-ე საუკუნის ბოლოს ზღვის დონის 1 მ აწევის შემთხვევაში სანაპირო ხაზი აჭარაში მისი მდებარეობის თანამედროვე ადგილიდან ხმელეთის სიღრმეში გადაადგილდება დაახლოებით 200–300 მეტრით. ამის უტყუარი დადასტურებაა ქობულეთისა და ბობოყვათის სანაპიროებზე წარსულში წარმოქმნილი დიუნების ზოლი, რომლის შიდა კიდე თანამედროვე სანაპირო ხაზიდან საშუალოდ 250 მ–ით არის გადაადგილებული ხმელეთის სიღრმეში. სწორედ აღნიშნული ზოლის ზედაპირზე არის განლაგებული ქობულეთის „ფიჭვნარის“ საკურორტო ზონა.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ აჭარის სანაპიროს გასწვრივ ნებისმიერი დანიშნულების მშენებლობის, საერთოდ, სახალხო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების სტრადეგია აუცილებლად უნდა იქნეს დაფუძნებული მომავალში ზღვის დონის ამაღლების შედეგად განპირობებული მორფოდინამიკური პროცესების განვითარების მიმართ ზღვის ნაპირის ადაპტაციის შესაძლებლობებზე.

მომავალ ათწლეულებში ზღვის დონის აწევით სანაპირო ხმელეთის მოსალოდნელი ინტენსიური წარეცხვისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დატბორვის თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, დაიგეგმოს შესაბამისი ნაპირდამცავი ღონისძიებები, რომლებიც მეცნიერულად იქნება დასაბუთებული. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ზღვის ნაპირის წარეცხვისაგან დაცვის ღონისძიებების დასახვისა და განხორციელების საკმაოდ დიდი გამოცდილება არსებობს. ამ გამოცდილების გათვალისწინება ახლო მომავალში ზღვის ნაპირის გაძლიერებული ეროზიის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება.

ზემოთ აღნიშნული ნაპირდამცავი მეთოდები საქართველოს საზღვაო სანაპიროს მაგალითზე კარგად არის შესწავლილი და დასაბუთებული. აღნიშნულის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მოცემულია ,,საქნაპირდაცვის“ გაერთიანების ზღვის ნაპირის დაცვის გენერალურ სქემებსა და ამავე გაერთიანების მეცნიერ თანამშრომელთა ნაშრომებში, რომელთა შორის პირველ რიგში აღვნიშნავდით თ. მელაძის მონოგრაფიას ,,Инженерные решения защиты морских берегов“, 1999 г.

კოლონადები

ახლა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოლონადების თემას დავუბრუნდეთ და ამ თემასთან დაკავშირებით შემოგთავაზებთ საგაზეთო მასალებს, რათა ღრმად ჩაგახედოთ ამ თემაში:

სიმართლის თქმის დრო დადგა!
„ხალხის მტრებს“ მათ ნამოღვაწარს არ მიაწერდნენ“

ამ წიგნზე **„ბათუმის ბულვარი“** მუშაობისას გავეცანი საგაზეთო სტატიას, (აჭარა N 99, სამშაბათი, 3-4. 09. 2013 წ.) სათაურით **„ვინ ააშენა კოლონადები?“** აი, რას წერს მისი ავტორი რამაზ სურმანიძე: „სათაურში ამ კითხვის გამოტანას საფუძველი აქვს. დიდი ხანია, განსაკუთრებით ბოლო წლებში, კოლონადებს მრავალი **„პატრონი“** გამოუჩნდა. მგონი არ დარჩენილა ოცდაათიან წლებში ბათუმში მცხოვრები ინჟინერი, ვისთვისაც არ მიეწერათ ბულვარის კოლონადების მშენებლობის პრიორიტეტები, სამწუხაროდ, მრავალთაგან არც ერთი მოსაზრება სწორი არ იყო და ამას, როგორც ხანდაზმულთა მოგონებები, ასევე საარქივო დოკუმენტებიც ადასტურებს. ერთ-ერთი იმათაგანი, ვისაც კოლონადების მშენებელი ინჟინრის როლი მიაწერეს, არის ბათუმელთათვის კარგად ნაცნობი და დამსახურებული ინჟინერი **ბოგდან კირაკოსიანი** (1912–1972).“

რამაზ სურმანიძის არგუმენტირებულმა წერილმა შთამაგონა, აჭარის არქივის სამმართველოში დამეწყო კვლევა. მართლაც დავრეგისტრირდი მკვლევარად. გულითადი დახმარება გამიწიეს არქივის თანამშრომლებმა ბატონ თამაზ ფუტკარაძის თაოსნობით.

აი, ჩემი კვლევის შედეგებიც: ვიხელმძღვანელე შემდეგი საბუთებით – ფონდი N ტ. – 1196 აღწერა – 3 1929 – 1960 წწ. I - ტომი, აჭარის კომუნალურ მეურნეობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურო – 2009 წელი.



"УТВЕРЖДАЮ"

Начальник Проектно-Сметного Бюро МКХ АССР

Тов. ЛАПАРИДЗЕ М.Р.

"18" VI 1970 г.

Оставить на хранение Экспертной комиссии при Совете министров АССР

Прот. № 9 от 30/VI 1970 г.

ОПИСЬ №3

архивных материалов Проектно-Сметного Бюро Министерства коммунального хозяйства, подлежащая постоянному сроку хранения технического архива

№ пп	Наименование проекта	Дата составления проекта	Автор проекта	Колич. листов	Примечание
1	2	3	4	5	6
	1929 год.				
1.	Схематический план города Батуми	1929г.	Траубе	7	-
	1934 год.	1934 г.	Кираковян	16	-
2.	Проект дома ВИК				
	1936 год.				
3.	Проект внутреннего оформления гостиницы "Гриция"	20.1 1936	Шашиашвили	8	-
	1938 год.				

архивидан მოპოვებული საბუთი

Утверждаю

Начальник проектно-сметного бюро МКХ АССР

Тов. Джапаридзе М. Р. Джафаридзе (ამხ. მ. რ. ჯაფარიძე)

18.06. 1970 г.(წ)

Опись (აღწერა) –N 3

архивных материалов проэктно-сметного бюро министерства комунального хозяйства, подлежащая постоянному сроку хранения технического архива.

(კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საპროექტო–სახარჯთაღარიცვო ბიუროს საარქივო მასალების დაქვემდებარებული მუდმივი შენახვისთვის ტექნიკურ არქივში)

1.1929 г. Схематический план города Батуми - Траубе (ქალაქ ბათუმის სქემატიური გეგმა – ტრაუბე)

2.1934 г. Построениия дома ЦИК по ул. Сталина – Б. Кирокосян (ციკ. სახლის მშენებლობა სტალინის ქუჩაზე – ბ. კირაკოსიანი).

3.20.01. 1936 г. Проект внутренного оформления гостиницы ,,Гривия „ - Шавишвили

(სასტუმრო ,,გრივია“–ს შიდა გაფორმების პროექტი – შავიშვილი).

41. 15.02. 1944 г. Проект востановления приморского бульвара и генеральный план бульвара им. Саджая – Б. Кирокосян

(საჯაიას სახ. სანაპირო ბულვარის აღდგენის პროექტი და გენერალური გეგმა – ბ. კიროკოსიანი).

135. 1948 г. Чертежи и проекты летного театра – Б. Кирокосян (საზაფხულო თეატრის ნახაზები და პროექტი – ბ. კიროკოსიანი).

144. 14.04. 1948 г. Проект аллей приморского бульвара - Б. Кирокосян

(სანაპირო ბულვარის ხეივნების გეგმა – ბ. კიროკოსიანი).

148. 21.04. 1948 г. Проект кегельбан на приморском бульваре - Б. Кирокосян

(სანაპირო ბულვარის კეგელბანის პროექტი – ბ. კიროკოსიანი).

160. 04. 1948 г. Проект реконструкции пляжей на приморском бульваре - Б. Кирокосян (სანაპირო ბულვარის პლიაჟის რეკონსტრუქციის პროექტი – ბ. კიროკოსიანი).

163. 15.04.1948 г. Проект тенисних кортов на приморском бульваре - Б. Кирокосян ((სანაპირო ბულვარზე ჩოგბურთის კორტების პროექტი – ბ. კიროკოსიანი).

ამ პერიოდში ქალაქის მთავარი არქიტექტორი გახლდათ კახა ჯავახიშვილი.

როგორც ხედავთ მოცემულ აღწერაში ბულვარის კოლონადების მშენებლობა ნახსენებიც არ არის.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საგაზეთო დაცული ფონდის 1934 წლის 24 ნოემბრის გაზეთ **„საბჭოთა აჭარისტანი“**–ს N 70–ე ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„დღეს იხსნება ახალი საავათმყოფო“** (ავტორი **პ. ზამბახიძე**). რომლის სურათსაც გთავაზობთ, ხოლო I - ტომის, აჭარის კომუნალური მეურნეობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს აღრიცხვის –N3 ჟურნალში მე–2 ნომრით დაფიქსირებულია ციკ. სახლის მშენებლობა სტალინის ქუჩაზე – ბ. კირაკოსიანი. – (1934 г. Построениия дома ЦИК по ул. Сталина – Б. Кирокосян), შემდეგ 20.01.1936 წლით დათარიღებული შავიშვილის დაპროექტებული სასტუმრო ,,**გრივია**“–ს შიდა ჩატარებული მეურნეობაა აღნიშნული. ასევე, ამავე გაზეთის 1935 წლის 16 თებერვლის ნომერი იუწყება, რომ გაიხსნა ბათუმის რკინიგზის სადგური. ასევე, ამავე წლის 1 მაისს გაიხსნა ბათუმის 1300 ადგილიანი თეატრი, რომელიც არ არის დაფიქსირებული ზემოაღნიშნულ N3- ჟურნალში და ასევე არ არის დაფიქსირებული სხვა გახსნილი ობიექტებიც...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაბათი, 24 ნოემბერი 1934 წ. № 270 (3972) საბჭოთა აჭარისტანი 3

დღეს იხსნება ქალაქის ახალი საავთომყოფო



ბათომის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის შედეგი, ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ დიდ სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა მკვეთრი დადასტურ-

ოებთან მტკიცედ არის დაკავშირებული მისი დირექტორის ექ. ზ. ზარაშაძის დაუღალავი შრომა.

საავთომყოფოს მშენებლობას ისტორიას ორი ერთი და ორი „ჯრიტალოგი" მოუნტავს ახსოვს, რო-

—ენახველთათვის. ავთომყოფო: შემოსასვლელ კარებთან არის მო: საცდელი ოთახი და ექვთა კაბი: ნეტ. შემამოწმებელი ოთახის: გასწორივ არის აბანანა, თვა: თეულ ფუნქციისათვის. აბანა-

აჭარისტანი შაბათი, 16 თებერვალი 1935 წ. № 39 (4041)



ბათომის რკინიგზის სადგური

გაიხსნა ბათომის რკინიგზის სადგურის ხუმბერეთ ნაწილი. ამავე დროს დამთავრებულია მთელი მშენებლობა. ქვედა სართულში მგზავრი შედის დარბაზში, რომელშიც მოთავსებულია ბილეთის ხელაღრიცხვა, შემდგომი დარბაზი მოართულია პალმებით, ყვავილებით, ლიუსტრებით, რბილი დივნებით და ახალი ტკბილით—ეს არის დასასვენებელი დარბაზი. აქედან ადის თვალი ქვის ფართო კიბე მეორე სართულში, სადაც მოთავსებულია ხასადილო მხატვრულად გაფორმებული, ხუთეულანი ორკესტრის ესტრადით.

ხასადილოს გვერდით გახსნილია სახტუარო 50 კაცისათვის.

აქედან დერეფანი გადის ხუთეულ ოთახში. მგზავრებისათვის შექმნილია დასვენების და გართობის ყველა პირობები: ეზიდან მოპყავს მგზავრი, რომელსაც აცმევენ ახალ ტანსაცმელს და წინასწარებს, მან ხანგრძლივ ექიმი და ავადმყოფობის შესახებ შეკითხვაში აძლევს მოსმენილს ხალანდი კონსულტაციას. მგზავრთათვის გამოყოფილია 4 ოთახი: გასახდელი, გასახანგრძლივ, ხალანდში და დასაძინებელი.

მგზავრთა მომსახურებისათვის დანაწესულია გამოცდილი მსახურები.

ხუთეულ: ეკ. გზის სადგურის ბიერთა ბეჭდ, ხასადილოს ერთი კუთხე და მგზავრ — ...ელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 6 მაისი 1935 № 103 (4105)

მოკლე ხანში დასრულდება ქალაქის ახალი თეატრის კაპიტალური გადაკეთება, 1 მაისისათვის თეატრის ფასადი მზად იყო.
სურათზე: ქალაქის თეატრის ხედი კომინტერნის ქუჩიდან.

საბჭოთა აჭარისტანი პარასკევი, 12 ოქტომბერი 1934 წ.



კოლონადები გათომის ბულვარში

აქედან გამომდინარე აღრიცხვის ჟურნალი N 3 შორსაა სინამდვილისაგან და ბადებს ე.წ. პოლიტიკურ ეჭვს. როგორც ბატონი **რამაზ სურმანიძე** ზემოთ აღნიშნავს: **„ხალხის მტრებს“** მათ ნამოღვაწარს არ მიაწერდნენ..., ხოლო 1934 წლის 12 ოქტომბრის გაზეთში ბულვარის კოლონადების სურათია განთავსებული, მის შესახებ კი არაფერი წერია...

ჟურნალში ფონდ. P-9, სადაც მოკლე ისტორიული ცნობაა გადმოცემული ბათუმის და მისი მაზრის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების შესახებ ფ–რ–9 მე–3 გვერდზე არის ციტატა, სადაც ნათქვამია: **„ბათუმის და მისი მაზრის აღმასკომის მეურნეობის განყოფილების საარქივო მასალები დაცულია 1921–1934 წ.წ. აღნიშნული ფონდის საარქივო მასალების აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. მისი ჩაბარების თარიღის დადგენა შეუძლებელი შეიქმნა მიღება – ჩაბარების აქტის და სხვა დასაყრდენი წყაროების უქონლობის გამო“.**

ხელს აწერს უფროსი მეცნიერ მუშაკი **დ.პ. ჭელიძე** – 29.10 1961 წელი.

დასასრულს მინდა ბატონ **ოთარ გაგუას** სიტყვები მოვიშველიო, რომელიც მიმართავს თავის ოპონენტებს ამ საკითხთან მიმართებაში: **„ვიდრე მსგავს ნაბიჯს გადადგამთ, მით უმეტეს ისეთ საკითხზე, რომელიც ქალაქს, მის ღირსშესანიშნაობებს ეხება, საზოგადოების წინაშე უნდა წარსდგეთ დასაბუთებული ანგარიშით, განუმარტოთ მათ, რამ განაპირობა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება“.**

აბა, მადლობის მეტი რა მეთქმის ბატონ რამაზისადმი... 83 წლის ბერმუხას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ!

ტროპიკული სადგურის ბულვარის და მოზარდთა (დღევანდელი 6 მაისის) **პარკის კოლონადების პროექტები** ერთ პიროვნებას ეკუთვნის, მათი ნახაზები მართლაც იტალიიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღევანდელი 6 მაისის პარკი

ჩამოიტანეს, ამიტომ პროექტების შედგენა და მშენებლობის წარმართვა შეეძლო მხოლოდ ევროპაში განათლებულ არქიტექტორსა და მშენებელს, ეს პიროვნება კი მაშინდელ ბათუმში მცხოვრები **პავლე ნადარეიშვილი** იყო.

საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, ვფიქრობ, თამამად შემიძლია შევიხედო წარსულში და საარქივო მასალები მოვიშველიო. ბათუმში გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მოღვაწეობდა ქალაქში და მთელს რესპუბლიკაში ცნობილი ინჟინერი **პავლე ნადარეიშვილი**. მის შესახებ საკმარისი მასალებია შემონახული როგორც აჭარის, ასევე საქართველოს სახელმწიფო არქივებში და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოიძიოს და წაიკითხოს ეს დოკუმენტები. მათში მითითებულია, რომ ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ნაგებობა, რომელიც ბათუმში აშენდა 1925–1936 წლებში, შესრულებულია პავლე ნადარეიშვილის უშუალო მეთვალყურეობით ან მისი მონაწილეობით. ჯერ ერთი, იგი იყო ქალაქის მთავარი ინჟინერი და მის უშუალო მოვალეობებში შედიოდა მშენებლობის ხელმძღვანელობაც.



В/Срочно.

Н-ку РЕМ.КОНТОРЫ

Инж.МАЛЕВСКОМУ.-

Возвращая Ваше отношение от 16/XI- за № 998 с отчетом на устройство ворот и колоннады, прошу срочно представить дополнительно производственную смету, утвержденную главным инженером, так как первоначальная стоимость согласно постановления Президиума принята Руб:.....

Кроме того, в окончательную стоимость сооружения должен быть включен расход электро-оборудования.-

ГЛАВБУХ: /ЗАМОРОКО/



Расходы по устройству ворот и колоннады на бульваре на 1-е ноября 1934 г.

Арх.	Инж.	Прораб	Бух.	Отдел кадров	Инж.	Первая ремонт.	Вт. ремонт.	Ад. рабочих	Всего
0100.00	2476.35	786.11	1491.86	7204.14	1460.30	2414.20	2356.09	12.67.4	1460.879.55

Сорок пять тысяч восемьсот шестьдесят девять руб. 55 коп.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I.

О Т Ч Е Т

по Строительству колоннады.

№№	НАИМЕНОВАНИЕ РАБОТ	колич.
1.	Произведена разборка железобетонных столбов со снятием арматуры, всего разобрано бетонных столбов Всего столбов шт. 7	
	кубических метров	3,5
2.	Произведена формовка капители Римско-Корийского стиля, согласно договоренности Начальника Стройсектора инженера Недарейшвили, с формовкой, набивкой, зачисткой и установкой их на месте за всю работу за каждую капитель 150 руб., всего капител.	5
3.	Произведена зачистка капители, всего зачищена одна капитель по договоренности за 80 руб.	I
4.	Произведено рытье котлована в гравелистом грунте с откидкою в одну сторону на расстоянии 4 метр. под колонны и световые фонари, глубиной до I,5 мет., всего в куб.мтр. / I,5 xI,5 xI/x8 + + / $\frac{2,4 + 0,8}{2}$ x I,5/ x40 всего в п.мтр.	74,0
5.	Произведено бучение фундамента булыжным камнем под лопату откидкой с двух сторон с приготовлением раствора и доставкой материала с расстояния 80 мтр. всего забучено в куб.мтр.	35,4
6.	Произведена бетонировка колонн с приготовлением бетона с подноской с расст. 66 метр. и под"емом на 6 метров, всего проведен.длина I62 мтр., всего колонн 4 шт. больших , в куб.мтр.	8,80
7.	Произведена бетонировка с подноской на I54 п.м.колонн световых фонарей при помощи ведер всего штук 4, высотой 3,2 мт. всего куб.мтр.	4,80
8.	Произведена подноска арматуры с приготовлением и укладкой по колоннам и кольцам и по перемычкам поверх колонн всего мтр.	1600
9.	Произведена бетонировка перемычки по верху колонн, сечением 90 x 60 см. с приготовлением и подноской раствора для бетонировки на высоте 8 мтр.и по горизонт. 75мтр.проведенная длина 203мтр.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ пп.	НАИМЕНОВАНИЕ РАБОТ	КОЛИЧ.
194.	Произведена переноска мелкого гравия на расстояние 100 мтр. на носилках всего куб.мтр.	40,5

Р А С Х О Д Ы

ПО УСТРОЙСТВУ ВОРОТ И КОЛОННАДЫ НА БУЛЬВАРЕ

РАБСИЛА 71542-53

МАТЕРИАЛ .....34765 -94

ТРАНСПОРТ 5186-11

РАЗНОЕ .....10788 -69

СТРАХКАССА 6796-52

МЕСТКОМ 1430-82

ПОДГОТ.КАДРОВ 2146-22

ТЕХ.ПРОПАГ..... 535-09

АДМ.РАСХОДЫ 12687-63

ВСЕГО: 145.879-55

П Р О Р А Б: / КИРАКОСЯН /

БУХГАЛТЕР: /ТУГУШИ/

ამავე არქივის ერთ-ერთ საქმეში ინახება ბულვარის კოლონადებზე შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა, რომელსაც ხელს აწერენ **„პრორაბი“** კირაკოსიანი და ბუღალტერი ტუღუში. აშკარაა, რომ პ. ნადარეიშვილმა მის მიერვე დაპროექტებული ამ მნიშვნელოვანი ობიექტის სამუშაოთა მწარმოებლად მოიწვია თავისი ყოფილი მოსწავლე, ტექნიკოსი ბ.კირაკოსიანი, რომელსაც **„შეცდომით“** მიაწერეს ობიექტის დაპროექტებაც და მშენებლობის მართვაც. მთავარი ინჟინერი ადგილზე იყო?! სიმართლე ის არის, რომ დამპროექტებელი და მშენებლობის ხელმძღვანელი პავლე ნადარეიშვილი იყო, ხოლო სამუშაოთა მწარმოებლად მას დანიშნული ჰყავდა მისივე, უდავოდ ნიჭიერი მოსწავლე – ბოგდან კირაკოსიანი.

საარქივო დოკუმენტებში, კერძოდ ფონდი N ტ–1196, აღწერის ჟურნალში – (3) კოლონადების მშენებლობა არცაა შეტანილი, რაც, ჩემი აზრით სწორედ იმისთვის მოხდა, რომ პავლე ნადარეიშვილის ღვაწლი მიჩქმალულიყო.

სამაგიეროდ, ხსენებულ აღწერაში კირაკოსიანის სხვა პროექტებია ასახული (კოლონადების გარდა).

კოლონადების თემას გამოეხმაურნენ პროფესორები: **ნოდარ ჩხეიძე, ოთარ გოგოლიშვილი და ენციკლოპედისტი ბატონი ოთარ გაგუა.**

რაც შეეხება კოლონადების ესკიზებს (ეს ფაქტი ალბათ ასჯერ მაინც დაიწერა), ისინი იტალიის ქალაქ სორენტოდან ჩამოიტანეს ბათუმიდან ერთა (ახლანდელი გაერო) ლიგის საგზურით იქ გაგზავნილმა ექიმებმა – **ივანე მჭედლიძემ, ივანე კონიაშვილმა და ივანე ფრანგულიანმა** (თავის სტატიაში ბატონი **რამაზ სურმანიძე** ამას დაწვრილებით აღწერს). კოლონადების ესკიზების მოპოვებაში მათ დიდი დახმარება გაუწია იმჟამად იტალიაში მყოფმა **მაქსიმ გორკიმ**, რომელიც კარგად იცნობდა ივანე მჭედლიძეს.

სამართლიანობა მოითხოვს: ბულვარში, კოლონადების წინ მემორიალურ დაფას, სადაც მხოლოდ იდეის ავტორი

ივანე მჭედლიძე და მშენებელი ბოგდან კირაკოსიანი არიან მითითებული, დაემატოს: მაქსიმ გორკი, რომელმაც ესკიზები და ნახაზები მოიპოვა და ქალაქ ბათუმის იმჟამინდელი მთავარი არქიტექტორი პავლე ნადარეშვილი თავიანთი სურათებით.

ყველას მოგმართავთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროთ, რათა დაიდგას ახალი მემორიალური დაფა და მასზე ასახულნი იყვნენ ზემოთ ხსენებული პირები, რომლებმაც დიდი ღვაწლი შეიტანეს კოლონადების აღმართვის საქმეში. სამართლიანად მივიჩნევ ,,ხალხის მტრებად" შერაცხულ და რეპრესირებულ ადამიანებს სათანადო პატივი მივაგოთ, რათა დაფასდეს მათი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაცაა და ღირსების საკითხიც.

ა/წლის 5–7 სექტემბრის (N101 09. 2015 წ.). გაზეთ ,,აჭარა"–ში ჩემი საგაზეთო სტატიის **,,სიმართლის თქმის დრო დადგა! ,,ხალხის მტრებს" მათ ნამოღვაწარს არ მიაწერდნენ"** გამოქვეყნების შემდეგ ბათუმელთა **,,სახალხო აკადემიის"** საინიციატივო ჯგუფის მიერ შედგა წერილის ტექსტი და წამოწყებულია კომპანია ხელწერილების შეგროვების მიზნით. აი, ისიც:

,,გაზეთ ,,აჭარა"–ს რედაქციას

მიმდინარე წლის 5–7 სექტემბრს (N 101–ში) გაზეთ ,,აჭარა"–ში გამოქვეყნდა მწერალ თენგიზ ცეცხლაშვილის სტატია სათაურით: **,,სიმართლის თქმის დრო დადგა! ,,ხალხის მტრებს" მათ ნამოღვაწარს არ მიაწერდნენ",** სადაც საუბარია ქ. ბათუმის ბულვარის კოლონადებზე, მოყვანილია პროფესორ რამაზ სურმანიძის საგაზეთო სტატიის **,,ვინ ააშენა კოლონადები?",** (,,აჭარა" N99, 3–4.09.2013 წ.), სადაც ნათქვამია: ,,სათაურში ამ კითხვის გამოტანას საფუძველი აქვს. დიდი ხანია, განსაკუთრებით ბოლო წლებში, კოლონადებს მრავალი ,,პატრონი" გამოუჩნდა, მგონი არ დარჩენილა ოცდაათიან წლებში ბათუმში მცხოვრები ინჟინერი, ვისთვისაც

არ მიეწერათ ბულვარის კოლონადების მშენებლობის პრიორიტეტები“...

ამ პუბლიკაციას მაშინვე მოყვა ქალაქის ინტელიგენციის (ნოდარ ჩხეიძის, ოთარ გოგოლიშვილის, ოთარ გაგუას და სხვ.) საგაზეთო სტატიები.

კოლონადების შესახებ, საკმაო კვლევის შედეგად აჭარის არქივის სამმართველოში საბუთები მოიპოვა მწერალმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, სადაც გამყარებულია ამ ავტორთა მოსაზრებები. ამ ვერსიის კიდევ უფრო გასამტკიცებლად თ. ცეცხლაშვილის მიერ მოპოვებული იქნა დამატებითი საბუთები, რაც გარკვევით ასახულია მის ზემოთ ხსენებულ, საგაზეთო სტატიაში. სამართლიანად მიგვაჩნია თ. ცეცხლაშვილის მოთხოვნაც: **„ბულვარში კოლონადების წინ მემორიალურ დაფაზე, სადაც მხოლოდ იდეის ავტორი ივანე მჭედლიძე და სამუშაოთა მწარმოებელი ბოგდან კირაკოსიანი არიან მითითებული დაემატოს ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტორი პავლე ნადარეიშვილი, რომელმაც ესკიზები და ნახაზები გადაამუშავა, მოამზადა პროექტი და ხელმძღვანელობდა მშენებლობას.**

სტატიის ავტორს ვეთანხმებით იმ მოსაზრებაშიც, სადაც ის ამბობს: **„ეს ჩვენი ადამიანური მოვალეობაცაა და ღირსების საკითხიც“.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი მხარს ვუჭერთ მწერალ თენგიზ ცეცხლაშვილის წინადადებას და გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით მიაწვდინოთ ხმა ქ. ბათუმის მერიის სათანადო სამსახურს, რათა გაითვალისწინონ საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა და დაავალონ სათანადო სამსახურს მემორიალურ დაფაზე შეიტანონ შესწორება, სადაც დაემატება ზემოთ მითითებული ღვაწლმოსილი ადამიანი.

წერილი შედგენილია ქ. ბათუმის ,,სახალხო აკადემიის“ საინიციატივო ჯგუფის მიერ“.

შემდგომ, ამას მოჰყვა ჟურნალისტ რევაზ მსხილაძის სტატია:

„სიმართლე ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფაზეც სათანადოდ უნდა აისახოს

ჩვენი გაზეთის წლევანდელი 5–7 სექტემბრის ნომერში (N101) დაიბეჭდა მწერალ თენგიზ ცეცხლაშვილის სტატია, – **„სიმართლის თქმის დრო დადგა! „ხალხის მტრებს“ თავიანთ ნამოღვაწარს მათ არ მიაწერდნენ“**, რომელშიც კვლავ ბათუმის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად ქცეულ ბულვარის კოლონადებზეა საუბარი. უფრო ადრე ამ საკითხს პუბლიკაციები მიუძღვნეს მეცნიერებათა დოქტორებმა: ნოდარ ჩხეიძემ და ოთარ გოგოლიშვილმა, პუბლიცისტმა და ენციკლოპედისტმა ოთარ გაგუამ, პროფესორმა და მწერალმა რამაზ სურმანიძემ.

თითქოსდა დასრულდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი იმის თაობაზე თუ ვისი იდეით ვინ ააშენა კოლონადები. საბოლოოდ დადასტურდა, რომ მისი ესკიზები იტალიის ქალაქ სორონტოდან ჩამოიტანა იქ სამეცნიერო მივლინებით მყოფმა ქართველ ექიმთა ჯგუფმა, რომელშიც ბათუმელი ექიმი ივანე მჭედლიძეც შედიოდა. ისინი სორონტოში შეხვდნენ იქ დასასვენებლად და სამკურნალოდ მყოფ დიდ რუს მწერალს მაქსიმ გორკის. ივანე მჭედლიძე თურმე კარგად იცნობდა მწერალს. რამდენიმე დღე ერთად ათვალიერებდნენ ბათუმის მსგავსი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ივანე მჭედლიძეს ძლიერ მოსწონებია კოლონადები და უთქვამს: „რა კარგი იქნებოდა ამგვარი კოლონადები ბათუმშიც რომ გვქონდეს, ძლიერ მოუხდებოდა ქალაქსო“. მოკლედ: გორკიმ უშოვა კოლონადების ესკიზები, რომლებიც ივანე მჭედლიძემ ჩამოიტანა ბათუმში და მათ საფუძველზე შეიქმნა პროექტიც. საზოგადოებაში მუსირებდა

აზრი, თითქოს კოლონადები ააშენა შემდგომში ცნობილმა არქიტექტორმა **ბოგდან კირაკოსიანმა**, მაგრამ იქვე არსებობდა ეჭვიც, რომ ეს არ შეეფერებოდა სინამდვილეს, რადგან კოლონადების მშენებლობის დროს კირაკოსიანი (1912–1972 წ.წ.) 21 წლის ყმაწვილი იყო. ამის გარდა მაშინ ქალაქის მთავარი ინჟინერი იყო **პავლე ნადარეიშვილი**. იყვნენ სხვა ცნობილი არქიტექტორებიც და ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას, კოლონადების მშენებლობას კირაკოსიანს ვერ მიანდობდნენ. ეს საარქივო დოკუმენტების და სხვა მასალების საფუძველზე დაასაბუთა ბატონმა რამაზ სურმანიძემ. მან ისიც ნათელი გახადა, რომ კოლონადების პროექტის ავტორი, მშენებლობის ზედამხედველი და უშუალო მშენებელიც ქალაქის მაშინდელი მთავარი ინჟინერი, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მშენებლობის ზედამხედველი და მონაწილე პავლე ნადარეიშვილი იყო.

სწორედ ამას უსვამს ხაზს ბატონი თენგიზ ცეცხლაშვილიც ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციაში, სადაც ის მომდევნო წიგნზე მუშაობისას **„ბათუმის ბულვარი“,** გაეცნო არქივში მუშაობის შედეგად და ახალი მასალების მოპოვების საფუძველზე კიდევ უფრო დააზუსტა. ყოველივე ამის საფუძველზე კი მოითხოვს სიმართლე კოლონადების აგების შესახებ, ლიტერატურასთან ერთად, იქ განთავსებულ მემორიალურ დაფაზეც აისახოს.

- ზუსტად ვერ გეტყვით ვისი თაოსნობით გაკეთდა ეს მემორიალური დაფა და ვინ არის მისი საინფორმაციო ტექსტის ავტორი, მაგრამ მისი შეცვლა რომ აუცილებელია, ამას ბევრი დაადასტურებს. უპირველესად იმიტომ, რომ მასზე მხოლოდ ივანე მჭედლიძე და სამუშაოთა მწარმოებელი ბოგდან კირაკოსიანია მოხსენიებული. აუცილებლად უნდა დაემატოს ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტორი პავლე ნადარეიშვილი და დიდი რუსი მწერალი მაქსიმ

გორკი ფოტოსურათებით. დღესდღეობით წარწერა სამ ენაზეა ქართულად, ინგლისურად და თურქულად. საკვირველია, ბულვარში განთავსებულ მემორიალურ დაფაზე არ არის რუსულ– ენოვანი ტექსტი, როდესაც, ბოლო წლების მანძილზე მოზღვავებულია უკრაინელ და რუს ტურისტთა ნაკადი. ეს იწვევს საღად მოაზროვნე ადამიანების გაუგებრობას... მემორიალური დაფები ხომ ტურისტებისთვის არის განკუთვნილი, ხოლო ასეთი მიდგომით მხოლოდ დისკომფორტს ვუქმნით ტურისტებს. ხალხი დღემდე კითხულობს, როდემდე უნდა დავდიოდეთ ერთი კაცის ხუშტურზეო? თანაც მემორიალური დაფა ისე უნდა გაკეთდეს, რომ დაცული იქნეს ხელყოფისაგან. იგი დღეს დაზიანებულია. ეს ეროვნული ღირსების საქმეა და უშუალოდ პატივისცემა და ხსოვნის უკვდავყოფა იქნება იმ ადამიანებისა, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ბათუმის კოლონადებით დამშვენებაში. აუცილებელია, და ამას მოითხოვს საზოგადოება, რომ ახალ მემორიალურ დაფაზე განსათავსებული ტექსტი საზოგადოებასთან იყოს შეთანხმებული.

თ. ცეცხლაშვილი აქვე დასძენს, რომ ბულვარის ახლად დანიშნული ადმინისტრაცია ძალზედ მოწადინებულია, რომ სამომავლოდ გაუმჯობესდეს ბულვარის დიზაინი, რათა ჩვენი საყვარელი ბაღი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს.

მან გაგვაცნო ფართო საზოგადოებრიობის დადებითი გამოხმაურებები ამ საკითზე. განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა, როგორიცაა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია, ე.წ. ,,სახალხო აკადემია“, ,,აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“, აჭარის სპორტის ვეტერანთა ფედერაცია, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელოვნების უნივერსიტეტი, მხატვართა კავშირი, ქალაქის NN1, 2, 8 და ზემოახალშენის საჯარო სკოლები, ქალაქის ფართო საზოგადოების ხელწერები და ა.შ.

მწერალთა, მეცნიერთა და ხელოვნების მოღვაწეთა ჩამოთვლა შეუძლებელია. ხელწერების შეგროვება გრძელდება.

იურისტი, საერთაშორისო სამართლის ექსპერტი **როსტომ გუნთაიშვილი** უფრო შორსაც მიდის და გვირჩევს ამ საქმის მოგვარებასთან ერთად, სხვა ანალოგიურ საკითხებსაც რომ მივხედოთ. მაგალითად, იმ ადგილს, სადაც ახლა ინტურისტის შენობა დგას, შესანიშნავი ტაძარი **,,სობორო"** იდგა, ძირითადად სამხედროებისათვის, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების აღსანიშნავად აშენდა. იგი მე–20 საუკუნის იმ 30–იან ავბედით წლებში დაანგრიეს. ამის შესახებ ჩვენმა თანაქალაქელმა, ცნობილმა პოეტმა **ჯემალ (სარგის) ჯაყელმა** გაზეთ **,,ლიტერატურულ საქართველოში"** სპეციალური სტატიაც გამოაქვეყნა (იხ. ლიტერატურულ საქართველო N32. 11.09. 2015წ.). 12 სექტემბერი დიდი რუსი მხედარმთავრის წმინდა ალექსანდრე ნეველის ხსენების დღეა და იგი ამ მოვლენის აღსანიშნავ 25 წლისთავზე გაიხსნა. აუცილებელია მის ადგილზეც დაიდგას მემორიალური დაფა ყოველივე ზემოთჩამოვლილის აღნიშვნით, – წერს ბატონი როსტომ გუნთაიშვილი თავის მხარდამჭერ წერილში ბულვარში მემორიალური დაფის შეცლასთან დაკავშირებით.

დასასრულს თენგიზ ცეცხლაშვილმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ბულვარში უნდა დაიდგას მისი ერთ-ერთი მთავარი შემოქმედის და ევროპაში განსწავლული აგრონომ-დეკორატორის **იასონ გორდეზიანის** ბიუსტი, რომ ეს ფართო საზოგადოების მოთხოვნაა. ეს აზრი წლების მანძილზე მუსირებს საზოგადოებაში. ყველაფერი ეს კი, ცხადია, ქალაქის მერიის პრეროგატივაა.

ჩვენივე არჩეული ქალაქის საკრებულოს წევრები პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდნენ თავიანთი ამომრჩევლის

ინტერესებს და მოსაზრებებს, მითუმეტეს როდესაც ეს სამართლიანი მოთხოვნაცაა და ქალაქის საკეთილდღეოდ არის მიმართული. ბულვარში რა ქანდაკებებს და სურათებს არ ნახავს ადამიანი და მათ ფონზე ბიუსტის დადგმის და არ დადგმის საკითხი არც უნდა განიხილებოდეს! ამის თქმის უფლებას **თენგიზ ცეცხლაშვილს** აძლევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სამართლიანი სლოგანიც **„მართე შენი ქალაქი!“**

და, აი ასრულდა ხალხის დიდი ხნის მოლოდინი 2018 წლის აპრილში კოლონადებთან ახლოს საზეიმოდ გაიხსნა იასონ გორდეზიანის შესანიშნავი ძეგლი (ავტორი ირაკლი წულაძე) და ოთარ გაგუამ მიუძღვნა წიგნი. გარეკანის დიზაინის ავტორი გახლავთ თამარ ტაკიძე.

ოთარ გაგუა

ბულვარის დირექტორი ეთერ მაჭუტაძე და
ძეგლის ავტორი ირაკლი წულაძე

რამაზ სურმანიძე

ბულვარის თანამშრომლები.
მარცხნიდან: ნათია გორგაძე, დავით გორგილაძე, მაგდა ჯაიანი,
ეთერ მაჭუტაძე, თამარ კიკნაძე და ირაკლი წულაძე.
უკანა პლანზე: გოჩა მჟავანაძე, გია ბაღოშვილი და ცისკარ გოგიტიძე

ყოველივე ამან კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ინტელეგენციის მიერ დიდი ხნის წინათ გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ მართლაც აუცილებელია ბულვარის ერთ-ერთ ხეივანს ეწოდოს აჭარაში პირველმოღვაწე მასწავლებელთა სახელი, რომლებიც აქ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების დღიდან - 1878 წლიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ და უძნელეს პირობებში მასწავლებლობდნენ ახლად გახსნილ სკოლებში, ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ დიდსა და პატარას, ქართულ ცნობიერებას კვლავ აძლიერებდნენ მოსახლეობაში. ხეივნის თავში უნდა დაიდგას ამ მასწავლებელთა სიმბოლური ძეგლი. აქვე მინდა გავიხსენო ამ პლეადის მასწავლებლები დები ნადია და თინა

დოჭვირები, რომლებიც ამ მისიით ჩამოვიდნენ აჭარაში და ასწავლიდნენ მოსახლეობას, შემდგომ მათ ცხოვრება მთლიანად აჭარას დაუკავშირეს და ბათუმში მოღვაწეობდნენ. ისინი მეც მასწავლიდნენ ბათუმის N 2 საშუალო სკოლაში, მათთან მეგობრულმა სიახლოვემ გადამაწყვეტია მათ ხსოვნის პატივსაცემად მიმეძღვნა წიგნი ,,მამულო ჩემო საუნჯევ". ისინი პროგრესული, თავისი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვროდ მოსიყვარულე პიროვნების მიხეილ დოჭვირის ქალიშვილები გახლდათ, რომელმაც თავისივე ინიციატივით, თავისივე სახლში გახსნა სკოლა.

მეორეც, ვფიქრობ ბულვარში უნდა გაკეთდეს აჭარაში მოღვაწე სახელოვანი წინაპრების ხეივანი, სადაც დაიდგმება მათი ბიუსტები და სკულპტურები შესაბამისი საინფორმაციო დაფებით, რათა აქ ერთად გაიცნონ ისინი ქალაქის სტუმრებმა, ტურისტებმა, ჩვენმა მომავალმა თაობამ, რომლებიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ იცნობენ მათ დამსახურებას სამშობლოსა და ერის წინაშე.

ამ თემაზე ჩემი უფროსი მეგობრების რამაზ სურმანიძისა და ჯიმსონ გურგენიძის მხარში დგომით წამოვიწყეთ კომპანია და ვაგროვებთ ხელმოწერებს პეტიციის სახით რომ მივმართოდ მერიას, ქალაქ ბათუმის ზღვისპირა პარკში, ან ქალაქის ცენტრში, გამოყონ სათანადო ადგილი ამ მამულიშვილურ საქმისთვის. ამ თემას მიეძღვნა ჩემი წერილი გაზეთ ფურცლებზე სათაურით ,,მსოფლიოს უნდა გავაცნოთ". ახლა შემოგთავაზებთ პეტიციის განმარტებითი ბარათის მოკლე შინაარს:

,,გაზეთმა ,,აჭარამ" (N 60. 2-4.06. 2018 წ.) გამოაქვეყნა საზოგადოებრივი მოძრაობა ,,2011 წლის 26 მაისი - მამული, ენა, სარწმუნოება"-ს თავმჯდომრის თენგიზ ცეცხლაშვილის წერილი **,,მსოფლიოს უნდა გავაცნოთ".** მას აქვს წინადადება, ბათუმის ძველ ბულვარში გაშენდეს აჭარაში მოღვაწე სახელოვანი წინაპრების ხეივანი, სადაც დაიდგმება მათი სკულპტურული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტები შესაბამისი საინფორმაციო დაფებით, რათა გაიცნონ ისინი ქალაქის სტუმრებმა, ტურისტებმა, ჩვენმა მომავალმა თაობამ.

მსგავსი შინაარსის სკულპტურები თავიანთი ერის ღვაწლმოსილი ადამიანებით ამშვენებს თითქმის ყველა ევროპულ ქალაქს.

მართალია, ზოგიერთი მამულიშვილის ქანდაკება და სკულპტურული პორტრეტი დგას ქალაქში, მაგრამ ისეთ ადგილებზე, რომ ტურისტები ხშირად ვერც კი მიჰყავთ მათთან.

მიგვაჩნია, რომ უნდა იდგეს ქალაქში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის უპირველესი თავგანწირული მებრძოლის ხასან თხილაიშვილის ძეგლი, რომელმაც 1918 წლის 14 ივლისს ოსმალეთის იმპერიის მიერ ჩატარებულ ე.წ. ,,რეფერენდუმში“ პირველმა მისცა ხმა აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დარჩენას, შემდეგ კი საერთოდ ჩაშალა ის რეფერენდუმი. ამის გამო თურქმა ოფიცრებმა იგი ზარბაზანის ლულაზე მიაბეს ზღვაში გასასროლად, მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტი მისმა კეთილმყოფელებმა ქრთამის გადახდით გადაარჩინეს.

რამდენიმე წელია, რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ მდებარე სკვერში ქვა დევს წარწერით, რომ აქ აღიმართება დიდი მეცნიერის და მწერლის აბუსერისძე ტბელის ძეგლი და არავინ იცის, როდის მოხდება ეს.

ვფიქრობთ, სახელოვანი წინაპრების ხეივანში უნდა დაიდგას ისეთი ღირსეული მამულიშვილების, მოღვაწეთა ქანდაკებები და სკულპტურული პორტრეტები, როგორებიც იყვნენ სელიმ ხიმშიაშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი, მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, გენერლები: დავით ართმელაძე, გიორგი მაზნიაშვილი. ასევე ლუკა ასათიანის, ივანე ანდრონიკაშვილის, გრიგოლ ვოლსკის, დავით კლდიაშვილის, სერგეი და ივანე მესხების, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვათა სკულპტურული პორტრეტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ საქმეს სათავეში უდგას მწერალი და საზოგადო მოღვაწე რამაზ სურმანიძე და მოქანდაკე ჯიმსონ გურგენიძე.

ბათუმელები მოგმართავთ თხოვნით და ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას ხელწერებით, ზემოთ მოყვანილი საგაზეთო წერილის მიმართ. მიგვაჩნია, რომ ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა ბულვარში (საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე), ან, საზოგადოების ჩართულობით შეირჩეს ქალაქში ადგილი, სადაც დაიდგმება აჭარაში მოღვაწე სახელოვანი წინაპრების სკულპტურული პორტრეტები და ბიუსტები, რომლებიც ჩამოსულ ტურისტებს ჩვენი ქალაქისა და მხარის საამაყო წარსულს გააცნობს და შეექმნებათ სრული და შთამბეჭდავი წარმოდგენა ჩვენს მხარეზე, რაც წაადგება და კარგ სამსახურს გაუწევს სრულიად საქართველოს მომავალ თაობებს!

აჭარის ისტორია სახეებში
ბიუსტების მაკეტების ავტორი ჯიმსონ გურგენიძე

ამ საშვილიშვილო საქმეში ხელწერების პეტიციების შეგროვებით არიან ჩართულნი ქალბატონები: **როენა დონაძე, მანანა ცულუკიძე, დოდო დიასამიძე, ეთერ ცეცხლაძე, ნინო დავითაშვილი, ბატონები: ბადრი პაკსაძე, თამაზ ცინცაძე, თენგიზ თავდგირიძე, შალვა ტაბაღუა, ბიძინა ორაგველიძე, მიშა ქვარიანი და სხვები.**

* * *

ახლა ისევ კოლონადების თემას დავუბრუნდეთ.

საკვირველია, დღემდე ბულვარში განთავსებულ მემორიალურ დაფაზე არ არის რუსულენოვანი ტექსტი, როდესაც, ბოლო წლების მანძილზე მოზღვავებულია უკრაინელ და რუს ტურისტთა ნაკადი. ეს იწვევს გაუგებრობას ცივილურ და საღად მოაზროვნე ადამიანებში... მემორიალური დაფები ხომ ტურისტებისათვის არის განკუთვნილი. ამით, ხომ დისკომფორტს ვუქმნით მათ. ხალხი დღემდე კითხულობს, როდემდე უნდა დავდიოდეთ ერთი კაცის ხუშტურზეო?

ასეთ სავალალო მდგომარეობაშია
მემორიალური დაფა

და კიდევ მეტად საჭირბოროტო საკითხი: მემორიალური დაფა დაუცველია და ადვილად დასაზიანებელიც. აი, როგორ გამოიყურება ის დღეისთვის...

კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია...

გთავაზობთ არასამთავროთა ორგანიზაციების წერილებს, ბათუმელ მოქალაქეთა ხელწერილს, რომლებიც დღემდე შეგროვდა და ასევე იმათ სიებსაც, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ხელწერების შეგროვება ზემოთ ხსენებულ წერილის საფუძველზე.

საზოგადოება იმედს იტოვებს, რომ მათ თხოვნას აუცილებლად გაითვალისწინებენ სათანადო სამსახურები, მემორიალურ დაფასაც დროზე შეცვლიან და დაფაზე გასანთავსებელ ტექსტსაც საზოგადოებასთან შეათანხმებენ...

და ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ბულვარის ახლად დანიშნული ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აღმოფხვრას ბულვარში არსებული ნაკლოვანებები და გააუმჯობესოს სამომავლოდ ბულვარის დიზაინი, რათა ჩვენი საყვარელი ბაღი გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი ჩვენთვისაც და ჩამოსული სტუმრებისათვისაც. ამისათვის, უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თანაქალაქელების სახელით!

აქვე, მკითხველს მინდა შევთავაზო ჩემს მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გაზეთ ,,ადჯარიას“ ფურცლებზე დაიბეჭდა სათაურით:

Настало время сказать правду!

«у врагов народа отнимали их заслуги»

К написанию новой книги с заглавием **«Батумский бульвар»** я нашел статью о постройке колоннад, которые находятся на бульваре (Газ. «Аджара» N 99 3-4. 09.2013 г.), под названием **«Кто построил колоннады?!»** автором которого является профессор **Рамаз Сурманидзе**. Вот что он пишет: ,»Этот заголовок статьи имеет свое основание. С давних времен, особенно в последние

годы строительство колоннад приписывают разным архиктеторам и инженерам. К сожалению это неправда. Об этом свидетельствуют архивные документы. Один из инженеров колоннад является Богдан Киракосян (1912 – 1972 гг.)».

Аргументированное письмо Рамаза Сурманидзе, навело на мисль, чтобы я внес в этом вопросе ясность и зарегистрировался исследователем в архивном управлении Аджарии, где мне непосильную помощь оказали сотрудники архива во главе с господином Тамази Путкарадзе.

После долгих работ, добитыми мною архивными материалами можно смело ознокомить читателей. Вернемся в прошлое. В Батуми в тридцатых годах прошлого столетия работал известный не только в городе, но и во всей республике архитектор Павле Надареишвили. О нем сохранено достаточно материалов не только в архиве Аджарии, но и в государственном архиве Грузии и любой желающий может найти и прочитать все эти документы. В этих материалах указаны все значительные и незначительные строения, которые были построены в Батуми в 1925-1936 годах, под непосредственным руководством или с участием Надареишвили. Он был главным архитектором города и его непосредственным объязательством было руководство строительством в городе.

В одном из дел этого архива хранятся документы исполненных работ по колоннадам на бульваре, которые подписывают **«прораб»** Киракосян и бухгалтер Тугуши, ясно, что П. Надареишвили пригласил производителем работ им же спроектированного объекта бывшего своего ученика, техника Б. Киракосяна, которому приписали проектирование и управление строительством объекта, которому по «**ошибке**» приписали построение колоннад, кто бы доверил бы ему строительство колоннад, когда в городе был главный архитектор? Соответствует правде и то, что архитектором и руководителем строительства был Павле Надареишвили, а производителем работ он назначил своего ученика Киракосяна.

Руководствуясь архивними документами, вчасности: фонд № Т-1196, в журнале описи N3 строительство колоннад бульвара даже не упомянуто, но зафиксированный другие работи

Кирокосяна, а заслуги Павла Надареишвили умышленно не упомянутый.

В Батумской публичной библиотеке, в газетном фонде, в70-ом номере газеты «**Советский Аджаристан**» от 24 ноября 1934 года опубликована статья под названием «**Сегодня открывается новая больница**» с фотографией (автор П. Замбахидзе). В этой же газете от 12 октября 1934 года опубликовано фото колоннад на бульваре, но ничего про них не написано…

Исходя из этого, журнал учета № 3 далек от действительности и появляются сомнения, как отмечает Рамаз Сурманидзе: «**у врагов народа отнимали их заслуги…**».

В журнале фонд Р-9 на третьей странице есть цитата, где имеется короткая историческая справка о Батуми и исполкоме его уезда, где сказано: архивные материалы Батуми и исполкома его уезда защищены. Установление даты приема-сдачи архивных материалов за 1921-1934 гг. стало невозможным из - за неимения других источников. Подписывает старший научный сотрудник Д. П. Челидзе - 29. 10. 1961 г.

Из данного факта пусть читател сам делает выводы...

Что касается эскизов колоннад, об этом факте было не раз написано, их привезли из Италии, из города Соренто, где находились в командировке по путевке в Лигу Наций (нынешнее ООН) три грузинских врача - Иване Мчедлидзе, Иване Кониашвили и Иване Франгулиани (в своей статье это подробно описывает господин Рамаз Сурманидзе). В получении эскизов и чертежей колоннад большую помощь оказал живущий тогда в Италии **Максим Горький**, который хорошо знал батумского врача **Иване Мчедлидзе**.

Справедливость требует: на бульваре, перед колоннадами, на установленной мемориальной доске, где указаны только автор идеи и строитель Иване Мчедлидзе и Богдан Киракосян, добавить имена Максима Горького, который добыл эскизы и чертежи, а также имя главного архитектора города Батуми того времени Павле Надареишвили, вместе с их фотографиями.

С просьбой обращаюсь к обществу в связи с установлением новой мемориальной доски. Выше указанные лица, которые внесли свой вклад в построении колоннад на батумском бульваре,

ეროვნული ბიბლიოთეკა

должны занимать достойное место на мемориальной доске. Ради справедливости, ненадо забывать заслуги репресированных лиц перед Отечеством. Это наша человечская объязанность и дело чести. Этот шаг по достоинству будет оценен будущим поколением!

Тенгиз Цецхлашвили

თანაქალაქელების სახელით გვერდში დგომისთვის უღრმეს მადლობას ვუხდი გაზეთ ,,აჭარა"–ს მთავარ რედაქტორს, ქალბატონ მარინა მითაიშვილს, რომელმაც მოგვცა საშუალება ბათუმელთა და პირადად ჩემი გულისტკივილი საზოგადოების ფართო მასამდე მიეტანათ. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო გაზეთ ,,ადჯარიას" რედაქტორს ქალბატონ ლოლა ტუმასიანს.

2015 წლის სექტემბერში ბატონ რამაზ სურმანიძესთან ერთად შევქმენით კომისია და ჩამოვყალიბდით, თუ რა ტექსტი უნდა ყოფილიყო განთავსებული კოლონადების მემორიალურ საინფორმაციო დაფაზე და 2 ნოემბერს საზოგადოების სახელით მივმართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კულტურის დეპარტამენტის დირექტორს ბატონ მამუკა ბერძენიშვილს მივმართედ, რათა განეხილათ ბათუმის ზღვისპირა ბულვარში კოლონადების მიმდებარე მემორიალურ დაფაზე ახალი ტექსტის განთავსების საკითხი, თანახმად თანდართული ნიმუშისა.აი ისიც:

მიმართვა

მივიჩნევთ, რომ სიმართლე ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფაზეც ერთნაირად უნდა აისახოს.

ბათუმის ზღვისპირა პარკში არსებულ კოლონადებზე, მემორიალურ დაფაზე ტექსტში ცვლილება უნდა შევიდეს, რომ აღდგეს ისტორიული სინამდვილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლონადები ზღვის სანაპიროზე გასვლისას კარიბჭის იმიტაციას ქმნის. იგი დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია და ღირსეულად ამშვენებს ბულვარს.

ახალი მემორიალური დაფა უნდა იყოს შემდეგი შინაარსის:

კ ო ლ ო ნ ა დ ე ბ ი

ბათუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. იგი აშენდა 1931–1934 წწ. იდეა ბათუმელ ექიმს ივანე მჭედლიძეს (1889–1937 წწ.) ეკუთვნის. მან 1930 წ. იტალიიდან ჩამოიტანა კოლონადების ესკიზები, რომელთა მოპოვებაში დახმარება გაუწია ქ. სორენტოში მყოფმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ (1868–1936წ.).

ბათუმის მთავარმა არქიტექტორმა პავლე ნადარეიშვილმა (1894–1934 წწ.) ამ ესკიზებზე დაყრდნობით შეადგინა კოლონადების პროექტი, მშენებლობასაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

სამუშაოთა მწარმოებლად მიიწვია თავისი მოსწავლე. შემდგომში არქიტექტორი და აჭარის დამსახურებული ინჟინერი, ბოგდან კირაკოსიანი (1912–1972 წწ.).

დღესდღეობით წარწერა სამ ენაზეა – ქართულად, ინგლისურად და თურქულად. არ არის რუსულენოვანი ტექსტი, რაც დაუშვებელია ჩვენი რეგიონის მოსახლეობის მრავალეროვნულობის გამო. ყურადსაღებია ისიც, რომ ბოლო წლებში მოზღვავებულია რუსულენოვან ტურისტთა ნაკადი, რითაც მათ ენობრივი დისკომფორტი ექმნებათ. ამიტომ მივიჩნევთ, რომ წარწერა მემორიალურ დაფაზე რუსულ ენაზეც უნდა იყოს შესრულებული.

მემორიალური დაფა უნდა პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს: დაცული იყოს ხელყოფისაგან და განთავსდეს უშუალოდ კოლონადების წინ, მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტზე მუშაობდნენ:

1 რამაზ სურმანიძე, პროფესორი, მწერალი –
2 თენგიზ ცეცხლაშვილი, მწერალი –

ვეთანხმებით:

3 ნოდარ ჩხეიძე, პროფესორი –
4 რეზო გოგიტიძე, არქიტექტორი –
5 გიორგი ბაღოშვილი, არქიტექტორი –
6 ჯიმსონ გურგენიძე, მხატვარ-დიზაინერი –
7 გურამ ფუტკარაძე, მხატვარი –
8 დავით ბოლქვაძე, მოქანდაკე –
9 როსტომ გუნთაიშვილი, იურისტი –

საზოგადოების მხრიდან ტექსტის შედგენას გვკარნახობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სლოგანიც, ,,მართე შენი ქალაქი!“.

,,30„ ოქტომბერი 2015 წელი

და მალევე მივიღეთ პასუხი, აი ისიც:

მოქალაქე: რამაზ სურმანიძეს და თენგიზ ცეცხლაშვილს:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამეტმა განიხილა ბათუმის საზოგადოების სახელით წარმოდგენილი თქვენი კორესპონდენცია ბულვარის კოლონადებთან მდებარე საინფორმაციო დაფაზე ტექსტის ცვლილებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ბულვარის კოლონადებთან არსებული ნიშნული სხვა დანარჩენ ნიშნულთან ერთად ამ ეტაპისთვის აღებულია. 2016 წელს ახალი დაფების განთავსებისას თქვენი რეკომენდაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

მამია ბერძენიშვილი – დეპარტამენტის თავმჯდომარე

N 61/01 – 15

13/ 11 / 2015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

მივიჩნევთ, რომ სიმართლე ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფებზეც ერთნაირად უნდა აისახოს.

ბათუმის ზღვისპირა პარკში არსებულ კოლონადებზე, მემორიალურ დაფაზე ტექსტში ცვლილება უნდა შეკეთდეს, რომ აღდგეს ისტორიული სიმამდვილე.

კოლონადები ზღვის სანაპიროზე გასეირნის კარიბჭეს იმიტაციას ქმნის. იგი დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია და ღირსეულად ამშვენებს ბულვარს.

ახალი მემორიალური დაფა უნდა იყოს შემდეგი შინაარსის:

კ ო ლ ო ნ ა დ ე ბ ი

ბათუმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. იგი აშენდა 1931–1934 წწ. იდეა ბათუმელ ექიმს ივანე მჭედლიძეს (1889–1937 წწ.) ეკუთვნის. მან 1930 წ. იტალიიდან ჩამოიტანა კოლონადების ესკიზები, რომელთა მიხედვით დამზადდა გალერეა ქ. სოხუმიში მყოფმა ოსმა ოსტატმა ბაქარ ვორკან (1868-1936წ.).

ბათუმის მთავარმა არქიტექტორმა პაველ ნადარეიშვილმა (1894–1937 წწ.) ამ ესკიზებზე დაფარდნობით შეადგინა კოლონადების პროექტი. მშენებლობასაც თვითონვე ხელმძღვანელობდა.

საბუსთოა მწარმოებლად მოიწვია თავისი მოსწავლე. შემდგომში არქიტექტორი და აკადემიკოსი ნინოშვილი, ბოგდან კირკოროვი (1912–1972 წწ.).

დღესდღეობით წარწერა სამ ენაზეა – ქართულად, ინგლისურად და თურქულად. არ არის რუსულენოვანი ტექსტი, რაც დაუშვებელია ჩვენი რეგიონის მოსახლეობის მრავალფეროვნებიდან გამო. ყურადსაღებია ისიც, რომ ბოლო წლებში მოზღვავებულია რუსულენოვან ტურისტთა ნაკადი, რითაც მათ ენობრიდეთ დისკომფორტი ექმნებათ. ამიტომ მივიჩნევთ, რომ წარწერა მემორიალურ დაფაზე რუსულ ენაზეც უნდა იყოს მეორეხარისხოვანი.

მემორიალური დაფა უნდა პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს, დაცული იყოს ხელოვნებისაგან და განთავსდეს უშუალოდ კოლონადების წინ, მარჯვნივ.

ტექსტზე მუშაობდნენ:

1 რამაზ ხერმანიძე, პროფესორი, მწერალი –

2 თენგიზ ცეცხლაშვილი, მწერალი –

ვლადიმერ ბეგიძე, პროფესორი –

4 რევაზ გოგიტიძე, არქიტექტორი –

5 გიორგი ბალიშვილი, არქიტექტორი –

6 ვლადიმერ გურგენიძე, მხატვარ-დიზაინერი –

7 გურამ ფეტკარაძე, მხატვარი –

8 დავით ბოლქვაძე, მოქანდაკე –

9 როსტომ გენთალიშვილი, ოფისტი –

საზოგადოების მხრიდან ტექსტის შედგენას გვგარანტირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სლოგანი, „ახალი მენი ქალაქი".

30. ოქტომბერი 2015 წელი

რაც შეეხება ბულვარს, ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბულვარში ახალი მემორიალური დაფა განთავსთა ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული ტექსტით. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც ბატონ რამაზ სურმანიძისა და ჩემს ინიციატივას მხარი აუბა.

ლაშა მსხალაძის ფოტო

* * *

2017 წლის დასაწყისში შევიტყვე, რომ გამოვიდა წიგნი რუსულ ენაზე: ,,ბათუმი: ისტორია სახეებში“, რომელიც გამოსცა ბაგრატ თავბერიძემ. წიგნის წარდგენაც ზარ-ზეიმით გაუმართავთ. გამახსენდა, ამ პიროვნებასთან ერთად 2015 წელს აჭარის არქივში ვმუშაობდი. მე კოლონადების საკითხზე ის კი ალბათ ამ წიგნის ირგვლივ მუშაობდა და ჩვენი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ჩვენ ერთად მოვიპოვეთ კოლონადების მშენებლობის შემორჩენილი საბუთი, სადაც აღნიშნულია, რომ კოლონადების მშენებლობის ,,პრარაბი'' - საქმის მწარმოებელი ბოგდან კირაკოსიანი იყო. ჩვენს შორის დიალოგიც შედგა. ის განცვიფრებული იყო, ამ საბუთის გამო, ვერ წარმოედგინა ეს ფაქტი. მე მას ვუთხარი, რომ ბოგდანი პავლე ნადარეიშვილის ნიჭიერი მოწაფე იყო და ამის გამო წაიყვანა მშენებლობაზე-მეთქი... ეს საბუთი ჩვენ ორივემ ამოვიღეთ. წიგნი ნაცნობისგან ვითხოვე, რათა გადამეხედა და რა ვიხილე 134-145 გვერდებზე განთავსებულია ბოგდან კირაკოსიანის მოღვაწეობა, თავისი ლამაზი შენობებით, რომელმაც მართლაც ჩვენს ქალაქს ლამაზი იერი მოფინა და შეგვაყვარა იგი. ასევე განთავსებულია პრარაბის საბუთი, სადაც ბ. კიროკოსიანი აწერს ხელს კოლონადების მშენებლობაზე ჩატარებულ სამუშაოებზე საქმის მწარმოებლის რანგში ბუღალტერ ტუღუშთან ერთად. მე არ ვიცი კოლონადების მშენებლობის მიწერა კირაკოსიანისთვის რაში დასჭირდა ავტორს, მაგრამ უდავოა, რომ ეს მან მიკერძოებით გააკეთა. აწ გარდაცვლილი ბოგდან კირაკოსიანი გადმოცემით ვიცი, პატიოსანი პიროვნება გახლდათ და ამ სიყალბეს არ დაუშვებდა, მაგრამ ფაქტი ერთია ეს დაფიქსირებულია წიგნში და ბევრს შეცდომაში შეიყვანს და რაც მთავარია წიგნები დარიგებულია კოლორიტულ, ძვირფასი ბათუმელების ოჯახებში...

მე არ ვამბობ არაფერს იმ მოტყუებულ რედაქტორებზე, რომლებმაც ხელი მოაწერეს და მიენდნენ ბაგრატ თავბერიძეს, მაგრამ ფაქტი სახეზეა. რატომ ასე უსამართლოდ მიეწერა ბოგდან კირაკოსიანს კოლონადების დადგმა? ის ხომ 20 წლის ახალგაზრდა გახლდათ ამ დროისთვის. მან, ისიც დაუმალა საზოგადოებას, კოლონადის ესკიზები მივლინებაში მყოფმა ექიმმა ივანე მჭედლიძემ რომ ჩამოიტანა იტალიის ქალაქ სორენტოდან, რაც ძველ საინფორმაციო დაფაზე იყო აღნიშნული. ამიტომ პროექტების შედგენა და მშენებლობის წარმართვა შეეძლო მხოლოდ ევროპაში განათლებულ არქიტექტორსა და მშენებელს, ეს პიროვნება კი მაშინდელ ბათუმში მცხოვრები **პავლე ნადარეიშვილი** იყო, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. მე კიდევ ერთხელ გავმეორდები როგორც ბატონი **რამაზ სურმანიძე** ზემოთ აღნიშნავს: **„ხალხის მტრების“** ნამოღვაწარის შესახებ არ იწერებოდა... 1934 წლის 12 ოქტომბრის გაზეთ **„საბჭოთა აჭარისტანი“**–ში ბულვარის კოლონადების სურათია განთავსებული, მის შესახებ კი არაფერი წერია... და მეორეც, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში **„საბჭოთა აჭარისტანი“**-ის 1934 წლის - იანვრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით გამოცემული ნომრები არ მოიპოვება, ისევე როგორც კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საპროექტო–სახარჯთაღარიცვო ბიუროს საარქივო მასალების დაქვემდებარებული მუდმივი შენახვისთვის ტექნიკურ არქივში, როგორც ზემოთ ავღნიშნე არსებობს ქალაქ ბათუმის სქემატიური გეგმა – ტრაუბეს შედგენილი 1929 წლით დათარიღებული და გრძელდება 1934 წლის ციკ. სახლის მშენებლობა სტალინის ქუჩაზე – ბ. კირაკოსიანის პროექტით და 20.01. 1936 წლის სასტუმრო ,,გრივია“–ს შიდა გაფორმების შავიშვილის პროექტით. თუმცა ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ნაგებობა, რომელიც ბათუმში აშენდა 1925–1936 წლებში, შესრულებულია პავლე ნადარეიშვილის უშუალო მეთვალყურეობით ან მისი მონაწილეობით. ჯერ ერთი, იგი იყო

ქალაქის მთავარი ინჟინერი და მის უშუალო მოვალეობებში შედიოდა მშენებლობის ხელმძღვანელობაც.

2018 წელს ჩემს მიერ არქივის N 3 საქმიდან იქნა ამოღებული ბულვარის კოლონადებზე შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა, რაც ზემოთ იხილეთ, სადაც ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების მთავარი ბუღალტერი ვინმე ზამოროკო წერს ბარათს გრიფით საჩქაროდ - სარემონტო კანტორის ინჟინერს მაევსკის, რომ გიბრუნდებათ მოხსენებითი ანგარიში (16. 11 N 988) კოლონადების და ზემოსასვლელი კარების შესახებ და ავალებს წარმოადგინონ ახალი ანგარიში გაწეული სამუშაოთა ჩამოთვლით. აი, ისიც: ანგარიში კოლონადებზე და შემოსასვლელ კარებებზე გაწეული სამუშაოების შესახებ (81-91გვ განთავსებული) და შედგება 194 სახის ჩამონათვალიდან, რაზეც დაიხარჯა 145 ათას 879 მანათი და 55 კაპიკი. ხელს აწერენ: **„პრორაბი“** კირაკოსიანი და ბუღალტერი ტუღუში. კიდევ დავძენ, კოლონადების ანგარიში ცალკე არის განთავსებული.

აშკარაა, რომ პ. ნადარეიშვილმა მისივე დაპროექტებულ ამ მნიშვნელოვანი ობიექტის სამუშაოთა მწარმოებლად მოიწვია თავისი ყოფილი მოსწავლე, ტექნიკოსი ბ.კირაკოსიანი, რომელსაც **„შეცდომით“** მიაწერეს ობიექტის დაპროექტებაც და მშენებლობის მართვაც. მთავარი ინჟინერი ადგილზე იყო?! სიმართლე ის არის, რომ დამპროექტებელი და მშენებლობის ხელმძღვანელი პავლე ნადარეიშვილი იყო, ხოლო სამუშაოთა მწარმოებლად მას დანიშნული ჰყავდა მისივე, უდავოდ ნიჭიერი მოსწავლე – ბოგდან კირაკოსიანი. აქ კი ეჭვს გარეშეა, რომ წიგნის გამოცემა მიზანმიმართულად ემსახურება საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და კოლონადების დადგმა ბატონ ბ. კირაკოსიანს მიეწეროს არასამართლიანად. ავტორმა წიგნში განათავსა ბოგდან კირაკოსიანის ქალიშვილი წერილი, სადაც იმხელა სიცრუე უწერია, თითქოსდა კირაკოსიანის კოლონადების პროექტმა გაიმარჯვა და ეს საბუთი ინახება

ყოფილი საბჭოეთის არქიტექტორთა საბჭოში. ეს ყოველივე მისთვის ცნობილი გახდა კირაკოსიანის შემონახული დღიურიდან, თუმცა აქვე წერს, რომ ბოგდანი ცნობილ მხატვრებთან და არქიტექტორებთან ერთად მონაწილეობს კოლონადების მშენებლობაში, როგორც ტოლფასოვანი მშენებელი... ეს ფანტაზიები რომ არ დაეწერა, წიგნი მართლაც კარგი იქნებოდა, თუმცა ავტორმა ბატონ რამაზ სურმანიძის სტატიები კოლონადების ისტორიის შესახებ იცოდა, მაგრამ ეს ყოველივე ყურადარიღო, თანაც ქართული გვარის მატარებელი კაცი როცა შავზე თეთრია, გიმტკიცებს? შორს წასვლაც არ არის საჭირო, მისივე წიგნის 145 გვერდზე მას განთავსებული აქვს კირაკოსიანის პრარაბობის დამადასტურებელი საბუთი. თავისთავად იბადება კითხვა, ვის ემსახურება ბატონი ბაგრატი ამნაირი პოზიციით?.. ანდა გარდაცვლილმა სულებმა რა დაუშავეს, რომ ისინი ხელმეორედ ,,დახვრიტა"..., თუმცა მათი სიკვდილით ამაგი არ დაკარგვიათ.

უდავოა, ეს წიგნი ამოღებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის წიგნსაცავიდან და მომავლშიც უნდა იყოს აღკვეთილი მსგავსი ქმედებები, რათა ახალ თაობას გაუკუღმართებული ინფორმაცია არ მიეწოდოს და ამ სიყალბისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოს ბაგრატ თავბერიძეს საჯაროდ!

აქვე მინდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დავამატო შოთა გუჯაბიძის წიგნიდან ,,ბათომი", სადაც ვკითხულობთ: ,,კოლონადის კაპიტელები და ყველაზე ლამაზი დეტალები ბათუმელმა მოქანდაკემ, ფერმწერმა, კომპოზიტორმა და მევიოლინემ გრაჩ სეჩენიანმა გამოძერწა. ასევე დეტალებშია გადმოცემული კოლონადების მშენებლობის პროცესი თავისი ფოტომასალებით.

მსურველთ შეგიძლიათ შეხვიდეთ ინტერნეტსაიდზე და აკრიფოთ ,,ბათუმის ბულვარის კოლონადები", სადაც ვკითხულობთ: კოლონადები ბულვარის ერთ-ერთი

ზღვისპირა ქალაქი სორენტო

ღირშესანიშნავი ნაგებობაა (1933-1934 წ.) რომლის აგების იდეა ივანე მჭედლიძეს (1899 – 1937წ.) ეკუთვნის. მან კოლონადების პროექტი 1930 წელს იტალიაში პროფესიული მივლინებით ყოფნისას, მაქსიმ გორკის დახმარებით ქ. სორენტოდან ჩამოიტანა. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ქალაქის მთავარი არქიტექტორი მშენებელ-ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი, ხოლო სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ბოგდან კირაკოსიანი (1912-1972წ.). კოლონადები ზღვის სანაპიროზე გასვლისას კარიბჭის როლს ასრულებდა. კოლონადები ბათუმის სავიზიტო ბარათია და დღესაც ამშვენებს ბულვარს.

http://boulevard.ge/ge/things-to-see/historical-monuments/colonnades-batumi-boulevard/39

ზემოაღნიშნული ტექსტი თანხვედრაშია ჩვენს მიერ მიწოდებული წერილისა.

* * *

კოლონადების თემასთან დაკავშირებით მივმართე გაზეთ „აჭარას“ (N72 2018 წლის 30 ივნისს) დაიბეჭდა ჟურნალისტ რევაზ მსხილაძის სტატია **„ამგვარი მკრეხელობები უნდა დამთავრდეს. სადავო აღარ უნდა იყოს, რომ ბათუმის კოლონადები პავლე ნადარეიშვილის პროექტით აშენდა“**

ვფიქრობდით, რომ ბოლო წლებში, ბათუმის ზღვისპირა ბულვარის შესასვლელში არსებული კოლონადების მშენებლობის თაობაზე ატეხილი აჟიოტაჟი დამთავრდა. გაზეთ „აჭარაში“ ამ საკითხისადმი მიძღვნილ კომპეტენტურ ადამიანთა პუბლიკაციებით, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რამაზ სურმანიძის ერთგვარი შემაჯამებელი სტატიით და ბოლოს, ჩემი ინტერვიუებით მასთან და ამ საქმესთან ახლოს მდგომ რამდენიმე სხვა ადამიანთან. საბოლოოდ გაირკვა და დაზუსტდა, რომ კოლონადების ესკიზები, გასული საუკუნის 30-იან წლებში იტალიის ზღვისპირა ქალაქ სორენტოდან ჩამოიტანა ბათუმელმა ექიმმა ივანე მჭედლიძემ, რომელიც იქ ექიმთა საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა. იგი იქ შეხვედრია მაქსიმ გორკის, რომელიც სორენტოში ისვენებდა. ქალაქში ერთ-ერთი გასეირნების დროს, ზღვისპირას უნახავთ კოლონადები. მჭედლიძეს უთქვამს, რა კარგი იქნებოდა, ასეთი ლამაზი, თეთრი კოლონადები ბათუმისზღვისპირა ბულვარს რომ ამშვენებდესო. რამდენიმე დღის შემდეგ გორკის მისთვის გადაუცია კოლონადების ესკიზები, რომლებიც ივანე მჭედლიძემ ბათუმში ჩამოიტანა და ქალაქის მაშინდელ მთავარ ინჟინერს გადასცა. პავლე ნადარეიშვილმა გააკეთა პროექტი, რომლის მიხედვითაც ზღვისპირა ბულვარის შესასვლელში, 1934 წელს დაიწყო კოლონადების მშენებლობა. სამუშაოთა მწარმოებლად მან მოიწვია თავისი ნიჭიერი მოწაფე ბოგდან კირაკოსიანი, რომელიც მაშინ 20 თუ 21 წლის ყმაწვილი იყო. ამით პასუხი გაეცა მავანთა მიერ ატეხილ ხმაურს, რომ თითქოსდა კოლონადები

ბოგდან კირაკოსიანის პროექტით აშენდა და მშენებლობასაც თავად ხელმძღვანელობდა.

ეს ყველაფერი აისახა შარშან, კოლონადებთან განთავსებულ ახალ საინფორმაციო დაფაზე, ქართულ, ინგლისურ თურქულ და რუსულ ენებზე.

და უცებ ახალი სიურპრიზი - ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში გვესტუმრა ამ საკითხის ერთ-ერთი ენთუზიასტი და მკვლევარი, პუბლიცისტი თენგიზ ცეცხლაშვილი და აღშფოთებულმა გვითხრა, რომ ხელში ჩაუვარდა მწერალ ბაგრატ თავბერიძის რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი ,,ბათუმი: ისტორია სახეებში", რომელშიც შეუწყნარებლადაა გაყალბებული კოლონადების აგების ისტორია. კერძოდ, მისი პროექტის ავტორად, მშენებლობის ინჟინრად და ხელმძღვანებლად ბოგდან კირაკოსიანია გამოყვანილი. თითქოს, კირაკოსიანის პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში, რომლის შესახებ საბუთები ინახება საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა კავშირის საბჭოში. ეს მისთვის ცნობილი გახდა კირაკოსიანის შემორჩენილი დღიურიდან, რომ იგი, თითქოსდა, ცნობილ მხატვრებთან და არქიტექტორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა კოლონადების მშენებლობაში და პირველი კაციც კი იყო. თუმცა იქვე აქვს მოტანილი საბუთი, რომ კირაკოსიანი მხოლოდ და მხოლოდ მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი იყო და მეტი არაფერი. 20 წლის, ტექნიკური სასწავლებლის ახლად კურსდამთავრებული ბიჭისთვის ესეც დიდი მიღწევა იყო, მაგრამ წიგნის ავტორი ამით არ კმაყოფილდება და დაწვრილებით გვიყვება ბოგდან კირაკოსიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ოჯახის და ნათესავების შესახებაც კი.

ბატონო თენგიზ, პავლე ნადარეიშვილის შესახებ თუ არის რაიმე ნათქვამი?

- არაფერი. და ეს მაშინ, როცა პავლე ნადარეიშვილი ევროპაში განსწავლული ცნობილი არქიტექტორი, ბათუმის

მთავარი ინჟინერი და არქიტექტორი იყო. ასეთი მიკერძოება და სიცრუე, ისიც ქართველი მწერლისაგან, ყოვლად შეუწყნარებელია. თანაც ბაგრატ თავბერიძე ამ წიგნს შვილებსა და შვილიშვილებს, ანუ მომავალ თაობებს ბათუმის ჭეშმარიტი ისტორიის შესასწავლად უძღვნის. მე არაფერი მაქვს ბოგდან კირაკოსიანის საწინააღმდეგო, იგი უდავოდ ნიჭიერი კაცი იყო, ამიტომაც აიყვანა პავლე ნადარეიშვილმა კოლონადების სამუშაოთა მწარმოებლად. ამას ადასტურებს შესაბამისი საბუთი, რომელსაც იგი და ბუღალტერი ტუღუში აწერენ ხელს. ბოგდან კირაკოსიანი შემდეგ აჭარის დამსახურებული ინჟინერიც გახდა. გადმოცემით ცნობილია, რომ იგი პატიოსანი კაცი იყო და დაუმსახურებლად ზემოთ აღნიშნული მშენებლობის ავტორობას არ მიიწერდა. ამას ზემოთ ხსენებული მწერალი შესაძლოა, გარკვეული მიზნით აკეთებს და ბათუმში მცხოვრები სომხური დიასპორის ზოგიერთი წარმომადგენელიც დიდი სიხარულით ახმოვანებს იმედით, რომ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა ქსენოფობიად და ჰომოფობიად იქნება აღთქმული.

2015 წელს ჩვენ ერთად ვმუშაობდით აჭარის სახელმწიფო არქივში. მე კოლონადების შესახებ მასალებს ვეძებდი, ის ალბათ - თავისი ზემოთ აღნიშნული წიგნისთვის საჭირო მასალებს. მაშინ ერთად გავეცანით საბუთს, სადაც აღნიშნულია, რომ ბოგდან კირაკოსიანი კოლონადების მშენებლობის მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებელი იყო. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ წიგნები სრულიად უკონტროლოდ იბეჭდება, იღებს მკითხველი და შეცდომაშიც შედის. შემცდარი არიან ამ წიგნის რედაქტორებიც, რომლებმაც, როგორც ეტყობა, საქმეში კარგად ჩაუხედავად იკისრეს რედაქტორობა. კატეგორიულად მოვითხოვ, ეს წიგნი ამოიღონ ბიბლიოთეკებიდან და გაყიდვიდან, ხოლო მის ავტორს სიცრუისა და მიკერძოებული წერისთვის საჯაროდ მოეთხოვოს პასუხი.

საზოგადოებას მივმართავ, რომ სიმართლე ბათუმის კოლონადების შესახებ შეუძლია წაიკითხოს შესაბამის ინტერსაიდზე, ასევე საინფორმაციო დაფებზე, რომელიც კოლონადებთანაა განთავსებული.“

აქვე შემოგთავაზებთ ამონარიდს შოთა გუჯაბიძის წიგნიდან **,,ბათომი“, რომლის რედაქტორები არიან ჟურნალისტები ნ. ცეცხლაძე და ეთერ თურაძე, რომლებსაც დიდ მადლობას ვუხდი ჩემი და ბათუმელების სახელით.**

ბულვარის კოლონადა

წინასიტყვაობა – ეს წიგნი გაზეთ ,,ბათუმელებში“, რუბრიკა ,,ბათომში“ გამოქვეყნებული სტატიების კრებულია. სტატიები, რომლებიც ძველი და ახალგასაბჭოებული ბათუმისა და ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანების შესახებ მოგვითხრობს. წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ,,ბათუმელებში“ შოთა გუჯაბიძის ავტორობით, შესაბამის ფოტომასალებთან ერთად.

წიგნის სახელწოდება - ,,ბათომი“ – 19-ე საუკუნისა და 20-ე საუკუნის პირველი მესამედის ბათუმს უკავშირდება. იმ დროს ქალაქს ბათომსაც უწოდებდნენ და ბათუმსაც. ასე იყო 1936 წლის 17 აგვისტომდე, როცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ტრანსკრიფციის ბიურომ ქალაქს ,,ბათუმი“ უწოდა. მას შემდეგ სიტყვა ,,ბათომი“ ოფიციალური დოკუმენტებიდან გაქრა.

ამ წიგნში მოთხრობილი ყველა ამბავი მაშინ იწყება, როცა ბათუმს ჯერ კიდევ ბათომს უწოდებდნენ, ქალაქი თანდათან იზრდებოდა, იერს იცვლიდა და მასთან ერთად იცვლებოდა იმ ადამიანების ბედიც, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობდნენ.

,,ბათომი“ გაზეთ ,,ბათუმელების“ მიერ გამოცემული მეორე წიგნია, რომელიც ძველი ქალაქის ამბებს მოგვითხრობს. დღეს, როცა ბათუმში მიმდინარე პროცესები სამუდამოდ ცვლის ძველი ქალაქის იერსახეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმედ მიგვაჩნია ამ წიგნის გამოცემა და საზოგადოებისათვის ქალაქის ისტორიისა და იმ ადამიანების შეხსენება, რომლებიც ბათომში ცხოვრობდნენ.

1930 წელია. ბათუმის პორტიდან გემი ემზადება გასასვლელად. გემი იტალიაში მიდის და სამი ექიმი მიჰყავს ერთა ლიგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. სამივეს ივანე ჰქვია და სხვადასხვა გვარები აქვთ: კონიაშვილი, მჭედლიძე და ფრანგულიანი. ამ ვიზიტის დასასრული ლეგენდის დასაწყისი გახდება, ოღონდ სხვა ლეგენდებისგან განსხვავებით, შეგიძლია დაინახო და შეეხო კიდეც.

მაგრამ ჯერ ადრეა, ჯერ სამი ექიმი ბათუმიდან იტალიაში მიემგზავრება.

სამთაგან ერთი ივანე - მჭედლიძე - ბათუმელი იყო და ბათუმის მალარიის სადგურს ხელმძღვანელობდა მარქსის (ვაჟა-ფშაველას) ქუჩაზე. პაციენტებს იღებდა სობოროს (დუმბაძის) ქუჩაზე N8-ში.

საერთაშორისო კონფერენციის თემა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამ მხრივ ბათუმს დიდი გამოცდილება ჰქონდა **ტიმოლეონ ტრიანდაფილიდისის** წყალობით და დიდი წვლილიც ჰქონდა შეტანილი მალარიის დამარცხებაში. კონფერენცია რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორც ყველა სხვა კონფერენცია და ივანე მჭედლიძეს არაფერი გამოაცოცხლებდა, შემთხვევით რომ არ გაეგო, რომ აქვე ახლოს, ქალაქ სორენტოში მისი ძველი მეგობარი ისვენებდა.

მეგობარს მაქსიმ გორკი ერქვა და სორენტოში სამკურნალოდ იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორე დღესვე ქართულად დაადგა თავზე სამი ივანე მაქსიმ გორკის.

ჭიქა და თხილი გამოიტანა მაშინვე მაქსიმმა და ნარდი ჩაუდგა მუხლებში სტუმრებს, სანამ ჩემი რძალი კეცს გააფიცხებდეს, თავი შეიქციეთო.

ამას ვიტყუებით, ბოდიში და.

საქმე ისაა, რომ მაქსიმ გორკი კარგა ხანს ბათუმში ცხოვრობდა სმეკალოვისა და კომაროვის ქუჩების კვეთაში, აგურის სახლში, დღევანდელი რუსთაველისა და თავდადებულის კვეთაში. ოღონდ მაშინ ალიოშა პეშკოვი ჯერ არც მაქსიმ გორკი იყო და არც - მწერალი. სწორედ მაშინ გაიცნო მან ივანე მჭედლიძე და როტშილდის ქარხნის მუშა ეგნატე ინგოროყვა. მწერლობაც მაშინ ურჩია ეგნატემ ალიოშას. ეგნატე უკვე ნინოშვილიც იყო და მწერალიც, ხალხს უყვარდა და ქუჩაში ცნობდა.

გაიხარა გორკიმ ძველი მეგობრის ნახვით და რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი სორენტო მოატარა. უჩვენა, თუკი რამ იყო საინტერესო და უინტერესო. იხსენებდნენ ახალგაზრდობას და ზღვისპირა სორენტო აგონებდათ ბათუმის ბულვარს, რომლის გაშენებაში გორკმაც მიიღო მონაწილეობა თავის დროზე. უფრო გვიან წერდა, ბათუმი მალე ნიცას უკან მოიტოვებსო.

დამშვიდობებისა გორკიმ უთხრა ივანე მჭედლიძეს, რაღაც მინდა გაჩუქო სამახსოვროდ და არ ვიცი, რაო. მაგაზე შენ არ იდარდო, ჩემო ალიოშა, კოლონები რომ დგას ქალაქში ამა და ამ ადგილას, იქნებ როგორმე მაგის პროექტი გამიხერხოო.

როგორც ჩანს, გორკის გამავლობა სცდებოდა სსრკ-ს ფარგლებს, მიდგა-მოდგა და ივანეებმა პროექტი წამოიღეს ბათუმში.

მჭედლიძემ პროექტი ქალაქის მაშინდელ პირველ პირს, გეურქოვს წარუდგინა. საკითხი ჯერ რამდენიმე სხდომაზე განიხილეს, მერე - გაფართოებულ სხდომაზე. ზოგი მომხრე იყო, ზოგი - მოწინააღმდეგე. მაგრამ საბოლოოდ პროექტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ნადარეიშვილი

დაამტკიცეს: ჯერ ერთი, გორკის ნაჩუქარი იყო და მეორეც - ისედაც უნდოდათ, ბულვარში პარკსა და სანაპირო ზოლს შორის რაიმე გამყოფი ნიშანი დაედგათ. კოლონადა ამისათვის შესაფერისი იყო.

მაგრამ საჭირო იყო სორენტოდან ჩამოტანილი პროექტის დახვეწა. ეს საქმე ინჟინერ პავლე ნადარეიშვილს დაავალეს, რომელიც ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ასწავლიდა. ამ გზით ჩაერთო საქმეში ბოგდან კირაკოსიანიც, რომელიც ამავე ტექნიკუმის სტუდენტი იყო, სულ რაღაც 19 წლისა.

კოლონადის კაპიტელები და ყველაზე ლამაზი დეტალები ბათუმელმა მოქანდაკემ, ფერმწერმა, კომპოზიტორმა და მევიოლინემ გრაჩ სეჩენიანმა გამოძერწა.

გრაჩ სეჩენიანი

მოკლედ, როცა ვინმე კოლონადის ავტორს იკითხავს, პასუხი ძნელი გასაცემია.

მშენებლობა ორ წელიწადს გაგრძელდა და 1934 წელს დასრულდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარი კოლონადის აშენებამდე



კოლონადის მშენებლობა

კოლონადა 1934 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღიდან ერთ სულ მოსახლეზე კოლონადასთან გადაღებული ფოტოების რაოდენობა მხოლოდ პასპორტის სურათების რაოდენობას თუ ჩამოუვარდება.

გორკი მალე გარდაიცვალა და ბათუმს ასათიანის ქუჩას მისი სახელი უწოდეს. ძეგლიც დაუდგეს სკვერში ამ ქუჩაზე.

ივანე მჭედლიძე დახვრიტეს 1937 წელს.

ივანე კონიაშვილი დახვრიტეს 1937 წელს.

ივანე ფრანგულიანი საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს 1937 წელს. გარდაიცვალა 1973 წელს.

არტაშეს გეურქოვი დავხვრიტეს 1937 წელს.

ბოგდან კირაკოსიანი 1972 წელს გარდაიცვალა, გრაჩ სეჩენიანი კი 1979 წელს.

კოლონადა დგას.“

ჰოდა, როგორც ვოლტერმა ბრძანა:

„წიგნიდან წიგნი იბადება...“

ახლა, რაც შეეხება მაქსიმ გორკთან სორენტოში გადაღებულ სურათის ისტორია კი ასეთია:

გაზეთ ,,ღამის თბილისის“ 1968 წლის 10 თებერვლის ამონარიდი ,,მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავისათვის - **ერთი ფოტოსურათის ისტორია,** სადაც ვკითხულობთ: ,,ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. პირადოვმა, რომელიც სწავლობს გორკის ურთიერთობას საქართველოსთან, ძველი ბოლშევიკის, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის ი. ფრანგულიანის პირად არქივში აღმოაჩინა დიდი მწერლის იშვიათი ფოტო. მასზე გამოხატულია მ. გორკი, მისი შვილიშვილი მართა და ი. ფრანგულიანი. სად არის გადაღებული ეს ფოტოსურათი, როგორია მისი ისტორია? საქდესის კორესპონდენტის ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა რამაზ სურმანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ფრანგულიანი თავის მოგონებებში წერს, რომ რამდენჯერმე შეხვედრია ა.მ. გორკის, პირველად ეს იყო 1920 წლის 22 აპრილს, საღამოზე მოსკოვში, რომელიც მიეძღვნა ვ.ი. ლენინის დაბადების 50 წლისთავს საქართველოდან ჩასულ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ა. მ. გორკის გამოსვლამ საღამოზე.

მეორე, ხანმოკლე შეხვედრა მოხდა 1928 წელს თბილისში. ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც შეხვდნენ დიდ მწერალს იყო ი. ფრანგულიანიც.

მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი, ყველაზე მკაფიო იყო მესამე შეხვედრა 1930 წელს.

ი. ფრანგულიანი საბჭოთა ექიმების ჯგუფთან ერთად გაიგზავნა საზღვარგარეთ მივლინებაში ჰიგიენისა და მალარიასთან ბრძოლის კურსებზე, რომელიც მოაწყო ერთა ლიგის სანჰიგიენურმა სექციამ. საბჭოთა ექიმებმა მოისმინეს ლექციების ციკლი ბერლინში, ჰამბურგში, პარიზში, რომსა და ნეაპოლში.

იტალიაში დროს მათ გადაწყვიტეს ენახად ა.მ. გორკი, რომელიც ამ დროს სორენტოში ცხოვრობდა.

განსაკუთრებული გულითადობით შეხვდა მწერალი სამშობლოს წარგზავნილებს. როცა შეიტყო, რომ მათ შორის იყვნენ წარმომადგენლები საქართველოდან, რომელიც გორკის მუდამ მიაჩნდა თავის მეორე სამშობლოდ, მან უფრო მეტად გაიხარა. გორკიმ სთხოვა სტუმრებს დარჩენილიყვნენ სორენტოში რამდენიმე დღეს, თუმცა მათი მივლინების ვადა მთავრდებოდა.

ალექსი მაქსიმეს ძე დაეხმარა საბჭოთა ექიმებს მოწყობილიყვნენ პანსიონატ ,,მინერვაში“, რომელიც მდებარეობდა იმ ვილის პირდაპირ სადაც იგი ცხოვრობდა.

ოთხი დაუვიწყარი დღე გაატარეს მათ გორკთან ერთად. მწერალი ცდილობდა ეჩვენებინა მათთვის ყველა ღირსშესანიშნაობა, დადიოდა მათთან ერთად გარეუბნებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სორენტო, მ. გორკის რძალი, ი. კონიაშვილი,
ი. მჭედლიძე, მ. გორკი და ი. ფრანგულიანი

საღამოობით, სტუმრებთან საუბრის დროს, ალექსი მაქსიმის ძე კმაყოფილებით იგონებდა ახალგაზრდობის წლებს, ხშირად მიმართავდა საქართველოს წარმომადგენლებს, უამბობდა ძველ თბილისზე, რომელიც მას დაახსომდა, ეკითხებოდა ნაცნობ მწერლებსა და მეგობრებზე. ხშირად იგონებდა და მგზნებარე რევოლუციონერსა და ბრწყინვალე კონსპირატორს კამოს.

გორკის აინტერესებდა ყველაფერი - საქართველოში ახალი ჯანმრთელობის კერების მშენებლობების გეგმები, მისი გადაქცევა კურორტების ქვეყნად, ხოლო ჭაობიანი კოლხეთისა - ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებად.

ალექსი მაქსიმეს ძის თხოვნით ექიმმა ი. მჭედლიძემ, რომელსაც სასიამოვნო ხმა ჰქონდა, შეასრულა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართველმა ექიმებმა გორკის გაუგზავნეს გრამოფონის რამდენიმე ფირფიტა ქართული სიმღერების ჩანაწერებით.

თავის მხრივ გორკიმ სორენტოდან გამოაგზავნა ფოტოსურათები, რომლებიც მისმა შვილმა მაქსიმემ გადაიღო.

ერთ-ერთი მათგანი დაცულია ი. ფრანგულიანის პირად არქივში და ახლა ინახება საქართველოს კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

მ. გაბრიაძე (საქდესის კორ).

სურათზე: მ. გორკი თავის შვილიშვილ მარფასთან და ძველ ბოლშევიკთან, საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმ ი. ფრანგულიანთან ერთად სორენტოში."

ბატონ რამაზ სურმანიძემ შეამჩნია, რომ სურათი არ არის სრულყოფილი, ეს თვალნათლივ ჩანს სურათზე მაქსიმ გორკის გვერდით მდგომი ადამიანის ყური მოსჩანს. ბატონმა რამაზმა წლები მოანდომა სრულყოფილი სურათის მოძიებისთვის და კიდეც მიაღწია მიზანს, რაც ზემოთ ვიხილეთ.

საკვირველია ის ფაქტი, თუ რითვის დასჭირდა ი. ფრანგულიანს სურათის ჩამოჭრა, ალბათ იმიტომ რომ, ივანე მჭედლიძე და ივანე კონიაშვილი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ - 1937 წელს დახვრიტეს და ის კი გადაურჩა ამ საშინელ ხვედრს. იგი ზემონახსენებ წერილში არც კი ახსენებს მათთან ერთად მგზავრობას.

სორენტო,
მ. გორკი და ი. ფრანგულიანი

ივანე კონიაშვილის დახვრეტის შემდეგ, ი. ფრანგულიანი საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნეს. ქართველ მედიკოსების და მაქსიმ გორკის ოჯახთან ერთად გადაღებული და სრულყოფილი ფოტო 1977 წელს მოიძია მოსკოვში მაქსიმ გორკის სახლ-მუზეუმში რამაზ სურმანიძემ და ამით აღადგინა ისტორიული სინამდვილე.

საგაზეთო მასალები კოლონადებზე

სიმართლე ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფაზეც უნდა აისახოს

შეეფერება თუ არა იგი დიდი ადამიანების სახელებს?

სიმართლე ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფაზეც უნდა აისახოს

შეეფერება თუ არა იგი დიდი ადამიანების სახელებს?

6 №101 (24.058) შაბათი, 5-7.09.2015 ეპოქა საზოგადოება

სიმართლის თქმის დრო დადგა!

«ხალხის მტრებს» მათ ნამოღვაწარს არ მიანერდნენ

ბიბლიური წიგნში ეზეკიელის ძველი ებრაელთა ყველაზე საკმაოდ ლტოლვის (ებრაული 3699, 3-4. 09. 2013 წ.) სათაურით დეს ანბანი ეკლესიებმა ეს ძალ წერის ავტორად რაბან სოფერმანე. ასათაური ამ ეკლესიის გამოჩენა. საფეხელი ასეა. ფიდელ ჩანია, ეკლესიებში ბოლო წელში, ეკლესიებმა ბრალი ანატომია ეკლიესია. ეკლესიებ ან ფიზიკური ოცდაათამ წელში ბასაგში. მეტიოტები ინფორმა. ეკლესიაც ან მიეწერათ ბოლოს ეკლესიებმა ეზეკიელის ეზეკიელის პროფესორებები, საწერსაფოდ. ბრალდებად ანც ეზეკი ბიბლიოზეკ სწორა ან ფიფი და ამის, რომელ ხანდაზმულების მოიფიქრები, ასევე საარქივო დოკუმენტებიც ავანტურებს. ეზეკიელ ბიბლიის ეკლესიებმა ეზეკიელ ინფორმის ბოლო, ანის ბალეულიათვის ეკლეკიელ ნაკლები და დამარტალეთ ინფორმი ბოგდან ეზეკიელისა (1912-1972).

რაბან სოფერმანის ინტელექტუალეზეკი ეზეკიელ ზიამეტრა. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის, ეზეკიის ანტეკის სამნიადაგიანი ფიფრეკი ეკლეკი. ბარეკიელ ფიფრეკიანურად ეზეკიელ ეზეკიელ ანტეკი ინფორმაციებმა ეზეკიელ ეზეკიელ ინფორმაციებმა ეზეკიელ ეზეკიელ ეზეკიელ

Настало время сказать правду!

«У «врагов народа» отнимали их заслуги»

В июне минувшего года я приступил к написанию новой книги под названием «Мой бульвар». В процессе работы над книгой в архиве библиотеки я нашел статью о постройке колоннад, которые находятся на бульваре (Газ. «Аджара» № 99 3-4. 09.2013 г.), под названием «Кто построил колонны да?», автором которой является профессор Рамаз Сурманидзе. Вот что он пишет: «Этот заголовок статьи имеет свое основание. С давних времен, особенно в последние годы, строительство колоннад приписывают разным архитекторам и инженерам. К сожалению, это неправда. Об этом свидетельствуют архивные документы. Одним из инженеров колоннад является Богдан Кираносян (1912 – 1972 гг.)».

В начале июля сего года я зарегистрировался исследователем в архивном управлении Аджарии, где мне посильную помощь оказали сотрудники архива во главе с господином Тамазом Путкарадзе.

Вернемся в прошлое и воспользуемся архивными материалами. В Батуми в тридцатых годах прошлого столетия работал известный не только в городе, но и во всей республике архитектор Павле Надаревишвили. О нем сохранено достаточно материалов не только в архиве Аджарии, но и в государственном архиве Грузии, в любой желающий может

Павле Надаревишвили

Богдан Кираносян

найти и прочитать все эти документы. В этих материалах указаны все значительные и исключительные строения, которые были построены в Батуми в 1925-1936 годах, под непосредственным руководством или с участием Надаревишвили. Он был главным архитектором города, и его непосредственной обязанностью было руководство строительством в городе. Помимо этого, Павле Надаревишвили вел педагогическую деятельность, был известным педагогом и преподавал в том же индустриальном техникуме, который окончил Богдан Кираносян. Тут же отмечу, что Кираносян в 1931 году, когда начался строительство колоннад, был 19-летним молодым человеком, и кто бы ему доверил строительство колоннад, когда в городе был главный архитектор? Соответствует ужасе и то, что проектировщиком и руководителем строительства был Павле Надаревишвили, а производителем работ он назначил своего ученика Кираносяна.

В одном из дел этого архива хранятся документы использованных работ по колоннадам на бульваре, которые подписывают «прораб» Кираносян и бухгалтер Тугушя, всего, что П. Надаревишвили приглашал производителем работ им же спроектированного объекта бывшего своего ученика, техника Б. Кираносяна, которому принимал проектирование и управление строительством объекта.

Руководствовался следующими документами: фонд № Т-1196, опись3 1929-1960гг. 1 том бюро учета расходов коммунального хозяйства Аджарии - 2009 г.

Утверждено

Начальник проектно-сметного бюро МКХ АССР Тов. Джапаридзе М. Р. 18.06.1970 г.

Опись – N 3

Архивных материалов проектно-сметного бюро министерства коммунального хозяйства, подлежащих постоянному сроку хранения технического архива.

1.1929 г. Схематический план города Батуми - Трубе

2.1934 г. Построение дома ЦИК по ул. Сталина – Б. Кираносян

3.20.01. 1936 г. Проект внутреннего оформления гостиницы „Гринин„ – Шаниашвили

41. 15.02. 1944 г. Проект восстановления Приморского бульвара и генеральный план бульвара им. Сталина – Б. Кираносян

Максим Горький

Иване Мчедлидзе

133. 1948 г. Чертежи и проекты летнего театра – Б. Кираносян

144. 14.04. 1948 г. Проект аллей Приморского бульвара - Б. Кираносян

148. 21.04. 1948 г. Проект хетельбана на Приморском

бульваре - Б. Кираносян

160. 04. 1948 г. Проект реконструкции клюкей на Приморском бульваре - Б. Кираносян

163. 15.04.1948 г. Проект теннисных кортов на Приморском бульваре - Б. Кираносян

В это время главным архитектором города был Каха Джавахишвили. Как видно в данной описи, строительство колоннад бульвара даже не упоминуто, но зафиксированы другие работы Кираносяна.

В Батумской публичной библиотеке, в газетном фонде, в 70-ом номере газеты «Советский Аджаристан» от 24 ноября 1934 года опубликована статья под названием «Сегодня открывается новая больница» (автор П. Замбахидзе). В этой же газете от 12 октября 1934 года опубликовано фото колоннад на бульваре, но ничего про них не написано...

Исходя из этого, журнал учета № 3 даже от действительности и появляются сомнения. Как отмечает Рамаз Сурманидзе: «У «врагов народа» отнимали их заслуги...».

В журнале фонда Р-9 на третьей странице есть аннота, где имеется короткая историческая справка, где сказано: «Архивные материалы Батуми и использованы его уезда защищены. Установление даты приема-сдачи архивных материалов за 1921-1934 гг. стало невозможным из-за неимения других источников». Подчеркивает старший научный сотрудник Д. П. Чеквадзе - 29. 10. 1961 г.

Из данного факта пусть читатель сам делает выводы...

Что касается Богдана Кираносяна, то он окончил Батумский индустриальный техникум в 1931 году, а с 1939 года заочно учился в Тбилисском индустриальном институте, который окончил в 1946 году. Ему была присвоена квалификация инженера-архитектора. С этого момента начинается его удачная профессиональная деятельность.

Павлов Надаревишвили высшее инженерное образование получил в городе Варшаве, столице Польши. После окончания университета Павле приехал в Батуми и начал работать на строительстве гидролестростанции в Кедском районе. Вскоре он обзавелся семьей.

В одной из опубликованных статей сын Павле Надаревишвили Гурам отмечает: «Богдан Кираносян жил напротив нашего дома. Я с ним часто встречался. Богдан при встрече всегда с уважением и теплотой вспоминал о моем отце и говорил, что тот был большим инженером и он многим обязан Павле. Именно его заслуга, что на строительство колоннад пришел меня в качестве производителя работ».

«Богдан был честным человеком, - подчеркивает Гурам Надаревишвили, - и если бы он был жив, сам конструктор бы приписывающо ему авторства проекта колоннад».

Общественность нашего города благодарна Богдану Кираносяну за его вклад в создание облика старого Батуми, не незаконурные здания, которые он спроектировал и оставил будущим поколениям. Жители и гости нашего города всегда с восхищением отмечают красоту его творений.

На статью Рамаза Сурманидзе откликнулись профессора Нодар Чхаидзе, Отар Гоголишвили, энциклопедист Отар Гагуа, которые единогласно поддерживают версию господина Рамаза Сурманидзе. Что касается эскизов колоннад, об этом факте было не раз написано, их привезли из Италии, из города Сорренто, где находились в командировке по путевке в Лигу Наций (нынешнее ООН) три грузинских врача - Иване Мчедлидзе, Иване Кошиашвили и Иване Французишвили (в своей статье это подробно описывает господин Рамаз Сурманидзе). В получении эскизов и чертежей колоннад им оказал большую помощь живущий тогда в Италии Максим Горький, который хорошо знал батумского врача Иване Мчедлидзе.

Справедливость требует: на бульваре, перед колоннадами, на установленной мемориальной доске, где указаны только автор идеи и строитель Иване Мчедлидзе и Богдан Кираносян, добавить имена Максима Горького, который добыл эскизы и чертежи колоннад, а также имя главного архитектора города Батуми того времени Павле Надаревишвили, с их фотографиями.

Обращаюсь с просьбой к общественности в связи с установлением новой мемориальной доски. Выискивание лица, которые внесли свой вклад в построение колоннад на Батумском бульваре, должны занимать достойное место на новой мемориальной доске. Справедливости ради требуется не забывать заслуги репрессированных лиц перед Отечеством. Это наша человеческая обязанность в дело чести. Этот шаг по достоинству будет оценен будущими поколениями!

Нужно отметить и тот факт, что на мемориальной доске отсутствует надпись на русском языке, тогда как наш регион многонациональный и большинство разговаривает по-русски. Особенно за последнее время участились визиты русскоязычных туристов, что вызывает для них дискомфорт. Мемориальная доска должна быть защищена от повреждения, ведь этот памятник переходит из поколения в поколению, а текст в первую очередь должен совпадать с истинной историей колоннад, и ее должны написать специалисты и эксперты.

В таком плачевном состоянии сегодня мемориальная доска у колоннад

В связи с заменой мемориальной доски собираются подписи среди населения Аджарской автономной республики. К этому времени собраны подписи от организаций: Аджарской организации Совета писателей Грузии, «Народной академии», (инициатор сбора подписей), «Родовой союз сыновей Отечества Аджарии», Федерации ветеранов Аджарии», Батумский государственный университет им. Шота Руставели, университет искусства, учителя городских школ №№ 1, 2, 8 и учителя школы Земо Ахалцихе Хелвачаурского района, Союз художников Аджарии, а также общественные деятели и население Батуми. Сбор подписей продолжается.

Общество по сей день возмущается и проявляет негодование в связи с отсутствием на бульваре памятника Ясону Гордезиани. Он был одним из лучших агрономов-декораторов Европы, чьими руками и талантом создан этот необыкновенный райский сад в нашем городе.

Участники городского собрания должны учитывать интересы и просьбы, а также требования своих избирателей, тем более, если они справедливы и направлены на благосостояние нашего города. Да и слоган городского собрания гласит об этом - «Управляй своим городом!»

Тенгиз ЦЕЦХЛАШВИЛИ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაზისგადადგომა — ექსპრეს 95 — №145 (24.255) ხუთშაბათი, 22-23.12.2016 — 9

ზღვისპირა ბულვარი ხელნამოსაკრავი ფასეულობა არ არის!

**„მარშან, ჩვენი შენიშვნის შემდეგ, იღონიზელი მეშინო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობის ტრიბუნა

მსოფლიოს უნდა გაკვირვება

ამის წინათ ბათუმის ყველ ბელადაში, საზეიმო ვითარებაში ეროვნული ბანდიერეულ-ტარის, ბათუმის ბიბლიოტეკა ხალის პრეზიდენტმენტალის, თითქმის ოთხი ათეული წელი ეხალეს ეკონომიკურ ხელმძღვანელის ინსპექტორად, ოთხ ბოლოს, ხელმძღვანე ფ ბასპინძლეს ეოფლ ბეშვარიტებას, ბის დიდ დამსახურებას ქალაქის განვითარების, განსაკეთრებით კ ზღვიდელი ბიტანეკეთი ბადის ფ ზღვისპირა ბოლეკინის შეშენაში. ეოფლეულ ამან ეოფეე ეფერი განსაბეკეთი ნელი ინსტიტუტების ბიერ დიდი ხნის წინათ ეკონიკეკეთი ანბრი ინის შესიტ, რომ ბარალეკ ეოფლეულ ბიდეკეთის ბიდეკეთან ეროეკეთ ბეკეთან ბანაში ეკეთ ბეკეთ ეოფლეულ ბანკეკეთ ბანკეკეთ ბეკეთ ეოფლეულ ბანკეკეთ ბეკეთ ეოფლეულ ბანკეკეთ ბეკეთ ეოფლეულ

ნუგზარ ჯაფარიძე - ბულვარის ისტორიიდან

,,შალვა დადიანი თავის მოგონებათა წიგნში **,,რაც გამახსენდა“** , ქუთაისის ბულვარის აღწერისას აღნიშნავს: ,,ამ ბაღს ქუთათურები სიყვარულით **გულვარდს** ეძახდნენო”.

სიყვარულის ბაღი იყო ჩვენი ბულვარიც, მოვლილი, სუფთა, ყვავილების სურნელით გაჟღენთილი. ზამთარ-ზაფხულ აქ ხალხი სეირნობდა, ერთმანეთს ხვდებოდნენ შეყვარებულები. ტუიას მაღალი ბუჩქების მიღმა ირჩეოდა ხოლმე ბათუმის უბნებში დაწყებული ჩხუბები.

მაშინდელ ვარდებზე, ყარამფილებზე, ნარგიზებზე, გლადიოლუსებზე, კამელიებზე, იებზე, ლოფორთქანა იაპონურ ყურძნებსა და სხვა ათასსურნელოვან ყვავილებზე ფიქრს რა ჯობია?!

მახსოვს, ჩვენი კლასის გოგონებმა ორი ცალი ვარდი მოწყვიტეს ბაღში. წარმოიდგინეთ, მეორე დღეს მებაღე მილიციელი სკოლის დირექტორის თანხლებით რომ შემოვიდა კლასში.

რა კარგია, რომ ვერც მებაღე, ვერც ჩვენი დირექტორი და ვერც ის მილიციელი ვერ მოესწრნენ ბულვარში მანქანებით ჯირითს, სკამებისა და სავარძლების ლეწვას, ხეების ჩეხვას და ყველაფერ იმას, რასაც, აზიზ ახვლედიანის თქმის არ იყოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით სჩადიოდნენ ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის ალამდრები და მათზე აყოლილი მედროვეები.

მიუხედავად ამისა, ის რაც გაკეთდა და კეთდება, სასწაულის ტოლფასია. ახალი გაზონები, ახალი ნარგავები, ახალი სკვერები, სავარძლები, შადრევნები, იდეალური სისუფთავე, აქეთ კიდევ ხოხოლა ჰოსპიტლისა და ქოხმახების ადგილას აღმართული **ბარბარეს** თეთრქათქათა ეკლესია, ათასობით კუბური მეტრი მიწა და ქვიშა, ზემოდან ხასხასა ბალახი და ლამპიონები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარში, ღია ესტრადაზე, უკრავდა სამხედრო გარნიზონის სასულე ორკესტრი. ფეხით სავალ ბილიკებზე სპეციალურად შერჩეული, გაცრილი და გარეცხილი, ცისფერი კენჭები ეფინა.

ბულვარში წასვლა მთელი რიტუალი იყო. ვსეირნობდით ასე: წინ ბავშვები, უკან მშობლები და მათი ახლობელ-მეგობრები. თითქმის ყველას თავისი, ამოჩემებული სკამი ჰქონდა.

კიდევ: იყო პლაჟი. ფასიანი – მთავარი ხეივნის ბოლოში, უფასო – მარჯვნივ, პორტისკენ. ფასიან პლაჟზე იყიდებოდა ნაყინი, ჭყინტი, ჩიბურეკი, ბლითი. ახლა რომ ეპიდემიად ქცეულა მზესუმზირის მარცვლების გაუთავებელი კნატუნი და ქუჩაში ჩენჩოს ფურთხება, მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ ამას. მზეუმზირას სტადიონთან ყიდდნენ, თანაც ჭიქებით და არა სათითურებით.

იყო კიდევ ქალთა პლაჟი. იქ მამაკაცებს არ უშვებდნენ, საერთო პლაჟიდან ტილოსზოლებიანი ნაჭრით გამოყოფილ ადგილას, ქალები, ვისაც სურვილი ჰქონდა, დედიშობილა იხრუკებოდნენ მზეზე.

მაგრამ ბულვარის პატრონებს ერთი რამ ავიწყდებოდათ; ზღვაზე ნაჭრის, ან, უკიდურეს შემთხვევაში წყალქვეშა ნავების მაბლოკირებელი რკინის ბადის გამბა.

რაა იმაზე იოლი, შედი საერთო პლაჟზე, ჩადი წყალში, ცოტა შორს გაცურე, მერე მარცხნივ გვერდულად გაუტიე და აგერაა ქალების პლაჟი. თუმცა ამ ავანტიურას ერთი ნაკლი ჰქონდა: ტალღების რწევაში შორიდან კარგად ვერ ამჩნევ ქვებზე წამოგორებულ სილუეტებს. ახლოს თუ კი მიცურდი, კარტეჩივით წამოვა ნაპირიდან ქვების ნაკადი.

ბათუმის ბულვარი. ბულვარში ოცდაათიან წლებში იტალიიდან ჩამოტანილი ანტიკური ქანდაკებების ასლები დადგეს. მერე კი, აი, რა მოხდა. ომი რომ დაიწყო, დაბობვისა, თუ ბაღში მოხეტიალე მთვრალი მეზღვაურების შიშით, ქანდაკებები

ოფიცერთა სახლის უკან დაუფლავთ. როცა გაუხსნიათ ეს სახელდახელო სარკოფაგი, ზოგი ქანდაკება გუდრონით დაზიანებული აღმოჩნდა. მერე კი გაქრა ეს ყველაფერი.

სამოცდაათიან წლებში დავიწყე ამ ქანდაკებების ძებნა. ხუთი ცალი, ზოგი მთელი, ზოგიც დამტვრეული, ბათუმშივე აღმოვაჩინე. აწ განსვენებული **მურად ხინიკაძე** დიდად დამეხმარა ამაში. თითქოს დანარჩენების კვალსაც მივაგენი, მაგრამ რად გინდა, ისეთი ხალხი იყო ჩარეული ამ ქანდაკებების ძარცვის საქმეში, რომ, ვერაფრით მოვერიე მათ, ვეღარ ვათქმევინე მთელი სიმართლე მაშინდელ ბათუმელებს.

ვინც გაბედა და ერთი-ორი სიტყვა მითხრა, ისიც მიკიბულ-მოკიბულად. საიდუმლო არ გაამხილეს ბოლომდე, რადგან თავადაც ერიათ ხელი ამ საქმეში.

პირველი მონათხრობი:

ლენინის ძეგლი რომ შენდებოდა, ვგონებ 1956 წელს, დღე და ღამე მუშაობდნენ. გრანიტის ქვები თუ თავად ძეგლისა და კვარცხლბეკის ნაწილები თბილისიდან მოჰქონდათ. სწორედ იმ მანქანებითვე გაიზიდა თბილისში ქანდაკებების ნაწილი. ერთი მათგანი ბათუმელი თბილისელის, ყოფილი მინისტრის სახლში დგას.

მეორე მონათხრობი:

თეატრში სპექტაკლი იდგმებოდა. თბილისიდან მოწვეულ რეჟისორს გასამრჯელოს სახით უნიკალური ხმლები, ხანჯლები და ერთიც ქანდაკება გაატანესო.

მესამე მონათხრობი: უფრო სურვილი.

გირჩევთ თავი დაანებო მაგათ ძებნას, მაინც ვერაფერს გახდები. ამას მოყვა გამაფრთხილებელი ტელეფონის ზარიც.

ჩვენი ნაპოვნი ქანდაკებების ადგილსამყოფელი ბათუმში: ერთი, მეტად, დაზიანებული, მურად ხინიკაძეს გადაემალა დეკორაციების უკან. სწორედ მან მიჩვენა და ახლაც თეატრშია შეფუთული.

მეორე, შესანიშნავად შენახული, თეატრის დირექტორის კაბინეტშია და მადლობა ღმერთს, გადარჩენილია.

მესამე, ბარათაშვილის ქუჩაზე, ბავშვთა პოლიკლინიკის ფოიეში, მეტნაკლებად კარგ მდგომარეობაში.

მეოთხე, ქალის ნატყვიარი ტორსი მხატვარმა შოთა ხოლუაშვილმა გადმომცა პასპორტის შემოწმების შემდეგ და ჯემალ მიქელაძის სახელოსნოშია.

მეხუთე, პიონერთა პარკის მშვენიერი ღობის რღვევისას უპოვია მოქანდაკე მამუდ ბოლქვაძეს და ქანდაკების ნაწილიდან გოგონას პორტრეტი გამოუთლია. აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

მაშინ, ქანდაკებების ძებნისას, დავინტერესდი, არქივში ხომ არ მოიპოვებოდა რაიმე მასალა ძეგლებზე, მაგრამ ვერ მივაგენი.

ერთია ცნობილი. მოსახლეობისაგან ჩაბარებული ციტრუსების საფასურის ნაწილი თანხით ქანდაკებები იტალიიდან მაშინდელ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გეურქოვს ჩამოუტანია.

გეურქოვი დახვრიტეს.

გადაფურცლეთ, ბათუმელებო, ჩემო თანატოლებო, ჩემზე უფროსებო, თქვენი მშობლების, დროისაგან გაყვითლებული ფოტოსურათები, უმეტესად იმ ქანდაკებების ფონზეა გადაღებული.

ესეც ჩვენ და ჩვენი ბულვარი.

კიდევ ერთი ამბავი. მაშინ – მეთქი, რომ გიყვებოდით ქანდაკებების ამბავს, თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიყვანეთ ცნობილი მხატვარი, **ჯვრის მონასტრის რესტავრატორი თეზი თოდუა**. ბატონმა **დავით კომახიძემ** და მე იმდენი მოვახერხეთ, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მოვაწყვეთ. რაც ვუჩვენეთ, იმაზე თქვა, სამი ათასი მანეთი მაინც უნდა მაგათ რესტავრაციასო. სად გვყავდა პატრონი, თორემ, ვფიქრობდით, ყველა გადარჩენილი და

აღდგენილი ქანდაკება ისევ ბულვარში, ახლა უკვე ზღვისპირა პარკში, შემინულ პავილიონში დაგვედგა.

მაშინ ვერ მოვაფერეთ.

დღეს?!

რაც ცხონებულმა ნუგზარმა ზემოთ ახსენა, ყოველივეს ამის მნახველი და მომსწრე გახლავართ...

ნუგზარ ჯაფარიძე

ამ გახსენებით იმის თქმა მინდა, რომ **ნუგზარ ჯაფარიძე** მუდამჟამს სამშობლოზე ფიქრობდა, მშობლიურ მიწასა და ხალხზე, მის კუთხეზე, რათა უბრალო გლეხის ყოფაც კი გაეტანა სამსჯავროზე... სამწუხაროდ, ასეთი მზრუნველი მამულიშვილები ადრე ტოვებენ წუთისოფელს...

ნუგზარ ჯაფარიძის გარდაცვალების შემდეგ,

ნუგზარ ჯაფარიძის შვილიშვილი ელისაბედი

მისი სახლის წინ, გრიბოედოვისა და გორგასლის ქუჩების კვეთაში აჭარის მწერალთა საზოგადოებისა და პირადად მისი თავმჯდომრის, **დავით თედორაძის** ინიციატივით მერიამ საზეიმოდ გახსნა ნუგზარ ჯაფარიძის სახელობის სკვერი, რომლის გავლა, ფეხით მოსიარულეს ყოველდღიურად, დღეში ორჯერ მაინც, მიხდება...

ნუგზარი, გარდაცვალების შემდეგ უფრო ახლოს გავიცანი. მის წიგნსს **„მოგზაურობა ბათუმში“** თუ კაცი არ წაიკითხავს და არ ჩაწვდება ბათუმის ცხოვრებას, უბრალოდ ბათუმელობა არ დაიბრალოს... ეს წიგნი ისეთი რამ არის, რომ მისი გამოცემა კვლავ აუცილებელია – ეს ბათუმელთა ენციკლოპედიაა...

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ნუგზარის მონათხრობის ბოლო ფაზას, სადაც ის აღნიშნავდა:

,,P.S. ახლახან ბატონი **ასლან აბაშიძე** დაინტერესდა ამ ქანდაკებებით. ქალბატონმა **ჩიტო ომერაძემ**, ჩვენი კულტურის მესვეურმა, თუ სადმე რაიმე კი იყო აქაური და თბილისის არქივებში, მოიძია, ერთად შეკრა და წარუდგინა. ვნახოთ, იქნებ ვიპოვოთ დანარჩენებიც.“ მეც არ დავაყოვნე, კვალს მივსდიე და ქალბატონი ჩიტო ომერაძე მოვინახულე, რომელმაც ძალღონე და მცდელობა არ დაიშურა ბულვარის გაქურდული ექსპონატების მოძიების საქმეში და შეხვედრისას ზღვა მასალა წარმომიდგინა.

კარგი იქნება, რომ ეს მასალები განთავსდეს **გია ბაღოშვილის** მიერ ჩაფიქრებული **„ბულვარის მუზეუმში“**, რასაც ის ბულვარის სამომავლო კონცეფციის გეგმაში ხედავს და დამუშავებული აქვს ესკიზური პროექტიც.

მივსდიოთ მოვლენებს და ჩავიხედოთ წარმოდგენილ მასალებში:

1996 წლის 23–24 აპრილის (N 47) გაზეთ **„რეზონანში“** დაიბეჭდა სტატია სათაურით: **„ქანდაკებები, საქართველოს საბაჟოს უკანონოდ გავლის შემდეგ საბერძნეთის საბაჟოში კანონიერად დააკავეს.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს შეატყობინა, რომ საბერძნეთის საბაჟოზე დაკავებულია სამი მარმარილოს ქანდაკება. ისინი მე–18 საუკუნეში შესრულებული ანტიკური ქანდაკებების ასლებია. ადამიანი, რომელსაც ქანდაკებები ჩამოართვეს, ვერ ადასტურებს, რომ ისინი მართლაც მისი საკუთრებაა. საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ გამოთქვა ვარაუდი, რომ ქანდაკებები საქართველოდან არის გატანილი და გამოაგზავნა მათი ფოტოები. გაირკვა, რომ იტალიიდან 30-იან წლებში ჩამოტანილი ანტიკური ქანდაკებების ეს ასლები 1941 წლამდე იდგა ბათუმის ბულვარში. 1937 წელს მათი ჩამომტანი დაიჭირეს და ძეგლები დარჩა უპატრონოდ. იმასაც ამბობენ, რომ ჯარისკაცები მათ სამიზნეებადაც იყენებდნენ.

საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ აცნობა საბერძნეთის კულტურის სამინისტროს, რომ ქანდაკებები მართლაც, ბათუმიდანაა გატანილი და მათი ახლანდელი ადგილმდებარეობის მითითება სთხოვა.

ამასობაში საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ საქმე ადგილობრივ სასამართლოს გადასცა. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო ფიქრობს, რომ გამოძიებაში ინტერპოლიც ჩაერთვება.

საბერძნეთში აღმოჩენილი ამ სამი ქანდაკების გარდა, ბათუმის ბულვარში კიდევ 17 ქანდაკება იდგა. აქედან ერთია ბათუმის პოლიკლინიკაში, 3 – ბათუმის თეატრში, დანარჩენების ადგილსამყოფელი გაურკვეველია. აუცილებელია ბათუმის არქივში მუშაობა და საჭირო მასალების მოძიება. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო იმედს გამოთქვამს, რომ ქანდაკებები საქართველოს დაუბრუნდება.

ნინო დანელია“.

ამ სტატიას იმდროინდელმა აჭარის მეთაურმა **ასლან აბაშიძემ**, 30.4.1996 წელს რეზოლუცია დაადო (იხ. სტატიის

ქსეროასლი), რომელიც აჭარის ა.რ. მეთაურის აპარატის კონტროლის განყოფილების გამგეს ქალბატონ **ჩიტო ომერაძეს** ავალდებულებდა სათანადო მასალების მოძიებას, რის შედეგადაც მოძიებული იქნა მასალები:

1 – ,,აჭარის ა.რ. ცენტრალური სახელმწიფო არქივის მიერ 31.05.1996 წ. N23 საარქივო გაცემულ ცნობაში, საფუძველი: ფონდი რ-930, აღწ. I, სა. 89, ფურ.12, სა, 106, ფ 26. რომელსაც ხელს აწერს დირექტორი ს.თ. ტაბაღუა, ვკითხულობთ: ,,აჭარის ა.რ. ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ბათუმის კომუნალური განყოფილების სექტორის 1937 წლის ბალანსის ძირითად საშუალებათა სიაში ჩანს, რომ გამწვანების სექტორზე ირიცხებოდა 6 ცალი მარმარილოს სტატუი ღირებულებით 15 ათასი მანეთი.

ამავე ფონდის 1939 წლის წლიურ ბალანსში ჩანს რომ გამწვანების სექტორზე ირიცხებოდა 5 ცალი მარმარილოს ქანდაკება, თითოეულის ღირებულება – 2500 მანეთი.

ასევე საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა აჭარის ა.რ. მინისტრთა საბჭოს დავალებით ჩაატარა გარკვეული მუშაობა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების გამოვლენისათვის, რომელსაც უნდა დაედასტურებინა ბათუმის ზღვისპირა პარკში ბერძნული ქანდაკებების 1930-იან წლებში შესყიდვა და არსებობა.

2 – ქ.ბათუმის ბულვარში 1930-იან წლებში ბერძნული ქანდაკებების არსებობის დამადასტურებელი საარქივო მასალების მოკვლევის შესახებ საარქივო მოხსენებით ბარათში დათარიღებულ 06.10. 1997 წ. N I-10/243 ,,ცენტრალურ არქივში დაცული 1935 წლის 16 ივნისის **,,საბჭოთა აჭარისტანის"** საგაზეთო სტატიაში ვკითხულობთ: **,,რა გაკეთდება წელს ბათუმის კეთილმოწყობისათვის"** მოსჩანს, რომ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოჰყო 35 ათასი მანეთი ბულვარში ქანდაკებების დასადგმელად. გადაისინჯა რა საქალაქო საბჭოს დადგენილებები, 1935-41 წლების მასალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკრეტული თანხა ჩამონათვალი ძეგლების შესაძენად, ან მათი სახელწოდების დასადასტურებლად არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება ბათუმის კომუნალური განყოფილების გამწვანების სექტორის 1937 წლის ბალანსის ძირითად საშუალებათა სიას, ჩანს, რომ გამწვანების სექტორზე ირიცხებოდა 6 ცალი მარმარილოს სტატუა ღირებულებით 15 ათასი მანეთი, ხოლო ამავე ფონდის 1939 წლის ბალანში ჩანს, რომ გამწვანების სექტორზე ირიცხებოდა 5 ცალი მარმარილოს ქანდაკება 10 ათას 500 მანეთის ღირებულებისა და 1 ცალი – 4 ათას 500 მანეთის ღირებულებისა. აღნიშნული ქანდაკებების დასახელებები ნახსენები არ არის (საარქივო ცნობა ერთვის: ფონდი რ-930, აღწ. I,საქ. 82, ფურ. 12, საქ. 106. ფ. 26).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ არქივში დაცულ ქ. ბათუმის კეთილმოწყობის სამმართველოს 1935 წლის ბალანსში ჩანს, რომ ბათუმის ზღვისპირა პარკში ქანდაკებების დასდგმელად ქალაქის საბჭოს მიერ გამოყოფილი 35 ათასი მანეთიდან, ფაქტიურად დაიხარჯა 24 ათას 739 მანეთი და 55 კაპ. (საფუძველი: ფონდი რ-930, აღწ. I, საქ. 43, ფ. 25). საარქივო დოკუმენტების მიხედვით სტატუების შეძენის ადგილი, ვისგან არის შეძენილი, ან მათი დახასიათება, არ არის დადასტურებული.

შესწავლილი იქნა აგრეთვე ცენტრალურ არქივში დაცული აჭარის ცაკის, სახკომსაბჭოს, პარტიის საოლქო კომიტეტის, ხელოვნების სამმართველოს, ფინანსთა სამინისტროს, კულტურის სამინისტროს ფონდები წლების მიხედვით, რომლებშიც არ აღმოჩნდა ძეგლების კონკრეტული ჩამონათვალი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოთხოვნის სრულფასოვნად შესრულების მიზნით თბილისში მივლინებული იქნა საარქივო დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების შესასწავლად.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში შესწავლილი იქნა მასალა 1931 წლიდან 1941 წლის ჩათვლით: საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საიდუმლო, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საქ. სსრ ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს, საბაჟოს საარქივო მასალები, სახკომსაჭოს ოქმები, სულ 317 საქმე.

ფონდი რ-600, აღწ.1, საქმე 3742-ს შესწავლის შედეგად მოკვლეული იქნა მასალა, რომელშიც ჩანს, რომ 1933 წლის 4 ნოემბერს ჩატარებულ სახკომსაბჭოს სხდომაზე (ოქმი N 98) გატანილი იქნა საკითხი ,,აჭარისტანის ასსრ ტერიტორიაზე არასაწარმოო მშენებლობის დამატებითი ობიექტების შესახებ". ამ მასალის მიხედვით ჩანს, რომ ქ. ბათუმის კეთილმოსაწყობად გამოყოფილი ყოფილა სახკომსაბჭოს მიერ თანხა 625 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო ფონდი 600, აღწ.1, საქ. 4022 მიხედვით ჩანს, რომ ქ. ბათუმში, ზემოთ აღნიშნული თანხის გამოყენებით ზღვისპირა პარკში დაიდგა მაღალმხატვრული ღირებულების სტატუები (ცნობა თან ერთვის).

ასევე გაცნობებთ, რომ ბათუმის ცენტრალურ არქივში დაცული აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის 1941 წლის 2.09. N53 დადგენილებიდან ჩანს, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიღებული აქვს დადგენილება ,,ისტორიული და მხატვრული ძეგლების დაცვის ღონისძიებების შესახებ", სადაც ქალაქში არსებული ყველა ღირსშესანიშნავი ძეგლი და ექსპონანტი დაცვის მიზნით უნდა შეფუთულიყო და შენახულიყო, რისთვისაც გამოყოფილი იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარდაფის ტიპის ფართი.

დეპარტამენტის თავმჯდომარე შ. აბაშიძე."

3 – ასევე არქივიდან იყო ამოღებული ,,ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1979 წლის 8 აგვისტოს N 558 გადაწყვეტილების დანართი, სადაც მითითებულია ბათუმის საწარმოო დაწესებულებებში არსებული ანტიკვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთების სია, რომელსაც ხელს აწერს ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი – **ნ. ფირცხალაიშვილი.**

საფუძველი: ფონდი რ-10, აღწ. 1 საქ. 1748, ფურ. 239.

ხელს აწერენ:

არქივის დირექტორი ს.თ. ტაბაღუა და მთავარი არქივისტი გ. ანდღულაძე.

ნივთების დასახელება:

1 – ქანდაკება ,,ამური და ფსიქეა", განთავსებულია ი.ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. საბალანსო ღირებულება 180 მანეთი.

2 – მარმარილოს ბიუსტი, განთავსებულია ი.ჭავჭავაძის სახ. დრამატულ თეატრი. საბალანსო ღირებულება 500 მან.

3 – ვაზა, განთავსებულია ბათუმის რკინიგზის სადგურის რესტორანში, საბალანსო ღირებულება 700 მან.

4 – მარმარილოს ბიუსტი ,,ქალი ბავშვით", განთავსებულია ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკაში, საბალანსო ღირებულება 167 მან.

5 – სავარძელი, საყვავილე, სარკე, ტრიუმო, განთავსებულია N2 ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის ატელიეში, საბალანსო ღირებულება 554 მან.

6 – 3 სარკე, ფაიფურის ვაზები, ბრინჯაოს ქანდაკებები, მრგვალი მაგიდა, განთავსებულია სასტუმრო 1 მაისში, საბალანსო ღირებულება, 683 მან, 40 კაპ.

7 – სავარძლები, 4 სკამი, განთავსებულია, სახელმწიფო ბანკში.

8 – ტრილიაჟი, ორი სკამი, სავარძელი, განთავსებულია ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში, საბალანსო ღირებულება 260 მან.

9 – სარკე, განთავსებულია სასკოლოთაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატში, საბალანსო ღირებულება 180 მან."

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქიტექტორ-რესტავრატორის ნ. ცინცაბაძის მოხსენებითი ბარათი, საბერძნეთში აღმოჩენილი სამი ქანდაკების გამო და ბათუმში მივლინების შესახებ.

მივლინების (ამა წლის 1 აპრილიდან 6 აპრილამდე). მიზანი იყო, გაგვერკვია, არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი საბერძნეთის ხელოვნების ბაზარზე გამოჩენილ ქანდაკებებსა და ბათუმს შორის.

ბათუმში შევხვდი ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელს ნ.ინაიშვილს, რომელიც დამეხმარა, შევხვედროდი ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს. ჩვენ გვქონდა წინასწარი ინფორმაცია, რომ 1941 წლამდე ბათუმის ბულვარში იდგა რამდენიმე მარმარილოს ქანდაკება.

ხუთი დღის განმავლობაში ჩვენ შევხდით აჭარის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს გია რამიშვილს, გაზეთ „აღორძინების“ რედაქტორს ნუგზარ ჯაფარიძეს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, მხატვარ-კოლექციონერ თენგიზ ღლონტს, ბათუმის არქიტექტურის მუზეუმის დირექტორს დავით კომახიძეს. ვიყავით აჭარის მხარეთცოდნეობის მუზეუმში, რამდენიმე კოლექციონერის და ძველი თაობის ბათუმელთა ოჯახებში.

ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მივიღეთ ამ პირებისაგან, შემდეგნაირია: 1934 წელს ბათუმის ქალაქკომის მდივანმა გევორქოვმა, სახელმწიფო ხარჯებით იტალიაში შეიძინა და ბათუმში ჩამოიტანა მარმარილოს ოცამდე სკულპტურა (ზუსტ რიცხვს ვერ ასახელებენ), რომელთა უმეტესობა 1941 წლამდე იდგა ბათუმის ბულვარში, როგორც ეტყობა, რაღაც ნაწილი (შედარებით მცირე ზომისა) 1941 წელს ეს სკულპტურები მოხსნეს იმ საბაბით, რომ მათ საფრთხე ემუქრებოდათ და თავიდანვე განათავსეს ბათუმში განლაგებულ გარნიზონებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედროებისაგან, რომლებიც ამ ქანდაკებებს ხშირად სამიზნედ იყენებდნენ.

გადმოცემით: ამის შემდეგ მათი ნაწილი ჯერ ოფიცერთა სახლის მახლობლად, მაზუთიან ორმოში ეწყო, ხოლო შემდეგ– თეატრის სარდაფში. კონკრეტული ინფორმაცია, სად, როდის და რამდენი გადაიტანეს, უცნობია. ფაქტია, რომ ამ დროიდან ამ სკულპტურებს პატრონი აღარ ჰყოლია. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ბავშვთა პოლიკლინიკაში, ბარათაშვილის ქუჩაზე და დღემდე იქ დგას. ერთი ინახება ბათუმის თეატრის დამხმარე შესასვლელის კიბის ქვეშ, დაზიანებლი და გაჭუჭყიანებული. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის თეატრის დირექტორის კაბინეტში დგას ორი, კარგად შენახული, მარმარილოს მცირე ზომის ქანდაკება: ქალის ბიუსტი და თავი. მათი წარმომავლობა უცნობია. ზოგიერთის აზრით, ისინი 1934–ში ჩამოტანილი ქანდაკებების ჯგუფიდან არის.

გარდა ამისა, ნუგზარ ჯაფარიძის ცნობით, 1956 წელს, რაღაც ნაწილი თბილისში წაუღიათ. ვის და სად, უცნობია, ხოლო, როგორც ეტყობა, გადარჩენილი სკულპტურების უმეტესობა, კერძო პირთა ხელში აღმოჩნდა.

ერთ-ერთი ქანდაკების ნაწილი წარწერით „1879-რომი“ ინახება მხატვარ თენგიზ ღლონტის ოჯახში, რომელმაც გადმოგვცა 1939 წელს გამოშვებული ღია ბარათი („ბათუმი– ბულვარი“), ამ სკულპტურის ფოტოთი და მანვე გვითხრა, რომ არსებობს ამ ბარათების სერია, სკულპტურათა ფოტოებით.

ამის შემდეგ დავიწყეთ კოლექციონერებთნ ამ ფოტომასალების მოძიება. მართლაც, ბიძინა აფხაზავას ოჯახში აღმოვაჩინეთ ამ სერიალის სხვა ღია ბარათი, რომელზედაც აღბეჭდილია სწორედ საბერძნეთიდან გამოგზავნილ ფოტოებზე გამოსახული სკულპტურებიდან ერთ-ერთი (ქალი ეკალს იღებს ფეხიდან). აღსანიშნავია, რომ საბერძნეთიდან გამოგზავნილ ფოტოსაგან განსხვავებით, ამ ღია ბარათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანდაკება დაუზიანებელია და ორივე ხელის მტევანი ადგილზეა აქვე.

სამწუხაროდ, ბიძინა აფხაზავა ბათუმში არ იმყოფებოდა და მისმა მეუღლემ, რომელმაც დიდი ახსნა-განმარტებების შემდეგ, მხოლოდ მისი ალბომის ნახვის უფლება მოგვცა, არ დაგვრთო ნება წამოგვეღო სკულპტურა, ან მისი კოპირება მოგვეხდინა.

იგივე ქანდაკება იცნო დავით კომახიძემ, რომელიც წლების მანძილზე ბათუმის მთავარი არქიტექტორი იყო. მან ასევე იცნო მეორე ქანდაკებაც, ისიც საბერძნეთიდან გამოგზავნილი ფოტოებიდან (ქალი მაქმანებიანი დრაპირებით). მას ზუსტად ახსოვს, რომ ეს სკულპტურა ინახებოდა მოქანდაკე ჟორა ხალათოვის ოჯახში, რადგან იგი თავად სთხოვდა მას დაეთმო ბათუმის არქიტექტურის მუზეუმისათვის. რაც შეეხება მესამე, სამფიგურიან კომპოზიციას, თითქოს ეცნობა, მაგრამ ზუსტად იგი ვერ იხსენებს.

ფაქტია, რომ საბერძნეთში გამოჩენილი ქანდაკებებიდან, ორი, დანამდვილებით, იმ სკულპტურების ჯგუფიდან არის, რომელიც 1934 წელს იქნა ჩამოტანილი ბათუმში. თუკი კვლევა გაგრძელდება ბათუმში, სავარაუდოა, რომ მესამე ქანდაკების კვალსაც მალე მიაგნებენ. ნ.ინაიშვილი ცდილობს მოიძიოს რაიმე მასალა ამის შესახებ.

სამწუხაროდ, ეს ქანდაკებები აბსოლიტურად შეუსწავლელია. სასურველია, ახლა მაინც მიაქციონ მათ ყურადღება. სავარაუდოა, რომ არქივში შეიძლება ინახებოდეს ცნობა ამ სკულპტურების შესყიდვის შესახებ, სადაც მათი ზუსტი რიცხვიც დადგინდეს და აღწერილობაც.

ნატო ცინცაბიძე

23.03.96 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონ **ჩიტო ომერაძის** მიერ ზემოთ აღნიშნული მოპოვებული მასალები და **ნატო ცინცაბაძის** მიერ მოკვლეული ცნობა გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობას თბილისში, ბატონ **ჰამლეტ ჭიპაშვილს,** რომელმაც თავის მხრივ ეს მასალები მიაწოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს, საიდანაც პასუხებიც მიიღო, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობამ დაუყოვნებლივ გადაუგზავნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საბერძნეთის რესპუბლიკაში, მის აღმატებულებას ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძეს.

,,N4-3/2 21.10.1999წ

საბერძნეთის ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს საქართველოდან არაერთხელ გაეგზავნა თხოვნა, ყურადღებით, გულისხმიერებით მოკიდებოდნენ უკანონოდ გატანილი ქანდაკებების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების საკითხს, მაგრამ საქმე წლების განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში ჩარეულია საბერძნეთში საქართველოს საელჩო, ინტერპოლი, საბერძნეთის შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტროები, გაწეულმა მუშაობამ ჯერჯერობით ნაყოფი ვერ გამოიღო.

ერთ წელზე მეტი ხნით დაგვიანებულ პასუხში კი მისი აღმატებულება ბატონი ელჩი ს.გეორგილესი თბილისში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლის ბატონ ჰამლეტ ჭიპაშვილის სახელზე გამოგზავნილი ბარათით გვატყობინებს: ,,საბერძნეთის საელჩო საქართველოში დაუკავშირდა კომპეტენტურ სამსახურებს საბერძნეთში ვლადიმერ ხალათოვის მიერ ქ. ბათუმიდან საბერძნეთში გატანილი ქანდაკებების საკითხთან დაკავშირებით.

კულტურის სამინისტროს იურიდიულმა მრჩეველმა შეგვატყობინა, რომ ვინაიდან ქანდაკებები, რომლებიც შემოტანილ იქნა საბერძნეთში ხალათოვის მიერ ა) არის 1830 წ. შემდგომი პერიოდის (დაახლოებით 1930 წ.) და ბ) არ ჩამოსხმულან საბერძნეთში. არ ჯდება შესაბამისი ბერძნული კანონმდებლობის სტატიის ფარგლებში. თუმცა, ჩვენი აზრით, აჭარის რესპუბლიკის წარმომადგენლობას შეუძლია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით მიმართოს საქართველოს საელჩოს საბერძნეთში, რათა უფრო კარგად ადგილზევე იქნეს გამოძიებული აღნიშნული საკითხი“ (სტილი დაცულია).

რას უნდა მივაწეროთ ელჩის – ბატონი ს.გეორგილესის ასეთი პასუხი?

ამ პასუხის საპასუხოდ გამოქვეყნდა სტატიები გაზეთ ,,აჭარაში“, ,,სად გაქრა თეთრი მარმარილოს ქანდაკებები?“ (1999 წ. 22 დეკემბერი. ავტორი მ. მითაიშვილი).

მცირე ამონარიდი სტატიიდან: **,,ბერძნები მოხარული დარჩებიან, თუკი მხატვარ ხალათოვისაგან მიღებულ ,,ნობათს“ თავისი სახელმწიფოს ფარგლებში დატოვებენ. ისინი ამ სკულპტურების სხვაგან გატანას**აც დაუშვებენ“.

ასევე გთავაზობთ გაზეთ ,,აღორძინების“ რედაქტორის აწ გარდაცლილი ნუგზარ ჯაფარიძის კომენტარს: **,,ეს ქანდაკებები რომ ესკიმოსებს მიეთვისებინათ, არ გამიკვირდებოდა, ელინთა მემკვიდრეებს ასე რამ წაუხდინათ საქმე, ძეგლები აკლიათ?**“.. აქვე მცირე ამონარიდსაც: ბერძნებს ნამდვილად არ აკლიათ ძეგლები, მაგრამ არც მათი საქართველოში დაბრუნებით მოიკლავენ თავს. სხვა სანუგეშო დასკვნას ვერ გამოიტან ბატონი ელჩის სპიროს გეოგილისის წერილიდან...

...ამიტომაც იმედს ვიტოვებთ, ელინთა ოდინდელი, უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის მქონე თანამედროვე სახელმწიფოს მესვეურნი გულისყურით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეკიდებიან ესოდენ მტკივნეულ პრობლემას – უახლეს ხანში გადაწყვეტენ, რომ მარმარილოს ქანდაკებების კანონიერ მფლობელთ დაუბრუნდეს.

გვინდა გვჯეროდეს, ჩვენთან მცხოვრები ბერძნების დაეთანხმებიან ამ აზრს.“

სტატიაში საუბარია იმ ქმედებებზე, რაც იმ წლებში განახორციელა ქართულმა მხარემ და რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით.

რაც შეეხება იმ პერიოდში საქართველოს საზღვარზე ახლად ჩამოყალიბებულ გამშვებ პუნქტებში არსებულ პრობლემებს, რაც დაუხვეწავმა, არაპროფესიონალურმა საქმიანობამ გამოიწვია ზემოთ აღნიშნულ ფაქტამდე მიგვიყვანა...

ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხით კვლავაც დაინტერესდებიან ჩვენი ქვეყნის მესვეურები, რათა ეს ქანდაკებები კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნდეს.

იტალიიდან ჩამოტანილი სკულპტურები

ახლა კი შემოგთავაზებთ 1934 წელს იტალიიდან ჩამოტანილ და შემორჩენილ სკულპტურის ფოტო-მასალებს გიორგი ბაღოშვილის რუდუნებით შემონახულ არქივიდან.

აქვე დავსძენ, გიორგი ბაღოშვილი ფლობს შესანიშნავ არქივს ბათუმის ბულვარის მრავალწლიან ისტორიასთან დაკავშირებით. ამ საარქივო მასალებს ის წლების მანძილზე აგროვებდა და დიდი სურვილი აქვს არქივი დაუტოვოს იმ მუზეუმს, რომლის ბულვარში დაარსებაზე ოცნებობს. საამისოდ შესაბამისი ესკიზური პროექტიც აქვს შესრულებული.

(მასალის ხარისხისათვის გვაპატიეთ).



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ გოგოლიშვილისა და რამაზ სურმანიძის კომენტარები

წიგნის შექმნის პროცესში სხვა წყაროებთან ერთად ზაურ მარგიევის წიგნსაც **„ბათუმი ოსმანთა იმპერიის პერიოდში“** გავეცანი, რათა შემედარებინა, ჩემთ ხელთ არსებული დანარჩენი წყაროების სინამდვილე. ზ. მარგიევის წიგნის გაცნობისას საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში რიგი შეუსამაბობა აღმოვაჩინე, კერძოდ მეოცე საუკუნის ოციან წლებთან მიმართებაში და მივმართე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ოთარ გოგოლიშვილს**, რომელმაც გაზეთ „აჭარა“–ში (3.07.2008 წ.) გამოქვეყნებული თავისი სტატია მომაწოდა ზაურ მარგიევის წიგნთან დაკავშირებით.

ოთარ გოგოლიშვილი

„ზაურ მარგიევის წიგნი „ბათუმი ოსმანთა იმპერიის პერიოდში“, შორს დგას როგორც მეცნიერებისა, ისე ჭეშმარიტებისა და ობიექტურობისაგან, არც ისტორიულ წყაროებს შეესაბამება. ეს არის უბრალოდ ბათუმზე დაწერილი სხვა და სხვა ნაშრომების მიმოხილვა. ავტორს იოლი გზაც უპოვია, ამოუკრეფია ცნობილი ისტორიკოსების (ვეშპელი, ვერუ,ფრენკელი) წიგნებიდან მასალები და პირდაპირ, ყოველგვარი კომენტარებისა და მითითებების გარეშე გადაუტანია თავის წიგნში. მარგიევის ნაშრომს არათუ მეცნიერული, საერთოდ არანაირი ღირებულება არ გააჩნია. მარგიევი წერს, რომ წიგნის გამოცემაში მეგობარი, ქალაქ ხოფის მერი დახმარებია.

მარგიევის ,,ბათუმი ოსმანთა იმპერიის პერიოდში“ ანტიქართულია თავისი არსით. ესაა ქართველებზე დაბოღმილი პიროვნების მიერ დაწერილი წიგნი. შესასწავლია ეს კაცი რა საქმიანობას ეწევა და რომელი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება.

ამ წიგნზე უნდა დაიწეროს რეცენზია, რომელიც რუსეთის და თურქეთის ცენტრალურ გაზეთებში დაიბეჭდოს. ქვეყანამ გაიცნოს ვინ არის მარგიევი და რა სახის პროვოკაციას ეწევა ქართველი ერის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნაშრომში მოყვანილია ისეთი პიროვნებების შეხედულებები, რომლებიც თავისი ანტიქართულობით გამოირჩევიან. ასე მაგალითად ვინმე მელნიკოვი საუბრობს 1918 წლის ბათუმის ოლქის ოკუპაციაზე. იგი ისე ასახავს იმდროინდელ მდგომარეობას, თითქოს ოსმალები ბათუმში წესრიგის დასამყარებლად ჩამოსულან და მოსახლეობაში დიდი პატივისცემითაც სარგებლობდნენ.

კიდევ უარესი: წიგნის 250–ე გვერდზე წერია: ,,როდესაც ინგლისელები ბათუმიდან წავიდნენ (საუბარია 1920 წლის ივლისზე). ხელისუფლება გადასცეს ქართველ მენშევიკებს და ადგილობრივი მოსახლეობა კი დიდი ღორებისთვის დაუქვემდებარებიათ, რაც ბათუმელთა პირდაპირი შეურაცხობაა. 1920 წლის 7 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში ბათუმის ოლქის დაბრუნებას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. როგორც თვითმხილველები აღნიშნიშნავდნენ, ქალაქი მთელი კვირის განმავლობაში ზეიმობდა. მარგიევი კი საქართველოს რესპუბლიკის პირველ ხელმძღვანელობას ღორებს უწოდებს და ამით შეურაცხოფას აყენებს იმდროინდელ ბათუმის მოსახლეობას, რომელიც გვერდში ედგა მაშინდელ ხელისუფლებას.

გარდა ამისა, ავტორს დაურღვევია ისტორიული ქრონილოგიაც. საუბარს იწყებს ოსმალეთში არსებული მიწათმფლობელობის ფორმებიდან და პირდაპირ აღწერს 1921 – 22 და 1934 – 35 წლებში საბჭოთა კავშირს, გერმანიასა და თურქეთს

შორის არსებულ ურთიერთობისშესახებ. წიგნში უსისტემოდაა ჩადებული ოსმალეთის სულთნების სურათები და იმდროინდელი ოსმალეთის საადგილმამულო დანაყოფებიცაა შეტანილი მასში.

ავტორი საერთოდ არ სცნობს ქართულ ისტორიოგრაფიასა და სპეციალურად გვერდს უვლის მას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს და ბათუმი საერთოდ არ იყოს ქართული ქალაქი; ქალაქის კეთილდღეობისათვის იღვწოდენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ქართველებს არც არასდროს არაფერი უკეთებიათო.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წიგნში გამოყენებული ფოტოების 90 პროცენტზე მეტი დაბეჭდილია სხვა გამოცემებში, დაცულია სახელმწიფო მუზეუმებში ან კერძო კოლექციებში, მაგრამ ამაზე ავტორი არაფერს ამბობს.

ასე რომ, ზაურ მარგიევმა კი არ არგო ბათუმს, არამედ უმტრო კიდეც. ამაში ჩვენს გამომცემლობებს მიუძღვის ბრალიც.

ასე მოიქცა გამომცემლობა ,,ალიონიც“.

რამაზ სურმანიძე

ამავე გაზეთში ვკითხულობთ პროფესორ **რამაზ სურმანიძის** სტატიას, სადაც ბატონი რამაზი წერს: **,,ანტიქართული პოლიტიკა თუ...“**

,,Ватум во времена Османской империи“ ასეთი სახელწოდებით გამოვიდა ზაურ მარგიევის **კომპილატორული** წიგნი, რომლის სათაურშივე ანტიქართული განწყობა იკითხება და ძალაუნებურად მახსენდება აფხაზი და ოსი

სეპარატისტები, რომლებიც ,,სოხუმი“–ს ნაცვლად ,,სუხუმ“–ს, ხოლო ,,ცხინვალი“–ს ნაცვლად ,,ცხინვალ“–ს წერენ.

ეს წიგნი მეცნიერს რომ დაეწერა, შევეკამათებოდი კიდეც ავტორს, მაგრამ მე ჯერ საკუთარ თავს და მერე მკითხველსაც ვერ ვაკადრებ, იმ დონემდე დავეცე, რომ ისტორიასა და პოლიტიკაში ჩაუხედავ ჯიუტ და ამბიციურ პიროვნებას ვასწავლო ჭკუა ეს შედეგს მაინც არ გამოიღებდა. ჩვენ საქმე გვაქვს ან მართლაც დიდ უმეცართან, ან სულაც შეგნებულ და თავდაჯერებულ ავანტიურისთან, როცა მიზნად დაუსახავთ ათასწლეულობით ჩამოყალიბებული ერის ისტორია და კულტურა საკუთარი ნაბოდვარით ფეხქვეშ გათელონ და მიწასთან გაასწორონ.

ქართველ მეცნიერებს (მათ შორის ამ სტრიქონის ავტორსაც) არაერთხელ მოუგერიებიათ მეზობელი ქვეყნებიდან გადმოსროლილი ტალახი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ საკუთარ ქვეყანაში, ერთ მშვიდ და ტოლერანტულ ქალაქში გამოჩნდებოდა პიროვნება, რომელიც მაპატიეთ და ფეხებზე დაიკიდებდა ბოლო ასწლეულებში ქართველი მეცნიერების მიერ დადგენილ დებულებებს და თავისი მტრული გამოხდომებით ლაფში ამოსვრიდა ისტორიულ რეალობას.

მკითხველს შევპირდი, მაგრამ პირობა ვერ შევასრულე, მაინც გრძელი სიტყვა გამომივიდა.ამიტომ შევეცდები ჩემი აღშფოთება გამოვხატო ვრცელი კომენტარების გარეშე.

1 – წიგნის ერთადერთი ღირსებაა უცნობი ფოტოსურათების სიმრავლე, თუმცა რად გინდა ავტორი სატიტულო გვერდზე აკეთებს მკაცრ განცხადებას, ჩემი წერილობითი ნებართვის გარეშე არ გამოიყენოთო, თანაც ფოტოებს უკეთებს სტამბურ წარწერას, ,,იზ კნიგი ზაურა მარგიევა“ ო და ავიწყდება, რომ წიგნი, სინათლეს რომ იხილავს, მარტო ავტორის აღარაა. ის მკითხველის საკუთრებაცაა.

2 – ოსმალეთის თუ რუსეთის იმპერიების დროს მიღებული დამპყრობლური კანონები და დირექტივები ავტორს გადმოაქვს

დღევანდელობაში და თავისი კომენტარებით და მოკლე ჭკუით, დღევანდელ საქართველოსაც აკრიტიკებს. ((გვ. 8–9).

3 – ავტორი, უფრო სწორედ კომპილატორი, იშველიებს ინგლისელი კონსულის წიგნს და იმეორებს ტერმინს ,,გრუზინო–გურიისკაია რასსა“ ისე, რომ არ განმარტავს ასეთი რასა არ არსებობსო (16).

4 – 1839–1844 წლის ამბებს მიაწერს ახმედ–ფაშა ხიმშიაშვილს, როცა ეს პიროვნება 1836 წელს უკვე გარდაცვლილი იყო (48).

5 – ძნელია დამალო რისხვა, როცა ზ. მარგიევის ,,პრიმიჩანიებში“ კითხულობ, ტოპონიმი დანდალო ვენეციელი დოჟების გვარიდან დანდალოდან მომდინარეობს, თამარის ციხე–კოშკი და ცნობილი თაღოვანი ხიდიც მათი აშენებულიაო. ამას ჩვენი ქვეყნის მტრები, რეაქციონერი ჩინოვნიკები წერდნენ მე–19 საუკუნის 80–იან წლებში, რასაც მარგიევი დიდი სიამოვნებით იმერორებს (65–66).

6 – ბათუმის ერთ–ერთ აბანოს ,,ვენეცია“ ჰქვია. ალბათ ამიტომ ისიც იტალიელების აშენებულად მიაჩნია (გვ 145). სინამდვილეში ეს აბანო მაჭახლელ ხალილ კაზანჯოღლის (კალანდაძის) აშენებულია და მისი საკუთრება იყო 1922 წლამდე, სანამ უკანონოდ არ ჩამოართვეს.

ბათუმში იყო სასტუმრო ,,ევროპა“, ,,ფრანცია“, ,,ლონდონი“. ერთ რესტორანს ,,კალიფორნია“ ერქვა, მეორეს ,,ბლაგოევგრადი“. ვკითხოთ ამაზე მარგიევს. ვნახოთ რას იტყვის ამათ ,,მშენებლობაზე“ ?

7 – ამოდენა წიგნს (782)გვერდი) არ ჰყავს რედაქტორი, რეცენზენტები, კონსულტანტები, რაც ავტორის თავხედობასა და ავადმყოფურ თავდაჯერებულობაზე მიუთითებს. იგი თავის თავს უფლებას აძლევს იმსჯელოს, კომენტარები და დასკვნები გააკეთოს ისტორიაზე, პოლიტიკაზე, ლინგვისტიკაზე, არქეოლოგიაზე ისე, რომ შესაბამის პროფესიანალებს არაფერი ჰკითხოს.

8 – არ იცნობს, ან შეგნებულად ერთხელაც არ ახსენებს აქამდე ბათუმზე გამოქვეყნებული ქართველი ავტორების ვლადიმერ სიჭინავას, ჯემალ ჩხეიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, სარგის კაკაბაძის, ნოდარ ლომოურის, იური სიხარულიძის, პავლე ინგოროყვას, ხარიტონ ახვლედიანის, ივანე ჯავახიშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა ფუნდამენტურ შრომებს. სამაგიეროდ, სიამოვნებით იმეორებს რუსულ ენაზე გამოცემულ შავრაზმელებისა და საქართველოს სიძულვილით გამორჩეული ავტორების ფრაზებს. კავკასიის ცენზორი, გადაგვარებული ლუკა ისარლოვი ხომ საერთოდ კრძალავდა ქართულ ენაზე წერას და სასტიკად ახშობდა თავისუფალ სიტყვას.

მარგიევის ფოტოებზე აღბეჭდილია არაბული, რუსული, იტალიური წარწერები, მაგრამ ამოდენა წიგნში ვერსად ვერ ვნახე ქართული წარწერები და ფრესკები. ერთგან ვკითხულობთ: фрески лихиннской церкви-ო. იქვე ჩანს ძველი ქართული ასომთავრული წარწერები, მაგრამ მარგიევი ამაზე არაფერს ამბობს.

9 – წიგნის სათაურის მიხედვით ყველა მასალა ოსმალეთის იმპერიისდროინდელი ბათუმის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს, მაგრამ დაახლოებით 200 გვერდი 1878 წლის შემდგომ პერიოდს მოიცავს, შემდგომი ორასი გვერდი საერთოდ არ ეხება ამ ქალაქს. ბათუმი არსად არაა ნახსენები. სამაგიეროდ წარმოდგენილია აფხაზეთის, ჩერქეზეთის, ჩეჩნეთისა და ჩრდილო კავკასიის რუსეთზე – ,,ნებაყოფლობით შემოერთებული“ სხვა რეგიონების ახალი ისტორია. კერძოდ, მათი ცარიზმის კოლონიებად გადაქცევა, რომელთა გახსენება და გაცოცხლება დღევანდელი რუსეთის ფედარაციისათვისაც მავნე და ანტიხალხურია.

ანალოგიურად შეიძლება ითქვას ოსმალეთის იმპერიისდროინდელ დოკუმენტებზე, რომლებიც დღევანდელ ცივილიზებულ თურქეთის რესპუბლიკას, ნაბიჯ–ნაბიჯ რომ

მიიწევს ევროპულ ოჯახში გასაერთიანებლად, სულთნების ხელდასმით გამოცემული ფირმანებისა და სიგელ–გუჯრების განახლება და ახალი ძალით გახმოვანება სულაც არ სჭირდება.

10 – ისტორიულ წყაროებზე (უპირატესად ცარიზმისდროინდელზე) ცალმხრივი მიდგომით, მარგიევს ხელთ შერჩა მასალა, რომელიც ათასჯერ წაკითხული, უარყოფილი, დაგმობილი და შეჩვენებულია, მაგრამ ეს ახალგაზრდა კაცი ჯიუტად ამზეურებს ამ საბუთებს და სულაც არ ადარდებს, რა დიდ ზიანს აყენებს საკუთარ ქვეყანას.

11 – ავტორი დიდი მადლიერებით იხსენებს ყველას, ვინც წიგნის გამოცემაში დაეხმარა. ჩვენც არაფერი გვაქვს სასაყვედურო და საწინააღმდეგო ქველმოქმედი ადამიანების მიმართ, რომლებმაც ათასები გაიმეტეს ამ საქმისათვის. ისინი არ დაინტერესებულან და არც ევალებოდათ წიგნის შინაარსში ღრმად ჩაწვდომა, მაგრამ ავტორმა მათი თავაზიანობაც ბოროტად გამოიყენა და ძალაუნებურად გახადა ანტიქართული, ანტიეროვნული, გნებავთ ანტითურქული და ანტირუსული ქმედების თანამონაწილე. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამისათვის ავტორს მათაც უნდა მოთხოვონ პასუხი: პირველ რიგში, ეს უნდა იყოს ამ მავნე წიგნის ხმარებიდან ამოღება და განადგურება.

რამაზ სურმანიძე

მინაწერი: დაახლოებით 5–6 წლის წინათ მოსწავლეთა საოლქო სახლში ბავშვებთან შეხვედრისას ზ. მარგიევი მათ აჩვენებდა საკუთარ ფილმს, რომელშიც ასევე დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორია და კულტურა. ამ შეხვედრას პროფესორი აზიზ ახვლედიანი და მე ვესწრებოდით. ჩვენ მამაშვილურად ვურჩიეთ უცნობ ახალგაზრდას, უფრო ღრმად შეესწავლა მის მიერ ნაჩვენები მასალა. მიეღო რჩევა–დარიგებები სპეციალისტ–მეცნიერებისაგან, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. მან კიდევ უფრო გააღრმავა უნებლიე თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეგნებული დამახინჯებები და სავალალო მდგომარეობაში ჩაიგდო თავი.

რ.ს.

მე ისევ ბატონი რამაზის სიტყვებით დავასრულებდი კომენტარს:

,,დოკუმენტების ამ გროვის შესწავლას და განხილვას ერთი ამოდენა წიგნი დასჭირდება, ამიტომ ავტორის ნაცოდვილარზე დიდი შრომის დახარჯვა აღარ ღირს. დარწმუნებული ვარ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, თავის რისხვას ისედაც ვერ დამალავს“.

განახლებული ბულვარი

ბათუმის ბულვარის ახალი სიცოცხლე 2004 წლის ივლისიდან დაიწყო. ახლა უკვე აქ მოსული ბათუმელები და სტუმრები დასეირნობენ ახლად დაგებულ ბეტონის ფილებზე, ახალ მოზაიკაზე და კიბეებზე. ახალ გაზონებს ამშვენებს ბეტონის ბორდიურები, თვალს იტაცებს ვრცელი კორდები, მათთან ფერითა და დიზაინით შერწყმულია ძველი სკამები,

გედების ტბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასეირნო ბილიკები

ურნები და ეგზოტიკური ელექტრობოძები. პენსიონერთა სამსახურშია ვეტერანთა კლუბი – **„ნონა“.**

ბულვარი დაიფარა ახალი შადრევნებით. თვალს ახარებს გედების ტბა. ბამბუკის ხეივანი და მწვანე გაზონები, ყვავილოვანი და ეგზოტიკური ბუჩქნარი. ბათუმის ბულვარის სასეირნო ბილიკები გაგრძელდა ქალაქის ახალდასახლებულ ხიმშიაშვილის ქუჩისკენ, სადაც კეთილმოეწყო დაჭაობებული ტბების ნაპირები, გაკეთდა ხელოვნური, არდაგანის ტბა, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები, ფრანგული ლაზერული შადრევანი და დამსვენებელთათვის აუცილებელი საყოფაფაცხოვრებო და გასართობი დანიშნულების ობიექტები. ბულვარი კვლავ შენდება და მშვენდება, გრძელდება წინაპართა წამოწყებული დალოცვილი და სამადლო საქმე, რათა საზოგადოებას დასვენებისთვის კიდევ უფრო უკეთესი პირობები შეექმნას და სწორედ ამის პირველი მაჩვენებელია ბულვარის შესასვლელში დასაჯდომი სკამების შეცვლა და მათი მოპირკეთება.

ბულვარის დირექტორი გიორგი ზირაქაშვილი (წინა პლანზე) ბულვარის თანამშრომლებთან. 2015 წელი

ბულვარის დირექტორი ბატონი **გიორგი ზირაქაშვილი** თითქმის ყოველთვის სამუშაო პროცესში იმყოფება (ის სულ ხალხით არის გარემოცული), მიუხედავად ამისა მან დღის ბოლოს გამონახა დრო და მოახერხა ჩემთვის სამომავლო გეგმის გაცნობა...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ბათუმელები ყოველდღე დავდივართ ბულვარში. ჰოდა, იმის მოწმენი ვხდებით ძალაუნებურად, თუ როგორ ვითარდება ბულვარი, განსაკუთრებით ბოლო წლების მანძილზე: რა მშენებლობები მიმდინარეობს მის ირგვლივ, რამდენი სასიკეთო რამ შეემატა ბულვარს ამ მხრივ, მაგრამ არის ისეთი შენობებიც, რაც მიუღებელი უნდა იყოს ბათუმელთათვის.

ერთხელ ბულვარში მიმავალს, ერთ-ერთმა ნაცნობმა ბათუმელმა ხელი გაიშვირა თორმეტსართულიან შენობისკენ, სადაც ერთ დროს ფეხბურთის ულამაზესი სტადიონი ,,დინამო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციონირებდა. იგი თავის დროზე ერთ–ერთი ულამაზესი სტადიონი გახლდათ ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე: ,,აი, მესმის, ძმაო, რომ შენობებს შორის მართლაც დედოფალი შენობაააო...“ ამის გამგონემ მივუგე, შენობა მართლაც რომ ორიგინალურია, გეთანხმები, მართლაც რომ სადედოფლოდ გამოიყურება, მაგრამ რად გინდა ისეთი დედოფალი, რომ არას გარგებს რას, სხვისი კუთვნილებაა – არაქართველის და ჩვენი ბიუჯეტის მქონე ადამიანისთვის ხელმიუწვდომელია, ,,ჩვენთვის აუღებელი ციხესიმაგრეა–მეთქი.“, მე ის სტადიონი მერჩია, სადაც ჩვენ – ბათუმელები დავდიოდით და ბათუმის ,,დინამოს“ გულშევმატკივრობდით, დღეს კი არც სტადიონი გვაქვს სამწუხაროდ და ტერიტორიაც დაკარგულია ჩვენთვის. ბათუმში ზოგიერთი არქიტექტორის მიერ აშენებულმა ნაგებობებმა საგრძნობლად არასასურველი შედეგი გამოიღო: შეიცვალა კლიმატი. წარსულში, ბათუმის დაგეგმარებისას ამომავალი წერტილი ბულვარი გახლდათ. მისი ხეივნები ისე იყო განლაგებული, რომ ხეივნის გაგრძელებას ქუჩების განლაგება წარმოადგენდა, ზღვიდან მობერილ ნიავს დაუბრკოლებელი გასავალი ჰქონდა ურეხის მთებამდე. ქალაქი სუნთქავდა... ამჟამად ასეთი ქუჩები, რომლებიც ნიავს ატარებდეს მთებამდის, დღეისთვის ბათუმში ცოტაღაა შემორჩენილი. აი რა მითხრა ამის თაობაზე პროფესორმა **აკაკი ცივაძემ**: – დღეს, თითქმის ყველგან, მრავალსართულიანი შენობებია აღმართული. ისინი ზღვიდან მობერილ ნიავს გზას უღობავენ და ქალაქის მაცხოვრებლებს დისკონფორტს უქმნის... ყოველივე ამის მიზეზი კი უნიათო სახელმწიფო მმართველობაა, აღვნიშნე მასთან საუბარში, რასაც ბატონი აკაკი გულდაწყვეტილი დაეთანხმა.

შემდეგ ბატონი აკაკი იხსენებს: – უწინ, კომუნისტების პერიოდში, საფრანგეთში, მსოფლიო ახალგაზრდა არქიტექტორთა კონკურსები იმართებოდა. იქ, ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, ქართველი არქიტექტორებიც იმარჯვებდნენ

ხოლმე, და დღეს ასე ნიჭიერ და გამოცდილ არქიტექტორებს საზღარგარეთიდან ჩამოყვანილ არქიტექტორებს ამჯობინებენ, ასე რომ დღევანდელ ხელისუფლებას ქართველების ბედი სრულიად არ აინტერესებთ, ოღონდ თავისი სარგებელი მიიღონო... – დასძინა ბატონმა აკაკიმ.

,,ბულვარმა ბათუმელების მთელ თაობებს უამრავი სიხარული მიანიჭა. იგი თავისი განუმეორებელი სილამაზით მუდამ ხიბლავდა თვითონ ადგილობრივებს და რასაკვირველია ქალაქის სტუმრებსაც.

გიორგი ბაღოშვილი

ბატონი **გიორგი ბაღოშვილი** ერთ-ერთია იმათ შორის, ვინც დღე და ღამე ბულვარის სილამაზისა და მისი უკეთესი მომავლისათვის იღვწის. პირადად ბევრჯერ მინახავს, ნარგავების ყოველ კუთხეს როგორ ეფერება და დიდ მზრუნველობასაც იჩენს, ყოველივეს ამჩნევს მისი თვალი, ხარობს მათი სილამაზით და წინასწარ გრძნობს მცენარის ჭკნობას... ერთი ასეთი სურათის მოწმე გავხდი ამას წინათ. მასთან ერთად ბულვარის შემოვლაზე ვიყავით, მიყვებოდა ბულვარში დანერგილ სიახლეებზე და რაც სამომავლოდ უნდა გაკეთებულიყო. სწორედ ამ საუბარში ახალ ,,იაპონიის“ შექმნილ კუთხესაც მივაღწიეთ და როდესაც შეამჩნია ჭკნობადი ბუჩქი, მობილურით მაშინვე დაუკავშირდა კუთხის მეურვეს და საჭირო რჩევა-დარიგებაც მისცა. ამ სურათის შემყურე ბატონი გიორგის საუბრის თემაც გადავიწყებოდა, შევატყვე უკმაყოფილება, თითქოს სილა გააწნესო... იგი უპასუხისმგებლო მუშაკებს ვერ ეგუება, საკუთარი თავის მიმართაც მომთხოვნია და სხვასაც არ აპატიებს უყურადღებობას.

შემდეგ ზრდილობიანად მომიბოდიშა და ბულვარის შემოვლა გავაგრძელეთ.

ახალ ბულვარში დიდი ცვლილებებია დაგეგმილი და ბატონი გიორგიც ყოველივე ამაზე მომითხრობდა.

გენო ნოღაიდელი

აქვე მინდა ცნობისათვის მოვიყვანო ამავე ორგანიზაციის, აგრონომიული და ლანდშაფტური დიზაინის სამსახურის უფროსის **გენო ნოღაიდელის** მოხსენებითი ბარათი 2015 წელს აგრონომიული და ლანდშაფტური დიზაინის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ:

,,მოგახსენებთ, რომ 2015 წელს გამწვანების მხრივ დიზაინის სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა აგრონომიული და ლანდშაფტური ბულვარის მთელ ტერიტორიაზე. სრულად შესრულდა ყველა ის აგროტექნიკური ღონისძიება, რაც დაგეგმილი გვქონდა, კერძოდ: მცენარეების გასანოყიერებლად შეტანილი იქნა ტყის მიწა 220 კბ.მ. ; 200 კბ.მ. ორგანული სასუქი და 7 ტონა მინერალური სასუქი. გადაიბარა, გაითოხნა და ყოველთვიურად ნიადაგი გაუფხვიერდა 22 ათას ძირზე მეტ ახალგაზრდა ხე-მცენარეს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე, წელიწადში ორჯერ დეკორატიული გაფორმება უტარდება 7 ათას ძირ ახალგაზრდა ხე-მცენარეს.

მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ შხამქიმიკატებით სამჯერადი წამლობა ჩაუტარდა დაფნებს, ირმის რქებს, ვარდებს, სხვადასხვა ბუჩქოვან მცენარეებსა და ერთწლიან ყვავილებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასთან, სარეველა ბალახების მოსასპობად ჰერბიციდებით შეიწამლა 90 ათასი კვ.მ-ზე სავალი ბილიკები და მოედნები.

გასული წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე დაირგო 380 ათასი ძირი სხვადასხვა სახის ერთწლიანი ყვავილის ნერგი, მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ და მოცდენილი ადგილების შესავსებად კი 2 ათას 200 ძირი ხე-მცენარის ნერგი.

ზღვისპირა სანაპირო ზოლში, პრომინადის გაყოლებით, 4 ათას კმ-ზე შეტანილია ნიადაგი და მოეწყო გაზონი (კორდის ბელტის დაგებით), სადაც დაირგო 300 ძირი მარაოსებური ჯიშის პალმა.

ასევე სათანადო ღონისძიებები ჩატარდა ახალგაზრდა ხე-მცენარეებისა და პალმების გამოსაზამთრებლად. 10 ათას ძირზე მეტ ახალგაზრდა ხე-მცენარეს დაესო ჭიგო და აიკრა, უქსოვადი ქსოვილით შეიფუთა ციკასის პალმები, ხოლო აიკრა და შეახვიეს 2 ათას ძირზე მეტრი ფინიკისა და ქოქოსის ჯიშის პალმები.

ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ტარდებოდა ისეთი სახის სამუშაოები, როგორიცაა გაზონების გაცელვა მანქანებით 35 ჰექტარზე თვეში 3-4 ჯერ; სისტემატიურად ირწყვებოდა ერთწლიანი ყვავილები და ახალგაზრდა ხე-მცენარეთა ნერგები, სარეველებისგან იწმინდებოდა და ითოხნებოდა საყვავილე კლუმბები და ქოთნები; პალმებისა და ხე-მცენარეების შტამპები იწმინდებოდა ხავსისაგან, ხმელი ტოტებისაგან, ვიცავთ თოვლის საფარისაგან და სხვა.

ბულვარში მცენარეების მორწყვა და გასხვლის სამუშაოები

ბულვარის სამუშაო დღე

ნარგავების დაცვა თოვლის საფარიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის თანამშრომლები

სწორედ, ასეთია შრომის რიტმი ამ ორგანიზაციაში. ისინი დღე და ღამ ბულვარის სამსახურში არიან, რომ ბულვარის სტუმრები დაუვიწყარი სანახაობითა და შთაბეჭდილებით დაიმუხტონ ჩვენი ბულვარის სილამაზითა და მშვენიერებით და მუდამ ახსოვდეთ აქ ნანახ–განცდილი.

ბატონ ცისკარ გოგიტიძის ბულვარის დირექტორობის (2015 წელი) პერიოდს უკავშირდება ბულვარის ძველი სასიარულო საფარის უმეტესი ნაწილის შეცვლა ახალი ფილებით.

ცისკარ გოგიტიძე

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

ა) გედების ტბის მოაჯირის შეცვლა თანამედროვე დიზაინის ჭედური მოაჯირით და დამუშავდა უჟანგავი ბადით.

ტბის ფსკერისა და ტერიტორიაზე არსებული სავალი ბილიკის საპროექტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს – 101 796 ლარს.

ბ) ფარშევანგების და თუთიყუშებისთვის თანამედროვე დიზაინის, ვოლიერებისა და კარიეზის მოწყობის, ასევე მომსახურე პერსონალის მოსაცდელი და სასაწყობო ჯიხურების მოწყობის პროექტის ღირებულება შეადგენს – 100 000 ლარს.

იდეის ავტორი ცისკარ გოგიტიძე და შემსრულებელი ირაკლი კოტია.

გ) ძველი ბულვარის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია უნივერსიტეტის მოედნის ასასვლელიდან კაფე-ბარ ,,ტყუპებამდე", ხეივანში ასფალტის საფარის, დაზიანებული ფილების, ბრეგჩის საფარისა და ძველი ბორდიურების აყრა-გადატანა, სანიაღვრე ბუნებრივი წვიმმიმღები ჭების, დამონტაჟება-მოწყობის (გადაყვანა პლიაჟზე გადაქაჩვით), ბეტონის დეკორატიული ფილებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა – 1. 608 950 ლარი.

შემსრულებელი ტექნიკური ზედამხედველობის უფროსი ირაკლი კოტია.

დ) ყოფილი იახტკლუბის მიმდებარე ფეხით მოსიარულეთა ბილიკის კეთილმოწყობის ღირებულებამ შეადგინა – 197 309 ლარი.

იდეის ავტორი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე,

განმახორციებლები: ცისკარ გოგიტიძე, ირაკლი კოტია და არჩილ ჩიქოვანი, მთავრობის მონიტორინგის უფროსი. შესრულდა 2017 წელს.

ვ) ნინოშვილის ქუჩის გასწრივ არსებული დაზიანებული მოზაიკის დემონტაჟმა მისი შეცვლით ბეტონის დეკორატიული ფილებითა და ბორდიურების მოწყობამ შეადგინა 317 202 ლარი.

ზ) კაფე-ბარი ,,ტყუპებიდან“ სასტუმრო ,,კემპინგისა“ და ყოფილი პოლიკლინიკის მიმდებარე მოედანზე დაზიანებული ასფალტის საფარის აყრა და ბეტონის დეკორატიული ფილების, ბორდიურების და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის ღირებულებამ შეადგინა – 856 175 ლარი.

შესრულდა 2017 წელს.

პროექტის მხარდამჭერი აჭარის ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე.

ახალი დეკორატიული ფილები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გედების ტბის ხედი

ფარშევანგების და თუთიყუშების გალია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი ბულვარის ხედები



БАТУМЪ. Видъ бульвара съ моря
BATOUM. Boulevard.


Батумъ Бульваръ
Batoum Boulevard

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის ხედი სობოროს ტაძრის ფონზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა





КРАТКІЙ ОЧЕРКЪ

возникновенія и развитія городского **Александровскаго** сада и бульвара

Цесаревича **НИКОЛАЯ**

въ г. Батумѣ.

Изданіе Батумской Городской Управы.

Г. П. Б.
Читальня
БАТУМЪ.
Типографія А. Ѳ. Кульчицкаго.
Зал 1903

352(47.922)
К-786
725.3(СНИБ)(09)
К 786

მოკლე ნარკვევი ალექსანდრე ბაღის დაარსებისა და განვითარებაზე.
(გია ბაღოშვილის არქივიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15 ადამიანი. დღეისთვის მას ზღვა არმია ემსახურება. ისინი არამარტო ბულვარს, არამედ მთელ ქალაქში დარგულ ნარგავებს უვლიან. ბულვარს პროფესიონალების გარდა ენთუზიასტებიც არ აკლებდნენ ხელს: კონტრ-ადმირალი გრევე, ქალაქის გამგეობის წევრი – კოიანდერი, ჩინელი მეჩაე – ლაუ ჯენ-ჯაუ და სხვები...,

ქ. ბათუმის ბულვარის ხელმძღვანელები

1 – რესლერი	1881 – 1884 წწ.
2 – მიშელ დ'ალფონსი	01.1885 – 1889 წწ.
3 – ნესტორ ტყებუჩავა	05. 1889 – 02. 1898 წწ.
4 – აკაკი ხოშტარია	02.1898 – 04. 1902 წწ.
5 – თავადი ი. დ. ლიონიძე	04. 1902 – 1903 წწ.
6 – იასონ გორდეზიანი	1930 – 196 0 წწ.
7 – ბიჭიკო შერვაშიძე	1966 – 1970 წწ.
8 – ვახტანგ კამკამიძე	1970 – 1974 წწ.
9 – ალი ბადოევი	1974 – 1993 წწ.
10 – ნუგზარ მექვაბიშვილი	1993 – 1994 წწ.
11 – სერგო ბალაძე	1994 – 1995 წწ.
12 – თამაზ ცინცაძე	1995 – 2000 წწ.
13 – ლევან ჭანუყვაძე	2000 – 2002 წწ.
14 – ედნარ შამილიშვილი	2002 – 2004 წწ.
15 – მამუკა მიქელაძე	2004 წ.
16 – გრიგოლ ბაღოშვილი	07. 2004 – 09. 2005 წწ.
17 – ავთანდილ მიქაცაძე	09. 2005 – 04. 2006 წწ.
18 – ბადრი ცინცქილაძე	04. 2006 – 07. 2008 წწ.
19 – დავით ბერიძე	07. 2008 – 08. 2009 წწ.
20 – თეიმურაზ მეგრელიძე	01. 2010 – 02. 2010 წწ.
21 – ივანე ჭეიშვილი	02. 2010 – 10. 2012 წწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 – გურამ ჩიქოვანი	10. 2012 – 07. 2014 წწ.
23 – გიორგი ზირაქაშვილი	01. 2015 – 11. 2015 წ.
24 – არჩილ კახიძე	11. 2015 – 02. 2016 წ.
25 – ცისკარ გოგიტიძე	04. 2016 – 07. 2016 წ.
27 – ეთერ მაჭუტაძე	01. 2017 – 07. 2018 წ.
28 - ირაკლი ჯინჭარაძე	09. 2018

სწორედ ამ ადამიანებმა შესძინეს ბულვარს განუმეორებელი სილამაზე...

,,ბუნებას მანამ უყვარს ადამიანი, სანამ მისგან სიყვარულს გრძნობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასტიკად იძიებს შურს და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია.

გიყვარდეს ბუნება, რათა მისი შურისძიების მსხვერპლი მარტო თქვენ კი არა, თქვენი შთამომავლობაც არ გახდეს“. (ილია ჭავჭავაძე).

,,ადამიანი როდი გახლავთ მინდვრის ბალახი, ქარქეტვას რომ ეძახიან, რომელსაც შემოდგომის ქარი აიტაცებს და აღარსად აჩერებს, სანამ, მიწას მოწყვეტილი, რომელიმე ბინძურ ტყლაპოში არ ჩავარდება; თუკი ადამიანს არ უყვარს თვალიერება მშობელთა ძველი ფოტო სურათებისა, თუკი არ აფასებს მათ ხსოვნას, მათივე ხელით გახარებულ ბაღში, ანდა მათსავე კუთვნილ ნივთებში რომ დარჩენილა, – მაშასადამე არ ჰყვარებია ისინი.

თუკი ადამიანს არ უყვარს ძველი სახლები, ძველი ქუჩები – მაშასადამე არ ჰყვარებია თავისი ქალაქი...“ აკადემიკოსი ლიხაჩოვი.

წიგზე მუშაობის პროცესში, როდესაც ბულვარის ირგვლივ მასალებს ვაგროვებდი, ბატონი გიორგი ბაღოშვილის სამუშაო მაგიდაზე თვალი შევავლე ზემოთ მოყვანილ ჩანაწერს. ეს ამონარიდი გიორგის საიმედოდ ჰქონდა გადანახული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ ჩანაწერების მიხედვით ხელმძღვანელობს და იგი ერთ–ერთი წარმომადგენელი გახლავთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანთა იმ დიდი არმიისა, ვინც ბუნებას და ქალაქს გულით და სულით, დიდი რუდუნებით ემსახურება. მათ რიგებში არიან ქების ღირსნი ბულვარის თანამშრომლები **გენო ნოღაიდელი, ირაკლი კოტია, გიორგი ზირაქაშვილი, გიორგი ვარშანიძე, ცისკარ გოგიტიძე და მათი მონოლითურად შეკრული კოლექტივი.**

მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებიც ბაღის დაარსებიდან სათავეში ედგნენ ბულვარის განაშენიანებას და დღემდე შემოგვინახეს ზურმუხტოვანი ედემის ბაღი, სწორედ ზოგიერთ მათგანზე მინდა გავამახვილო ყურადღება

მიხეილ (მიშელ) დ'ალფონსი

სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღვნიშნოთ ფრანგი მებაღე მიხეილ დ'ალფონსი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმის შავი ზღვისპირეთის კეთილმოწყობისა და გამშვენიერება–გალამაზების გამორჩეული პიონერთაგანია. ყველა არსებული წყარო და გამოცემა მას იხსენებს როგორც

მიხეილ დ'ალფონსი

განათლებულ, გამჭრიახ, თავისი საქმის მცოდნე, ინიციატივიან და დაუღალავ მშრომელ პიროვნებად. ფიზიკურადაც წარმოსადეგი, მიმზიდველი გარეგნობის და კარგი მოლაპარაკე გავლენას ახდენდა ადამიანებზე და დიდ ავტორიტეტითაც სარგებლობდა საზოგადოებაში.

1881 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა სმეკალოვმა გადაწყვიტა ნურიეს ტბის შემოგარენში ევროპული ტიპის ბაღის გაშენება, ამიტომ მან ფოთიდან გერმანელი მებაღე რესლერი მოიწვია. იგი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ მეტად რთულ უბანზე, პარალელურად ბათუმის ბულვარის განაშენიანების პროექტსაც ამუშავებდა. მაგრამ რესლერის მოულოდნელმა სიკვდილმა გარკვეული დროით შეაფერხა საბაღო საქმე. ამ საქმის გასაგრძელებლად მოიწვიეს მიხეილ დ'ალფონსი, რომელიც ენერგიულად შეუდგა საქმიანობას. შეიძინა ჯერ 35 დესეტინა მიწა, სადაც აიშენა აგარაკი და სწორედ ის იყო პირველი მოაგარაკე ბათუმის სანაპიროზე, მოგვიანებით სოფელ ჩაქვისთავში შეიძინა მამული და დაიწყო ჩაქვის ტერიტორიის გაკულტურება. ამით მან დიდი ოცნებაც აისრულა, თავისი კუთვნილი ნაკვეთის 123 დესეტინის ფართობი შავი ზღვის სანაპიროზე აქცია მეორე რივიერად (მწვანე სანაპიროდ). ამ მიზნით საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოიტანა მარადმწვანე ნარგავების ნიმუშები და თავის ნაკვეთზე გააშენა. არაჩვეულებრივი ზურმუხტისფერი სანაპირო ,,მწვანე კონცხად" მოინათლა და დღემდე ამ სახელით იწოდება. მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე აიგო ფეშენებელური, მდიდრული ვილები. საუკეთესო დასასვენებელი ადგილები აჭარის ზღვისპირეთში სწორედ მისი ენერგიული მუშაობის შედეგია.

ამ ძალზე არაორდინარულ პიროვნებაზე მაშინდელი პრესა წერდა ,,...პირველი პიონერი, ვინც ბათუმის ოლქში საფუძველი ჩაუყარა მებაღეობას, ენერგიული მოღვაწე, ვინც თამამად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძლო ბათუმის ყურეში უგზოობის პირობებში ბარდნარით და ჭაობით დაფარული ტერიტორიის დაპყრობა, ის იყო საუკეთესო სელექციონერი. და მის სახელს უკავშირდება პირველი ჩაის ბუჩქის შემოტანა და დარგვა საქართველოს ზღვისპირეთში...“

ცნობილი დიდგვაროვანი ფრანგი მიხეილ დ’ალფონსი ბათუმის მთავარი მებაღე და ახალდაწყებული ბულვარის განაშენიანების პირველი ხელმძღვანელი იყო 1885-1889 წლებში. მის სახელს უკავშირდება ბათუმის ბულვარის დაარსება და მისი შემდგომი განაშენიანება ფრანგულ სტილში. თავისი ენერგიული მოღვაწეობით მ. დ’ალფონსმა ერთ დროს გაუვალი ზღვისპირეთი ნამდვილ წალკოტად აქცია. მისმა თანამედროვეებმა ბათუმში მოღვაწე მებაღე მიხეილ დ’ალფონსი “ბათუმის სანაპიროს კეთილ გენიად” მონათლეს. მ. დ’ალფონსი იყო პირველთაგანი, რომელმაც მაშინდელ ბათუმის ოლქში საფუძველი ჩაუყარა მებაღეობას. სწორედ მან განჭვრიტა აჭარის ზღვისპირეთის უნიკალური შესაძლებლობები, საფუძველი დაუდო მდიდრული ლანდშაფტის ათვისებას და აჭარის ზღვისპირეთში საუკეთესო დასასვენებელი ადგილის დამკვიდრებას.

1888 წლის 25 აგვისტოს ბათუმში ჩამივიდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე ოჯახითა და ამალით. იგი მოხიბლული დარჩა დ’ალფონსის მიერ გაშენებული ბაღებით და თავისი სტუმრობის აღსანიშნავად რამდენიმე ხე დარგო კარგა ხნის მანძილზე მას ალექსანდრეს უბანს უწოდებდნენ, ხოლო ბულვარს პირველად დაერქვა მეფისწულ ნიკოლოზის (შემდგომ ნიკოლოზ II-ს) სახელი.

დღეს ბათუმის ბულვარი რომ ქალაქის მშვენებაა და სტუმარ–მასპინძლის საყვარელი და საამაყო ადგილია, ამაში უდიდესი წვლილი ფრანგ მებაღე–დეკორატორს მიხეილ დ’ალფონსაც მიუძღვის. მის სახელს უკავშირდება ბათუმის ბულვარის დაარსება და მისი შემდგომი განაშენიანება, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი პროფესიონალი აშენებდა ქალაქის ბაღ–პარკებს და გულწრფელად აკეთებდა ამას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია დ'ალფონსის ღვაწლი დღევანდელი 6 მაისის სახელობის პარკისა და ბულვარის განაშენიანების საქმეში. პრაქტიკულად მან შეასხა ხორცი პრუსიელი მებაღეების რესლერისა და რეიერის პროექტებს.

აკაკი ხოშტარია

ქალაქის თავმა – ლუკა ასათიანმა 1898 წელს ბათუმში მოიწვია იმ დროისათვის ახალგაზრდა მებაღე (შემგომში ცნობილი კომერსანტი) აკაკი ხოშტარია (1873-1931 წწ.), რომელმაც დაამთავრა ნიკიტას სასწავლებელი და მიიღო მებაღე-დეკორატორის პროფესია. ა.ხოშტარია პირველ რიგში შეუდგა ალექსანდრეს ბაღის და ბულვარის განვითარება-განაშენიანების დალფონსისეული გეგმის შესრულებას. ამისათვის ის იყენებდა ლუკა ასათიანის ავტორიტეტს, რომელთანაც პირადი ურთიერთობების, თუ ოფიციალური შეხვედრების მიზეზით ბათუმში ჩამოდიოდნენ იმპერიის მაღალჩინოსნები. მათი მეშვეობით ქალაქისთავმა მოახერხა თანხების მოძიება, რომელიც უპირატესად გამწვანებას ხმარდებოდა.

აკაკი ხოშტარია

1895 წელს ბათუმში ჩამოვიდა იუსტიციის მინისტრი ნ.ვ. მურავიოვი (1850-?), რომელსაც შეხვდა ლუკა ასათიანი და ქალაქის განაშენიანებაში შესაძლო დახმარება თხოვა. მინისტრმა ქალაქისადმი თავისი კეთილი დამოკიდებულება იმით გამოხატა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ალექსანდრეს ბაღში ერთი ძირი კეთილშობილი დაფნა დარგო.

მებაღე-დეკორატორად 10 წლის მუშაობის შემდეგ, აკაკი ხოშტარია შემთხვევითობის წყალობით ჩაება სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობაში. ქ-ნ თ. კვაჭაძის გადმოცემით ამას ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი: ახალგაზრდობაში იგი ფოთში მეგობრობდა მეწვრილმანე ვაჭარ, ვინმე ზოდელავასთან. ერთხელ მათ გადაწყვიტეს სავაჭრო გემით ნავთი წაეღოთ ოდესაში სარეალიზაციოდ, მაგრამ ტუაფსეში ამოვარდნილმა ქარიშხალმა გემი თურქეთში გაიტანა, სადაც ნავთი ოქროს ფასად გაყიდეს. აკაკი ამ შემთხვევამ სამეწარმეო საქმიანობაზე დააფიქრა. იგი თურქეთიდან ბაქოში გაემგზავრა და ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისგან ნავთობსარეწი დანადგარები, ბათუმში კი სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო.

აკაკი ხოშტარიამ დაამთავრა პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ბაქოში ჩამოაყალიბა მსხვილი სამრეწველო კომპანია და სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდა სამხრეთ კავკასიასა და ირანში. მის მფლობელობაში იყო ორი დიდი კომერციული ორგანიზაცია: სანავთობე ამხანაგობა „რუპენტო“ და თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი“, ასევე მექანიკური ქარხანა, საპნის ქარხანა, სამიწათმოქმედო იარაღების ფაბრიკა და სხვა საწარმოები თბილისში. 1918 წ. ხოშტარიამ თბილისელთა თხოვნით საჯარო აუქციონზე შეიძინა მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, დავით სარაჯიშვილის სახლი, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ემიგრაციაში წასვლის წინ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ქართველ ხალხს საჩუქრად დაუტოვა. ამ სახლში შემდგომში განთავსდა მწერალთა სახლი.

ხოშტარია აქტიურ საქველმოქმედო და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. 1907 წ. თბილისში ახლადშექმნილ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან 8 ათასი მანეთი გამოუგზავნა. 1920 წელს მანვე შეიძინა საზღვარგარეთ 4 სამხედრო გემი და საქართველოს დემოკრატიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკას გადასცა საჩუქრად. აფინანსებდა ქართველ სტუდენტებს საზღვარგარეთ.

ნ. ნოკოლაძის ინიციატივით აკაკი ხოშტარიამ თავისი ხარჯით გაიყვანა რკინიგზა ფოთსა და აბაშას შორის; სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად მან 1920 წელს საზღვარგარეთ შეიძინა 4 სამხედრო გემი და თვითონვე ჩამოიყვანა საქართველოში; საფრანგეთში ლადო გუდიაშვილისა და ცნობილი კუბისტის, ანდრე ლოტის სურათები შეისყიდა და საჩუქრად გადმოუგზავნა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს; მისი ხარჯით უცხოეთში განათლება მიიღო უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა, რომელთაგან ბევრი შემდგომში მეცნიერი გახდა; გარდა ამისა, კონსტანტინოპოლში მის მიერ დაარსებულ თურქულ-სპარსულ ბანკში ჩვენი ქვეყნიდან წასული ქართველები დაასაქმა, რომლებსაც სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა.

აკაკი ხოშტარია აქტიურად მუშაობდა ხიზილალის დამზადების ტექნოლოგიაზე. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ირანში ხიზილალის წარმოების წამოწყება, რომელმაც მალევე მოიპოვა პირველობა მსოფლიო ბაზარზე. ამბობენ, რომ ირანში ამ ტექნოლოგიით დამზადებულ დელიკატურ პროდუქტს ,,დღესაც ხოშტარიას ხიზილალის'' სახელით მოიხსენიებენ. აკაკი ხოშტარიას ძმისშვილიშვილმა, გოგი ხოშტარიამ გვიამბო, რომ 90-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ირანის პრინცი ზენ-ზენდემი. მისგან შეიტყო, რომ ირანში გამოსაცემად მზადდებოდა წიგნი ,,ხოშტარია - ხიზილალის მეფე''.

აკაკი ხოშტარიას სავაჭრო კომბინაციები და კომერციული გეგმები ერთი შეხედვით ფანტასტიკურად შეიძლება მოგვეჩვენოს, თავისი საოცარი წარმატებებით. მაგრამ ყველაფერ ამის უკან დგას პიროვნება თავისი ემოციური და არტისტული გამოვლინებებით, რომელიც დაუღალავად მიიწევდა წინ. მრავალ მოგონებაში, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ და საუბრობენ მასზე, არა როგორც მდიდარ, ფულიან მრეწველზე, რაც ფაქტია, არამედ, მის არაჩვეულებრივ კეთილშობილებაზე, ქართულ გულზე, სიკეთეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვასის სიყვარულსა და ყურადღებაზე, რითაც იგი გარშემო მყოფ ადამიანებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

აკაკი ხოშტარია დაკრძალულია პარიზის პერლაშეზის სასაფლაოზე. მისი მეუღლე, მინადორა ხოშტარია (1881—1924) დაკრძალულია თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ რუსულ სასაფლაოზე. მისი აკლდამა, რომელიც აკაკი ხოშტარიამ ააგებინა, ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების ერთადერთი ნიმუშია ირანის ტერიტორიაზე.

იასონ გორდეზიანი

1876 წელს რაჭის მაზრის სოფელ საკაოში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა ცნობილი აგრონომ–დეკორატორი იასონ დავითის ძე გორდეზიანი. სოფელში სასწავლებელი არ იყო და პატარა იასონი შვიდი კილომეტრით დაშორებულ ონის სკოლაში დადიოდა განათლების მისაღებად. მის ნიჭსა და მონდომებას ყურადღება მიაქცია ცნობილმა პედაგოგმა ივანე ჯაფარიძემ და მოზარდი 1889 წელს თბილისის სასოფლო–სამეურნეო სკოლაში გადაიყვანა. 1894 წელს იასონ გორდეზიანმა სკოლა წარჩინებით დაამთავრა და შრომითი საქმიანობა ნავთლუღში, ბაღ–ბოსტნეულის მეურნეობაში დაიწყო. 1899-1903 წლებში სოფელ სკრაში, ფრიდონოვის ხეხილის ბაღში მუშაობდა. მისი ინიციატივით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ხეხილის სანერგეებსა და საცდელ–სამეურნეო სადგურის დაარსებას.

იასონ გორდეზიანი

1903 წელს იასონ გორდეზიანი ბათუმის მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებაღის ი. ლიონიძის თანაშემწედ მიიწვიეს. მისი ძალისხმევით ქალაქის გამწვანების სანერგეებში დარგეს მრავალი სახეობის დეკორატიული მცენარე. ციხისძირში ერთ–ერთ მამულში, მან შეაგროვა ძვირფასი პალმის თესლი და გაამრავლა. პალმებმა კარგად იხარეს და მას შემდეგ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი როგორც ზღვისპირეთში, ისე დასავლეთ საქართველოს ბევრ სხვა კუთხეში.

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის ზღვისპირა პარკის (ე.წ. "ბულვარის") ტერიტორია წყლით იყო დაფარული. 1881 წელს ზღვამ დაახლოებით 100 მეტრით უკან დაიხია და ამ პერიოდში გაჩნდა ზღვისპირა პარკის გაშენების იდეა. პარკის მოწყობას ცნობილი გერმანელი მებაღე რესლერი ჩაუდგა სათავეში და შეიმუშავა პარკის კეთილმოწყობის გეგმა. დაწყებული საქმე არანაკლებ ცნობილმა მებაღემ, მიხეილ დალფონსმა გააგრძელა. პარკის განაშენიანებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იასონ გორდეზიანი. მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გადახალისდა ზღვისპირა ბულვარისა და ახალგაზრდობის პარკის მცენარეული საფარი. გაფართოვდა ძველი და შეიქმნა ახალი სანერგეები სათანადო სათბურებითა და ორანჟერეებით, სადაც გამოჰყავდათ ათასობით ძირი დეკორატიული და სუბტროპიკული მცენარე. ციტრუსებზე იასონ გორდეზიანი 1904 წლიდან მუშაობდა. აყენებდა ცდებს კვირტით და კალმით მანდარინის მყნობაზე. საფუძველი ჩაუყარა ციტრუსების სანერგე მასალის ადგილობრივად გამოყვანას, რამაც საქართველოში ციტრუსის კულტურების გავრცელებას შეუწყო ხელი.

იასონ გირდეზიანი გრძნობდა, რომ მისი მიზნების განსახორციელებლად აუცილებელი იყო სწავლის გაგრძელება და ოცნებობდა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებაზე. 1908 წელს მან თავი დაანება დაკავებულ თანამდებობას და ხელფასიდან გადანახული მცირე დანაზოგით საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1911 წელს წარჩინებით დაამთავრა ვერსალის სასოფლო–სამეურნეო ნაციონალური ინსტიტუტი და სახელმწიფო ჯილდო – ოქროს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედალი მიიღო. სუპტროპიკულ და ტროპიკულ მცენარეთა შესწავლის მიზნით, მუშაობდა საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის სხვადასხვა საბაღო მეურნეობებში. ერთხანს პარიზში, პროფესორ ნომბლის ხელმძღვანელობით, მსოფლიოში ცნობილ სელექციონერ ველმორენის სათესლე–სანერგე მეურნეობაში იღრმავებდა ცოდნას, ბოლოს ლონდონის სამეფო ბოტანიკურ ბაღში ეკავა აგრონომ–დეკორატორის თანამდებობდა. ვინ იცის როგორ წარიმართებოდა იასონ გორდეზიანის შემდგომი კარიერა, რომ არა ქალაქ ბათუმის გამგეობიდან გაგზავნილი მოთხოვნა მისი სამუშაოდ მიწვევის თაობაზე.

1913 წელს, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების ინიციატორ, მეცნიერ–გეოგრაფ ანდრეი კრასნოვის რეკომენდაციით იასონ გორდეზიანმა დაიკავა ბაღის უფროსი მებაღის თანამდებობა, სადაც 1925 წლამდე მსახურობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული უღრანი ტყიდან და ჭაობიდან ბოტანიკური ბაღის სახის ჩამოყალიბება და სისტემატიზაცია. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ძალისხმევით გაშენდა ბოტანიკური ბაღის იაპონური, ჩინური, მექსიკური, ავსტრალიური, ჩილეს, ახალი ზელანდიის, ამერიკული და ევროპული განყოფილებები.

იასონ გორდეზიანი ნაყოფიერად მოღვაწეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. კითხულობდა ლექციებს თბილისის სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტში, მისი გამოცდილების ათვისების საფუძველზე დაიწყო გერანის გაშენება სამრეწველო მიზნით. მოეწყო ციტრუსების უმდიდრესი საკოლექციო განყოფილება. დაჯილდოებული გახლდათ სსრკ სასოფლო–სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლით. იასონ გორდეზიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ბათუმის საქალაქო მეურნეობა. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბათუმის გამწვანების ტრესტს, რომელსაც მისი სახელით მოიხსენიებდნენ.

1935 წელს ბათუმში იასონ გორდეზიანს მოღვაწეობის 40

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წლის იუბილე გადაუხადეს. მიენიჭა სუბტროპიკული მეურნეობის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1960 წელს, 83 წლის ასაკში იასონ გორდეზიანი ბათუმში გარდაიცვალა. 1978 წელს თბილისში აღინიშნა აგრონომ–დეკორატორის დაბადების 100 წლისთავი.

2018 წელს ბათუმის ბულვარში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაიდგა იასონ გორდეზიანის ძეგლი და ენციკლოპედისტმა ოთარ გაგუამ მიუძღვნა წიგნი „საკაოდან–ლონდონამდე იასონ გორდეზიანი“, რომლის რედაქტორი გახლავთ ბათუმის ბულვარის დირექტორი, აგრარული მეცნიერებათა დოქტორი ეთერ მაჭუტაძე.

ბულვარის კონცეფციის განხილვა

P.S. წიგნი დასრულებული გახლდათ, როდესაც ბათუმის საზოგადოებამ ბულვარის კონცეფციის საჯაროდ განხილვა მოითხოვა. ამას, როგორც იცით, დიდი ვნებათა ღელვები მოჰყვა.

ბულვარის განვითარების კონცეფციასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის ინტელიგენციამ ღია წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს და ქალაქ ბათუმის მერს გიორგი ერმაკოვს, რაც გაზეთ „აჭარა“–ს (31.12.2015 N149–ში) გამოქვეყნდა, რომელსაც ორმოცამდე პროფესორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აწერდა ხელს. გთავაზობთ მოკლე ამონარიდს ამ წერილიდან: „...ბათუმი და ბათუმელები იმსახურებენ იმას, რომ ბულვარის რეკონსტრუქციის პროექტი ჯერ ფართო საზოგადოებრიობის განხილვის საგანი გახდეს და მისი მოწონების შემთხვევაში დაუყონებლივ დაიწყოს მისი განხორციელება. არავის აქვს უფლება წინ აღუდგეს ხალხის ნებას. ჩვენი მოთხოვნაა: შეჩერდეს ძველი ბულვარის, ჩვენი ქალაქის ისტორიის ნაწილის ხელოვნური ხელყოფა – კომერციულ ინტერესებს ნუ გადავაყოლებთ ჩვენს ისტორიულ და ბუნებრივ საუნჯეს.“

მალე აჭარის ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარე როგორც

იცით გამოიცვალა და მის მაგიერ დაინიშნა **ზურაბ პატარაძე**, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე წარსდგა მოხსენებით და ისაუბრა რეგიონში განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ: სხვა საკითხებთან ერთად შეეხო ბულვარის თემას და განაცხადა: ,,ბულვარმა უნდა შეინარჩუნოს ის სახე, რასაც ითხოვდნენ ბათუმელები, მოითხოვენ მომავალში. უახლეს მომავალში დაიწყება მუშაობა ბულვარის კონსერვაციის გეგმაზე, ასევე ჩატარდება სამუშაობები ახალი ბულვარის განვითარების მიმართულებითაც".

სწორედ ამ განცხადების შემდეგ გაზეთ ,,აჭარაში" დაიბეჭდა ჩემი მორიგი ინტერვიუ ბულვარის თემასთან დაკავშირებით. აი, ისიც:

ზღვისპირა ბულვარი ხელწამოსაკრავი ფასეულობა არ არის!

ჟურნალისტი – რევაზ მსხილაძე

ნათქვამია, ისტორიას, უპირველესად, გულანთებული და ენთუზიასტი ადამიანები ქმნიანო. სწორედ ასეთია ძირძველი ბათუმელი, მწერალი, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,2011 წლის 26 მაისი. მამული, ენა, სარწმუნოება"ს, თავმჯდომარე თენგიზ ცეცხლაშვილი. არ არის ისეთი ეროვნული მნიშვნელობის ან ბათუმთან და ბათუმელთა ინტერესებთან დაკავშირებული საკითხი, რომ იგი არ გამოეხმაუროს და მონაწილეობა არ მიიღოს მის გადაწყვეტაში. ცხადია, ზღვისპირა ბულვარის დიდი გულშემატკივარიცაა იგი. კერძოდ, იმ პოზიციის დამცველი, რომ ქალაქის ეს ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი, არსებული სახით, მაგრამ ფლორითა და ფაუნით უფრო გამდიდრებულ–გამრავალფეროვნებული გადავცეთ მომავალ თაობებს.

ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, აჭარის ძველმა ხელმძღვანელობამ მოინდომა ბულვარის ,,ახლებურად" გადაკეთება, ანუ მისი რეკონსტრუქცია, რასაც ფართო საზოგადოებრიობა შეეწინაღმდეგა. შედეგად, ბულვარი გადარჩა ხელყოფას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბულვარში ბევრი

რამაა მოსაწესრიგებელი და ახლებურად, საზოგადოებრიობის სურვილის შესაბამისად გასაკეთებელი, მით უმეტეს, რომ ზღვისპირა ბულვარის არსებული სახით შენარჩუნებას, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსახლეობასთან ერთად, მხარს უჭერს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე, რის შესახებაც, სათანადო განცხადებაც გააკეთა ამას წინათ.

მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს თენგიზ ცეცხლაშვილთან, რომელშიც იგი კონკრეტულად საუბრობს ბულვარის საკითხებზე.

– ბატონო თენგიზ, ვგონებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის განცხადებამ წერტილი დაუსვა ბულვართან დაკავშირებით არსებულ ვნებათაღელვებს. რის თქმა გსურთ ამჟამად?

– რაც ბულვარის კონსერვაციასთან დაკავშირებით ითქვა, მთელმა საზოგადოებრიობამ მოიწონა, მაგრამ გააჩნია, რას გულისხმობს იგი და რა როგორ გაკეთდება? რეკონსტრუქციის გეგმის მიხედვით ბულვარში სამი ხეივნის ნაცვლად ორი უნდა გაშენებულიყო. ამასთან, ტერიტორია უფრო მეტად დაიტვირთებოდა ტურისტული, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებით (რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, კაფე და რესტორანი გაიხსნა კიდეც). ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ზღვისპირა ბულვარი წინა თაობების შემოქმედების და შრომის ნაყოფი, უნიკალური მატერიალურ–კულტურული ფასეულობა, ღირშესანიშნავი ისტორიული ძეგლია და იგი არსებული სახით უნდა შევინარჩუნოთ. უფრო მეტიც, მოვაშოროთ ის ჯიხურები, კაფეები და სხვა ობიექტები, რაც ბოლო წლებში ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჩაიდგა. ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. შეგროვდა ათასობით ხელმოწერაც. აზრი გამოთქვეს ცნობილმა მეცნირებმა, საზოგადო მოღვაწეებმა და ამ სფეროს სპეციალისტებმა ნოდარ ჩხეიძემ, რამაზ სურმანიძემ, ოთარ გაგუამ, ნიაზ ბოლქვაძემ, ოთარ გოგოლიშვილმა, გენო ნოიღაიდელმა, გია ბაღოშვილმა და სხვებმა.

გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჩხეიძის ღია წერილი სათაურით: ,,ნუ დავამახინჯებთ ქათქათა ბათუმს“. ავტორი რვა

ნოდარ ჩხეიძე

ათას ხელმომწერთან ერთად მიმართავს საქართველოს პრემიერ–მინისტრს გიორგი კვირიკაშვილსა და კულტურის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს, რომ ხელი არვინ ახლოს ბათუმის ზღვისპირა ბულვარს.

სწორედ ამგვარი წინააღმდეგობის შედეგი იყო, რომ აჭარის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ განაცხადა: ,,ბათუმელებს ვაძლევ პირობას: ბულვარის მესამე სასეირნო ხეივანი აღდგება!..“ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს სამივე ხეივანი... ვაწარმოებთ კონსულტაციებს იმისთვის, რომ ეს პროცესი სამართლებრივად სწორად წარიმართოს“...

ეს დაპირება შესრულდა, მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ე.წ. კონსერვაცია? რა გაკეთდება და როგორ? აი, ესაა საკითხავი! სამსჯელო და საზრუნავი კი ნამდვილად გვაქვს: რამდენადაც ჩვენი მოსაზრებები თანხმობაშია საზოგადოების პოზიციის ზოგიერთ საკითხს დავაკონკრეტებ.

სასიხარულო და საამაყოა, რომ ბულვარს ვეღარ შეეხება უკეთური ხელი, მაგრამ განა სამარცხვინო და ჩვენი ერისათვის შეურაცხმყოფელი არაა, რომ მის ცენტრში ისევ დგას მამათმავალთა ძეგლი? სამი წელია ,,აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი“ (თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე) აპროტესტებს ამ მკრეხელობას, მოითხოვს მის დემონტაჟს, მაგრამ ამაოდ.

ასაღებია ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში განთავსებული ,,ნიჟარა“ , რომელიც თითქოს და ახალდაქორწინებული წყვილების ხელის მოწერისთვის რომანტიკული ელფერის მისაცემად გაკეთდა. სინამდვილეში იგი ამახინჯებს შესასვლელის ხედს, ფარავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შადრევნებს, ზღვასაც კი და სტუმარს – მასპინძელსაც თვალში ერთნაირად ეჩხირება.

ბოლოს და ბოლოს, ბულვარში უნდა დაიდგას მისი უპირველესი გამშენებლის და დირექტორის იასონ გორდეზიანის ძეგლი. საზოგადოების მოთხოვნის შესრულება ხომ ქალაქის მერიის პრეროგატივაა.

და ერთიც: როგორც იტყვიან, ძალად პრობლემად ქცეული საკითხი, რომელიც კოლონადების აშენების ისტორიას და მის მშენებლებს ეხება. საქმე ისაა, რომ იქვე, მემორიალურ დაფაზე არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. კერძოდ, ის, რომ თითქოს კოლონადების იდეის ავტორია არქიტექტორი და მშენებელი ინჟინერი, არქიტექტორი ბოგდან კირაკოსიანია. გაირკვა, რომ კოლონადების მშენებლობის დროს (1925–1935 წლებში) 20–22 წლის ყმაწვილი, ცხადია, ვერც იტალიიდან ჩამოიტანდა კოლონადების ესკიზებს და ასეთ მნიშვნელოვან მშენებლობასაც არ მიანდობდნენ. სინამდვილეში, კოლონადების მშენებელი ინჟინერი იმ დროს ცნობილი არქიტექტორი, ქალაქის მთავარი ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი გახლდათ. მას სამუშაოთა მწარმოებლად თავისი მოწაფე ბოგდან კირაკოსიანი დაუნიშნავს. არქივში ვნახე შესრულებულ სამუშაოთა ერთ–ერთი ნუსხაც, რომელსაც „პრარაბი“ კირაკოსიანი და ბუღალტერი ტუღუში აწერენ ხელს.

ახლა რაც შეეხება იტალიიდან კოლონადების ესკიზების ჩამოტანის საკითხს: როგორც მწერალმა, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ გაარკვია, გასული საუკუნის 20–იანი წლების ბოლოს, ერთა ლიგის (გაერო) საგზურით, იტალიის ქალაქ სორონტოში იმყოფებოდნენ ექიმები ბათუმელი ივანე მჭედლიძე, ივანე კონიაშვილი და ივანე ფრანგულიანი. როგორც გაირკვა ისინი იქ შეხვდრიან დიდ რუს მწერალს მაქსიმ გორკის. ივანე მჭედლიძე თურმე იცნობდა მწერალს და რამდენიმე დღე ერთად ათვალიერებდნენ ქალაქს. უნახავთ კოლონადებიც. ივანე მჭედლიძეს ძლიერ მოსწონებია ეს კოლონადები და უთქვამს, მაქსიმ გორკისთვის: ნეტავ ასეთი კოლონადები ბათუმშიც

გვქონდეს, ძალიან დაამშვენებდა ქალაქის ზღვისპირა ბულვარსო. მაქსიმ გორკის მართლაც მოუპოვებია კოლონადების ესკიზები და ეს ესკიზები ივანე მჭედლიძეს ბათუმში ჩამოუტანია. ქალაქის მთავარმა ინჟინერმა, ცნობილმა არქიტექტორმა პავლე ნადარეიშვილმა ამ ესკიზების საფუძველზე შეადგინა მშენებლობის პროექტი და სამუშაოთა მწარმოებლად როგორც უკვე მოგახსენეთ თავისი მოწაფე ბოგდან კირაკოსიანი დანიშნა. მშენებლობის ინჟინერიც და ზედამხედველიც თავად ყოფილა.

ცხადია, ეს ყველაფერი ზუსტად უნდა აისახოს მემორიალურ დაფაზეც, რასაც ერთ წელზე მეტია არ დაადგა საშველი. შარშან, ჩვენი შენიშვნის შემდეგ, აღნიშნული მემორიალური დაფა აიღეს, მაგრამ ახალი ჯერ არსად ჩანს, რაც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის პრეროგატივაა. სიმართლე კოლონადების ესკიზების მოპოვების, იდეის ავტორისა და მშენებლობის შესახებ ლიტერატურაშიც და მემორიალურ დაფაზეც ზედმიწევნით უნდა აისახოს, თანაც, არა მხოლოდ ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე, როგორც ეს ადრე იყო, არამედ რუსულ ენაზეც, რადგან რუსულენოვან ტურისტთა რაოდენობა ჩვენში ყოველწლიურად იზრდება.

– როგორია ტექსტის თქვენეული ვერსია?

2015 წლის სექტემბერში, ბატონ რამაზ სურმანიძის ხელმძღვანელობით შევქმენით ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა კომისია, რომელმაც დაამუშავა ტექსტის რამდენიმე ნიმუში, დიდი სჯა–ბაასის შემდეგ ტექსტმა ასეთი სახე მიიღო საბოლოოდ:

- ,,კოლონადები ბათუმის ერთ–ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა. აშენდა 1931–1934 წლებში. იდეა ეკუთვნის ბათუმელ ექიმს ივანე მჭედლიძეს (1889 –1937წწ). მან ჩამოიტანა კოლონადების ესკიზები იტალიიდან 1930 წელს, რომლის მოპოვებაში იმ დროს იტალიის ქალაქ სორენტოში დასასვენებლად მყოფი დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი

(1868–1936წწ) დახმარებია.

- ბათუმის მთავარმა არქიტექტორმა პავლე ნადარეიშვილმა (1894–1934წწ) ამ ესკიზების საფუძველზე შეადგინა კოლონადების მშენებლობის პროექტი და თავად ხელმძღვანელობდა ამ მშენებლობას.

- სამუშაოთა მწარმოებელი იყო შემდგომში ცნობილი არქიტექტორი, აჭარის დამსახურებული ინჟინერი ბოგდან კირაკოსიანი (1912–1972წწ).

- ტექსტის ავტორები: პროფესორი რამაზ სურმანიძე და თენგიზ ცეცხლაშვილი.

ეს ტექსტი მიმართვასთან ერთად, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის რამაზ სურმანიძის, პროფესორების ნოდარ ჩხეიძის, რეზო გოგიტიძის, არქიტექტორის გიორგი ბაღოშვილის და მხატვარ-დიზაინერის ჯიმსონ გურგენიძის, მხატვარ გურამ ფუტკარაძის, მოქანდაკე დავით ბოლქვაძის, იურისტ როსტომ გუნთაიშვილის და ჩემი ხელმოწერით, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროს წარვუდგინეთ, მაგრამ, როგორც ვთქვი, მისი დადგმა წელიწადზე მეტია ჭიანურდება.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ წერილით გვაცნობა რომ კოლონადების დაფას ზემოთ აღნიშნული ოთხენოვანი ტექსტით 2016 წელს ბულვარში ახალი დაფების განთავსებისას აღადგენდნენ.

სამიოდე თვეც და 2017 წლის ტურისტული სეზონიც დაიწყება, თუმცა სტუმარი ბათუმს არც ზამთრის თვეებშიც აკლია. მასპინძლებსაც არ აწყენდათ, იცოდნენ სიმართლე კოლონადების მშენებლობის ისტორიის შესახებ.

მე, როგორც ბათუმის ძველი ზღვისპირა ბულვარის მეხოტბე, მოყვარული და ენთუზიასტი, თანამოაზრეებთან ერთად ვაგრძელებ მისი განვითარებისთვის ბრძოლას. იგი ხომ უკვე ეროვნულ მატერიალური კულტურის ძეგლია. გამოსაცემად მზად მაქვს წიგნი ,,ბათუმის ბულვარი“, რომლის დაწერა, ისევ და ისევ, ბულვარისა და ბათუმის მომავალზე ფიქრმა მიკარნახა.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ბულვარსა და ბათუმზე ადრეა დაწერილი და გამოცემული წიგნებიდან ვისარგებლე. ვფიქრობ, ეს უფრო ღირებულს გახდის წიგნს და ამით მკითხველიც მოიგებს.

მჯერა, საღი აზრი გაიმარჯვებს, ხალხის ნება უზენაესია და რესპუბლიკის მთავრობა და ქალაქის მერია იხელმძღვანელებს თავისივე სლოგანით: **„მართე შენი ქალაქი!“** ხალხის მოთხოვნას შსმენილი და ბულვარიც კვლავ გაახარებს მნახველის თვალს. ბულვარი იყო და მომავალშიც დარჩება ხალხის სამსახურში...

SOS, ყოველ გაავდრებასა და შტორმს აჭარის სანაპირო ზოლისთვის კატასტროფული შედეგი მოაქვს, განსაკუთრებით, ახალი ბულვარის ინფრასტუქტურის ნგრევა და პლაჟის განადგურება მოყვება და თუ დროზე არ იქნა მიღებული ადეკვატური გააზრებული ზომები მთავრობის მხრიდან ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალების ჩართულობით, ბათუმის პლიაჟი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება!

წიგნზე მუშაობა, როგორც ზემოთ ავღნიშნე გაგრძელდა კოლონადების ახალი საინფორმაციო დაფის განთავსებამდე, რომელიც დაიდგა - 2017 (იხილეთ გვ. 86)**.**

წიგნზე მუშაობის პროცესში ხშირი ურთიერთობა მქონდა ბატონ რამაზ სურმანიძესთან, რომელმაც გულდაწყვეტილმა... მამცნო ქალბატონ ეთერ მაჭუტაძის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება...

აი, როგორ გამოეხმაურა ამ თემას გაზეთ ,,აჭარას” (14. 07. 2018 წ) ჟურნალისტი მანანა ტაკიძე: ,,ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის დირექტორის თანამდებობა ვაკანტურია” - ,,ეთერ მაჭუტაძე ამ თანამდებობას ოფიციალურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემდეგ დატოვებს.

ეთერ მაჭუტაძე სხვადასხვა დროს ჯერ ,,ბათუმის ბოტანიკურ ბაღს”, შემდეგ ,,ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურს” ხელმძღვანელობდა. 2017 წლის 10 იანვრიდან ,,ბულვარის ადმინისტრაციის”

დირექტორად დაინიშნა. პრინციპული, სამართლიანი, თავისი საქმის პროფესიონალი და ენერგიული – ასე იცნობენ მას. ბულვარის ადმინისტრაციაში მუშაობის პერიოდში, მან ბევრის რამის გაკეთება შეძლო, თუმცა ბევრიც ვერ მოასწრო. მაისში, კოლონადების მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ ერთი კაფეს მშენებლობა გააპროტესტა და შეაჩერა. მისთვის ასევე, მიუღებელი იყო სანაპიროზე სავაჭრო ობიექტების ,,პიერ ბათუმისა" და ბულვარის შემოსასვლელში ,,ნიჟარის" არსებობაც...

დებულების თანახმად, როგორც აღნიშნა ქალბატონმა ეთერ მაჭუტაძემ: ,,მთავრობის ახალი თავმჯდომარის დანიშვნის შემდეგ, ყველა ხელმძღვანელი თავისუფლდება და მის მოვალეობას პირველი მოადგილეები შეასრულებენ.

პირველი რიგი. მარცნიდან: თამარ მეტრეველი, ნატო გამყრელიძე, ია შარაშენიძე, ეთერ მაჭუტაძე, ნანა ჯაფარიძე და მაგდა ჯაიანი.
მეორე რიგი: მარია ტაკიძე და თამარ კიკნაძე.
მესამე რიგი: გენო ნოღაიდელი, ნანა შავიშვილი, ნათია გიორგაძე, სალომე შავაძე, ინგა გოგიძე, თინა მელუა, სოფიო დუმბაძე, ნინო ბერსენაძე და დავით გიორგაძე

მოგვიანებით კი დირექტორის მოადგილეების პოზიციებზე ახალი კონკურსი გამოცხადდება".

ასეც მოხდა, დირექტორად დაინიშნა ქალბატონ ეთერის მოადგილე ბატონი ირაკლი ჯინჭარაძე", ხოლო მოადგილეებად: ბატონი დავით სურგულაძე და ქალბატონები: სოფო გუჯაბიძე და სოფო ლაზიშვილი.

დირექტორი ირაკლი ჯინჭარაძე

დავით სურგულაძის, სოფო გუჯაბიძისა და სოფო ლაზიშვილის წარდგინება ბულვარის ადმინისტრაციის წინაშე. (22.01.2019 წ.)

მარინა მითაიშვილი

* * *

დაბოლოს, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ჩემი და ჩემი თანამოაზრეების სახელით, გაზეთ ,,აჭარის“ მთავარ რედაქტორს მარინა მითაიშვილს, „ადჟარიას“ რედაქტორს ლოლა ტუმასიანს და ჟურნალისტ რევაზ მსხილაძეს, რომლებმაც მოგვცეს საშუალება გაზეთით მართალი სიტყვა მიგვეტანა მოსახლეობამდე.

ლოლა ტუმასიანი

რეზო მსხილაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის ბულვარში განლაგებული ძეგლები,
ბიუსტები და სკულპტურები

მიხეილ დ'ალფონსი
ძეგლის ავტორია მოქანდაკე დავით ბოლქვაძე
იდეის ავტორი არქიტექტორი გია ბაღოშვილი, 2010 წელი

იასონ გორდეზიანი
ძეგლის ავტორია მოქანდაკე ირაკლი წულაძე, იდეის ავტორები
მწერალი ოთარ გაგუა და არქიტექტორი გია ბაღოშვილი, 2018 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეტრე მელიქიშვილი
ბიუსტის ავტორია მოქანდაკე ნოდარ ჭაღალიძე

სულიკო ჟღენტი
ბიუსტის ავტორია მოქანდაკე ირაკლი ოჩიაური

“მე, შენ და ბათუმი”. ბრინჯაოში შესრულებული ფიგურების
ავტორია მოქანდაკე ერეკლე წულაძე

მექანიკური ქანდაკება „ალი და ნინო“
ავტორი მოქანდაკე თამარ კვესიტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შადრევანი-ქანდაკება „მანდილოსანი ველოსიპედით“
მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას საჩუქარი. 2012 წელი

აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, საინფორმაციო დაფებზე მოქანდაკეთა ვინაობა. ქანდაკებების დადგმის თარიღი არცერთს არა აქვს დართული, რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია.

ბულვარის ერთ-ერთი ხედი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასლან აბაშიძის დატოვებული კოლექციიდან იტალიური სკულპტურების ასლები ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აჭარის ახალმა მთავრობამ გადასცა ბულვარს. ბულვარის მაშინდელმა დირექტორმა გიორგი ბაღოშვილმა სკულპტურების ასლები თავისი შეხედულებით განათავსა ბულვარის ძველ ტერიტორიაზე, რამაც მეტი ელფერი შესძინა ჩვენს ბაღნარს.

ლომები

თევზი „ხერხი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვენერა და კუპიდონები“

ბალერინა

„პეპელა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმფა

დელფინები

შადრევანი

ჩემი შვილიშვილები ბარბარე და გიორგი ცეცხლაშვილები

ქალი სურით

გედების იდილია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმის ბულვარი დღეს

ბულვარის დასაწყისი პორტის მხრიდან

„ალი და ნინო“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის ხედი

ბულვარი საღამოს

ანბანის კოშკი

თანამედროვე არქიტექტურული შენობა „ანბანის კოშკი“ ბათუმის ბულვარის “საოცრებათა პარკში” 2012 წელს დაიდგა. კონსტრუქცია ვიზუალურად დნმ-ის უჯრედის სიმსგავსეს წარმოადგენს, ანბანის 33 ასოთი არის გარშემორტყმული და სიგრძით 130 მეტრია. შემინულ პანორამულ რკინის კონსტრუქციაში განთავსებულია მბრუნავი რესტორანი და ობსერვატორია. მასში გადაადგილება მხოლოდ ლიფტით არის შესაძლებელი. „ანბანის კოშკის“ პროექტი ესპანელ არქიტექტორს ალბერტო დომინგო კაბოს ეკუთვნის.

მნახველებს, რომლებიც ობსერვატორიას და პანორამულ რესტორანს ესტუმრებიან შესაძლებლობა მიეცემათ ანბანის კოშკიდან დაათვალიერონ ქალაქის, მთების და შავი ზღვის ხედები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონური კუთხე, იდეის ავტორი და დიზაინერი სალომე შავაძე

ძველი ბულვარის ცენტრალური შადრევნების ისტორია

1977 წლის სექტემბერს, ქ.ბათუმში, ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში, კ.გამსახურდიას (ყოფილი ლენინის ქ.) ქუჩიდან დამონტაჟდა სამი ფერადი მუსიკალური შადრევანი, ორი -კვადრატული ფორმისა და ერთი კი-წრიული.

საინჟინრო პროექტი დამზადდა სომხეთში (ქ.ერევანი). პროექტი შეასრულა ცნობილმა სომეხმა ინჟინერმა პროფ. გ. აბრამიანმა და ინჟინერმა ალბერტ კაჟოიანმა, ხოლო არქიტექტურული პროექტი კი ცნობილმა ბათუმელმა არქიტექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა - გიორგი ერქომაიშვილმა.

2008 წელს მოხდა ამ შდრევნების როგორც არქიტექტურული რეკონსტრუქცია, ასევე მთლიანად შეიცვალა მისი საინჟინრო ტექნოლოგია არტაანის ტბაზე არსებული ფრანგული შადრევნების მსგავსად. შადრევნებზე დამონტაჟდა დეკორატიული გადასასვლელი ხიდი, მის მიმდებარედ დაიგო მაღალხარისხიანი დეკორატიული ფილები. შადრევნის გარშემო კი დამონტაჟდა 12 სკულპტურა - ,,სალამურიანი ბიჭები''.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის ხედი უნივერსიტეტთან

საბავშვო კუთხე, იდეის ავტორი ირაკლი ჯინჭარაძე,
ღობის დიზაინის ავტორი თამარ კიკნაძე

განახლებული ბულვარის ხედები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულვარის ხედი

ბათუმის ბულვარის აერო-ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბოლოს, როგორც ზემოთ დაგპირდით, წიგნი მინდა დავასრულო საკუთარი ლექსით, რომელიც დავწერე გიორგი ბაღოშვილის თხოვნით და მივუძღვენი ბათუმის ბულვარის დაარსების **130-ე წლისთავს;**

ბათუმის ბულვარი

შენ ბათუმის სანაპიროს
მშვენება ხარ ბულვარო
ბათუმის და ბათუმლების
საოცნებო ბაღნარო.

გეფერება ზღვის ტალღები
მზის სხივები ულევი,
შენ ყველასთვის სითბოს აფრქვევ,
მათრობს შენი სურნელი.

და დღითიდღე ლამაზდები,
ბულვარი ხარ ზღაპარი,
სხვაგან არსად მეგულება
სხვა შენი შესადარი
ბულვარი ხარ ზღაპარი!

25 იანვარი 2019 წელი,



კომპოზიტორი ტარიელ დარჩია



თენგიზ ცეცხლაშვილი: პროფესიით პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა 2002 წელს. მან ზედიზედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული პოემები: ,,გვირგვინოსანნი", ,,ჩემი ღელე-ღურდანი" და ,,უმეფობის ჟამს". პირველი მათგანი გალექსილი ,,ქართლის ცხოვრებაა", რომელშიც ასახულია საქართველოს ისტორია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის – მალხაზ სიორიძის მოსაზრებას: ,,გალექსილი ქართლის ცხოვრება" უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. არჩილ II, თეიმურაზ I, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანის და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტები, რასაც დიდი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თანამედროვე ქართველებისთვის.

ჩვენი თანამედროვე ავტორის თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკული პოემაც ,,გვირგვინოსანნი", გამოჩენილ ქართველ მეფეთა მოღვაწეობის ძირითად მომენტებს ასახავს. მასში გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის 10-იან წლებამდე...

თენგიზ ცეცხლაშვილის ,,გვირგვინოსანნი" ლაღი ენით დაწერილი პოემაა და საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში".

ანალოგიურად შეფასდა პოემა ,,ჩემი ღელე-ღურდანი", რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ბედკრული ისტორიაა წარმოჩენილი.

ზემოხსენებულ პოემებს თავის დროზე სათანადოდ აშუქებდნენ ქვეყნის მასმედიის საშუალებები. უნდა ითქვას, რომ ეს ნაწარმოებები ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების სკოლებში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამ საქმეში მას მხარში ედგა და

ასპონსორებდა მისი მეგობარი, ფირმა ,,ბასკოს" პრეზიდენტი – იგორ კრეიდენკო, რომელიც უანგაროდ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ბატონი თენგიზი საკალათბურთო გუნდის, საქართველოს ჩემპიონის ,,ბასკო"-სა და საბავშვო ფესტივალის ,,ცისკრის ვარსკლავი"–ს ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, ახლახან მისი რუსულ ენაზე დაწერილი ლექსებით დაინტერესდა ქ. მოსკოვის ქალთა ვოკალური ჯგუფი ,,ვესნა".

რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს ,,სისხლიანი კალო," შემოგთავაზებთ ამონარიდს გაზეთ ,,აჭარა"–დან, 24–28/5. 2014.

,,სისხლიანი კალო" ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მწერალ ვახტანგ ახვლედიანისა და სამშობლოსადმი თავდადებულ ღირსეულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას ეძღვნება, რომლის პრეზენტაციაც აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ფილმი გადაღებულია საზოგადოებრივი მოძრაობის ,,2011 წლის 26 მაისი" – ,,მამული, ენა, სარწმუნოება" თავჯდომარის თენგიზ ცეცხლაშვილის მიერ მოწოდებული წიგნების – ,,სასიკვდილოდ გამეტებულნი", ,,26 მაისის სისხლიანი კალო" და ,,ეს არ უნდა განმეორდეს!" მიხედვით.

ამ ფილმით პირველად ვიხილეთ ის ადამიანები, ვინც აქციებში მონაწილეობდნენ აჭარიდან. არ შეიძლება ამასთანავე გვერდი ავუაროთ ზემოხსენებული წიგნების რედაქტორთა აზრებს, რომლებმაც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მკაფიო შეხედულებები დააფიქსირეს, რაც თანხვედრაშია აქციის თვითმხილველთა გამონათქვამებთან:

•••

„წიგნი, რომელიც წარმოგვიდგინა ბატონმა თენგიზ ცეცხლაშვილმა, უაღრესად აქტუალურია. 2011 წლის 26 მაისი იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უმძიმესი ტრაგედია, რომელმაც კიდევ უფრო წარმოაჩინა 1989 წლის 9 აპრილის ,,ბართლომეს ღამის" სურათები.

9 აპრილის დარბევა განხორციელდა უცხო ქვეყნის ჯარების მიერ გორბაჩოვის ბრძანებით, ხოლო 26 მაისის

დარბევა განხორციელდა ქართული პოლიციელისა და სპეცსამსახურების ხელით. მ. სააკაშვილმა გორბაჩოვს და როდიონოვს ჩამორეცხა 9 აპრილის სისხლი და სირცხვილი.

ბატონი თენგიზი მკითხველის წინაშე აშიშვლებს დარბევის ტრაგიკულ სურათებს თვითმხილველის თვალით. სხვებთან ერთად მან შეძლო წარმოედგინა ხელისუფლების მიერ დარბეული და ნაწამებ ადამიანთა შორის ჩვენი მხარის შვილების, მათი გაუტეხელი სულისა და თავდადების, სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის აღდგენისათვის ბრძოლა.

მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ სულ მალე ეს ადამიანები ღირსეულად დაფასდებიან.

თენგიზ ცეცხლაშვილის ეს პატარა წიგნი ამ დიდი საქმის ერთგვარი პროლოგიცაა!

შოთა ზოიძე, მწერალი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

...

თენგიზ ცეცხლაშვილის ნაშრომი „ეს არ უნდა განმეორდეს!" წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჟურნალისტურ გამოკვლევას, რომელმაც დეტალებში წარმოაჩინა ის დიდი დანაშაული, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე. გაივლის დრო და ეს ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ავტორმა მთელი სისრულით გამოიკვლია, იქნება მნიშვნელოვანი გაფრთხილება ყველას მიმართ, რომელიც ეცდება ხალხის სამართლიან შეუპოვრობას იარაღითა და ბოროტებით დაუპირისპირდეს. ასევე, ამ ნაშრომმა უნდა შეასრულოს მამხილებელი როლი ნაციონალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებისა. ნებისმიერი ჯანსაღ გონებაზე მყოფი სამართალმცოდნე, მარტო იმ ამაზრზენი ფაქტებით, რომელიც წიგნშია მოცემული, არა მარტო ტომებს შეკრავს ხელისუფლების ანტიხალხური ქმედების წინააღმდეგ, არამედ სასტიკ განაჩენსაც გამოუტანს მას. დიახ, ამ წიგნმა უნდა შეასრულოს მამხილებელი ფუნქციის როლი, თუ როგორი სიძულვილით მართავდა ნაციონალური ხელისუფლება ქვეყანას,

როგორ ძულდა საკუთარი ხალხი, როგორ იმეტებდა თავისივე ხალხს სასიკვდილოდ და შემდეგ ამაზრზენი ფალსიფიკაციით გონებას უბნელებდა საზოგადოებას, თუმცა ყველა ხვდებოდა თუ ვისთან ჰქონდა საქმე. ისიც უნდა ითქვას, რომ 2011 წლის 26 მაისი 2007 წლის 7 ნოემბრის სისხლიანი გაგრძელებაა იმ განსხვავებით, რომ მაშინ ნაციონალებმა ვერ ,,მოახერხეს'' სისხლის ღვრა, თუმცა იმდენი მომწამვლელი ნივთიერებები გამოიყენეს, რომელიც შეშურდებოდა ქართველთმოძულე უცხოელ დამპყრობლებსაც კი.

მე დავამატებდი ერთს, ეს ნაშრომი ნამდვილად დაიკავებს ღირსეულ ადგილს ქართულ პატრიოტულ ჰეროიკაში, რადგანაც მან შეასრულა უდიდესი როლი, გააშიშვლა რეჟიმი და საზოგადოებას დაანახა მისი სისხლიანი სახე, თანაც დასვა მეტად დამაფიქრებელი კითხვა, ისეთი რეჟიმი, რომელიც თავის ხალხს არ ინდობს, არ ინდობს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე მოიყვანეს იგი ხელისუფლებაში და შემდეგ, როდესაც დაინახა მისი ნამდვილი ,,სახე,'' დაუპირისპირდა მას და ამის გამო სასტიკადაც დაისაჯა. მხილებისა და გაკიცხვის ღირსია ყოველივე ის, რაც 26 მაისს განახორციელა სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ერის წინააღმდეგ, ხელისუფლებამ, რომელიც მთელ მსოფლიოში ,,დემოკრატიის" სახელით იყო ცნობილი, განახორციელა ენით აუწერელი, სადისტური და კაცთმოძულეობითი ქმედება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ ეს ნაშრომი უნდა ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში.

ოთარ გოგოლიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, დამსახურებული მოღვაწე

...

სრულიად ვიზიარებ პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მოსაზრებას – წიგნი ,,ეს არ უნდა განმეორდეს!" ითარგმნოს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერის ენაზე, რათა დაინახონ

ყველგან, თუ რა ჯალათები განაგებდნენ მთელ ქვეყანას ამ ხნის განმავლობაში საქართველოში“ და მიმაჩნია, ანალოგიურად ასევე უნდა ითარგმნოს დოკუმენტური ფილმიც ,,სისხლიანი კალო“.

ჯემალ ხოფერია,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი“

...

რაც შეეხება პროფესორ ოთარ გოგოლიშვილის მოსაზრებას წიგნის ,,ეს არ უნდა განმეორდეს!“ თარგმნის შესახებ: ამ ეტაპზე თარგმნილია რუსულ ენაზე, ხოლო დოკუმენტური ფილმი ,,სისხლიანი კალო“ თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში.

თენგიზ ცეცხლაშვილს ზემოხსენებული წიგნებს ახლახანს შეემატა კიდევ ერთი წიგნი ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“.

აი როგორ გამოეხმაურა ამ წიგნს გაზეთი ,,აჭარა“ №.112 /7.9.2017წ./ ჟურნალისტი რევაზ მსხილაძე:

,,მწერლის გულის მონაწური წიგნი

გამოვიდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თენგიზ ცეცხლაშვილის მორიგი ავტობიოგრაფიული წიგნი ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ”...

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს მისი 35-ე წიგნია, მაგრამ ვფიქრობ ყველაზე აღმატებული, რადგან მისი ქართველობა, კაცობა, ნიჭი, დაუცხრომელი ხასიათი, შრომისმოყვარეობა ყველაზე ნათლად ამ წიგნშია გამოხატული.

ავტორი ხატავს ბათუმის უახლეს წარსულსაც. გვახსენებს მის ცნობილ ადამიანებს. ეს ყველაფერი მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის ბოლო ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ფონზე, რომელიც უაღრესად რთული იყო ქართველი ერისათვის და რომლის შედეგებიც დღემდე მოჰყვება ქვეყანას. ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სიმბოლურია პატარა ლექსით გამოხატული მისი გულისთქმაც, კახელებისადმი რომაა მიმართული.

სულით თქვენთან ვარ, მე აჭარიდან,
ღმერთმა დაგლოცოს კახეთო ჩემო,
არ ვიცი, როგორ გამომდის მაგრამ,
მე ორივ კუთხის ძეობას ვჩემობ...

ამ ორი კუთხის კი არა, თავისი კაცობით და მოღვაწეობით სრულიად საქართველოს შვილია თენგიზ ცეცხლაშვილი, რაც ამ წიგნიდანაც ნათლად ჩანს. ამიტომაც ახლავს მას რედაქტორის, ცნობილი მწერლის ანა დუნდუას, მეტად ემოციური წინასიტყვაობა, ბოლოში კი ცნობილი მწერლების , ხელოვნების მოღვაწეების ლადო რამიშვილის, თამაზ წივწივაძის, ვახტანგ ახვლედიანის, შოთა ზოიძის, ოთარ გოგოლიშვილის, ანზორ კუდბას, რამაზ სურმანიძის, ჯემალ ჩიჩუას და სხვათა კეთილი ნათქვამები მის შესახებ...

წიგნი ეძღვნება მწერლის დეიდაშვილის, გამორჩეული ქართველი ვაჟკაცის ბორის (ბუჭუ) ნიკოლოზის ძე ფრუიძის ხსოვნას.

კითხულობ ამ შესანიშნავ წიგნს და გიკვირს, როგორ ჩაატია მწერალმა ხსოვნის კიდობანში ამდენი რამ, ან როდის მოასწრო ამდენ ცნობილ ადამიანთან შეხვედრა, ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობა, ეროვნული თავისუფლების და ფასეულობების დასაცავად ბარიკადებზე დგომა და ამ მოვლენების ჩაწერა, ეროვნული უშიშროების ორგანოში მუშაობა, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა და ოჯახის შექმნა და ეს ყველაფერი 70 წლის ასაკში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის პერიოდი. ბარიკადებზე დგომა, საკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციებზე გამოსვლები, თავგანწირვა და მრავალგზის გადარჩენილი სიცოცხლე. სწორედ ეროვნულმა მოძრაობამ გააცნო, დაამეგობრა და დაახლოვა იგი ისეთ ცნობილ, სახელგანთქმულ ადამიანებს, როგორებიც არიან ,,სახალხო კრების" წევრები ნონა გაფრინდაშვილი, ნინო ბურჯანაძე, მერაბ ბერძენიშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ლუკა კურტანიძე და, რა თქმა უნდა ეამაყება, რომ სახელგანთქმული მოჭიდავე ლევან თედიაშვილი მისი თანაკურსელი იყო და დღესაც მეგობრობენ.

აღსანიშნავია, რომ მწერალი დიდი სიყვარულით იგონებს ცნობილ პედაგოგებს, თავის მასწავლებლებს ვენერა სიხარულიძეს, განსაკუთრებით ბესარიონ დოჭვირს, მის მეუღლეს სადიკოს და მათ რვა შვილს, ასევე ცნობილ პედაგოგებს თინა და ნადია დოჭვირებს, ბელა ჩხაიძეს.

სწორედ ასეთი უხვი მონაგარით გაკვირვებულ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს თამაზ წივწივაძეს უკითხავს მისთვის, როგორ დღემდე არ ხარ მწერალთა კავშირის წევრიო? შემდეგ იყო შეხვედრა პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ცნობილ პოეტ ტარიელ ჭანტურიასთან. ისიც გაოცებულა როგორ არ ხარ მწერალთა კავშირის წევრიო. ამაზე თენგო ხუმრობს კიდეც, ილია ჭავჭავაძე, აკაკი და ვაჟა არ ყოფილან მწერალთა კავშირის წევრები, მაგრამ ამით არაფერი დაკლებიათო ...

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, თან ერთვის მწერლის წიგნების თაობაზე პრესაში განოქვეყნებული ანოტაციები და რეცენზიები. ასე, რომ ახალი წიგნების თაროს შეემატა კიდევ ერთი უდავოდ კარგი წიგნი, მართლაც რომ ავტორის გულის მონაწური წიგნი, რომელსაც მისივე რწმენით, პირუთვნელად განსჯის მკითხველი...“

თენგიზ ცეცხლაშვილმა თავისი წიგნის ,,მე ორივ კუთხის ძეობას ვცდილობ“ გამოცემის შემდეგ, სულ რაღაც რამდენიმე თვეში გამოსცა წიგნები: ,,ბათუმის აკადემია“ და ,,ალი სამსონია“. აი, როგორ გამოეხმაურა გაზეთი ,,აჭარა“-ს მოკლე ამონარიდი (№23, 27-28. 2018 წ.).

,,ალი სამსონია“ და ,,ბათუმის აკადემია“.

თენგიზ ცეცხლაშვილმა საზოგადოებას ძალიან კარგი საჩუქარი გაუკეთა. ზემოთ აღნიშნულ კრებულებში გაცოცხლებულია ჩვენი ქალაქის ახლო წარსული, ის ადამიანები, რომლებიც მის გვერდით იყვნენ, ღრმა კვალი დატოვეს ამქვეყნად. მათ შორის ალი სამსონია მართლაც გამორჩეული იყო. თენგიზი ერთობ გულითადად წერს მის მიერ შქმნილ

ბათუმის აკადემიაზეც, მის ისტორიასა და დღევანდელობაზე, იმაზე, რომ იგი აგრძელებს კარგ ტრადიციებს, რომელიც, უპირველესად, აკადემიის დღევანდელი ხელმძღვანელის ასლან კაკაბაძის დამსახურებაა.

ამ წაკითხვისას გაჩენილ მრავალ სურვილთაგან ერთს განსაკუთრებულად გამოვყოფდი. მწერლებმა, პუბლიცისტებმა, ლიტერატურამცოდნეებმა, ყველამ რაც შეიძლება ხშირად შექმნან მსგავსი ნაშრომები. ეს ჩვენი პროფესიული წინაპრების პატივისცემა და ადამიანური მოვალეობაცაა.

- აღნიშნა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ რამაზ სურმანიძემ.

თენგიზ ცეცხლაშვილმა გამოსცა კიდევ ერთი წიგნი ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა 115 წლისაა“.

შემოგთავაზებთ მოკლე ამონარიდს გაზეთ ,,აჭარას“ (N57 26.05. 2018 წ.) ჟურნალისტ რევაზ მსხილაძის სტატიიდან: ,,სიყვარულით სავსე წიგნი – ჩვენს მეორე მშობლიურ სახლზე.

ავტორს მართლაც ბევრი უშრომია, რომ დეტალებამდე გამოეკვლია, შეესაწავლა და ფართო საზოგადოებისათვის წიგნად შეეთავაზებინა ბიბლიოთეკის ისტორია...

მოკლედ, მკითხველს ვურჩევ, დიდი ყურადღებით წაიკითხოს ეს წიგნი, რომელიც უდავოდ კარგი შენაძენია ჩვენი საზოგადოებისათვის“.

ანზორ კუდბა, მწერალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

რედაქტორისაგან. 3
ავტორისაგან. 5
ბათუმის შესახებ. 13
ბათუმის ბულვარის შესახებ. 23
ბულვარის სანაპირო ზოლი. 45
კოლონადები. 54
* * *. 78
მიმართვა. 82
საგაზეთო მასალები კოლონადებზე. 104
ნუგზარ ჯაფარიძე - ბულვარის ისტორიიდან. 109
ნ. ცინცაბაძის მოხსენებითი ბარათი, ...120
იტალიიდან ჩამოტანილი სკულპტურები. 125
ოთარ გოგოლიშვილის კომენტარი. 130
განახლებული ბულვარი. 137
ძველი ბულვარის ხედები. 151
ქ. ბათუმის ბულვარის ხელმძღვანელები. 157
მიხეილ (მიშელ) დ'ალფონსი 159
აკაკი ხოშტარია 162
იასონ გორდერზიანი. 165
ბულვარის კონცეპციის განხილვა 168

პროგრამისტი – **ანაიდა ავეტისიანი**

ქაღალდის ზომა 60X84
ფიზიკური თაბახი 14
ტირაჟი 300 ც.

ბათუმის ბულვარი (ავსტრალიური ფოტო)